# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 4 ნოემბერი 1999 №212 (985) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბაიერნი, ჩელსი და ჰერტა მომდევნო ეტაპზე გავიდნენ, სტამბოლში გალათასარაისთან 2:3 წაგების მერე კი

# ევროპა უმილანოდ დარჩა

5

### ერიხ ეპლე: ჯერ ბავშვებს მიხედეთ და მერე...



ქართველებმა ლამის ჭკუიდან შეშალეს უეფას მაღალჩინოსანი მოხელე

7

### ისინი თანაბარნი არიან

ვინ გახდება მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი, ბექემი თუ რივალდო?

11

### რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ ლაურეატებს



ვახტანგ ბლაგიძე

12

### კიდევ ერთხელ მოვუხედოთ უკან და...



ამ მთაზე ბევრი დარჩენილა, ჩვენი საქმე როგორღა იქნება? მოყინულობა, სისხლჩაქცევა, მოტეხილობა, ჰიპოქსია, პნევმონია... — ათასი ვარიანტია!

UEFA CHAMPIONS LEAGUE

VI ტური

| | |
|---|---|
| **E ჯგუფი** | |
| მოლდე | 0 |
| რეალი | 1 |
| ოლიმპიაკოსი | 1 |
| პორტუ | 0 |
| **F ჯგუფი** | |
| ბაიერნი | 1 |
| რეინჯერსი | 0 |
| ვალენსია | 1 |
| პსვ | 0 |
| **G ჯგუფი** | |
| სპარტა | 5 |
| სპარტაკი | 2 |
| ტილბურგი | 0 |
| ბორდო | 0 |
| **H ჯგუფი** | |
| გალათასარაი | 3 |
| მილანი | 2 |
| ჩელსი | 2 |
| ჰერტა | 0 |



REUTERS სტამბოლიდან

თურქი პოლიციელები დამარცხებული „მილანის" თავკაც ალბერტო ძაკერონის აცილებენ



REUTERS ლონდონიდან

ჩელსი — ჰერტა 2:0. ბერლინელთა მეკარე გაბორ კირალიმ ლონდონელი ალბერტ ფერერის (№17) დარტყმული მოიგერია

ეროვნული ბიბლიოთეკა

CHAMPIONS LEAGUE

# ევროპა უმილანოდ დარჩა

## ჩემპიონთა ლიგა. VI ტური

### E ჯგუფი

**მოლდე 0:1 რეალი**

0:1 კარემბუ (43)

მოლდე: ბაკე, სინგსასი, ლიდერსენი, ფოსტერვოლდი (დოს სანტოსი 46), ტ. სტრანდი, ინგე ოლსენი, ფიორტოფტი, ჰესტადი, ტესემი (მორკი 86), ჰოსეტი (ლინდბეკი 60), ლუნდი

რეალი: ბიზარი, მიჩელ სალგადო, მანუელ სანჩისი, ივან კამპო, რობერტო კარლოსი, ხულიო სეზარი, კარანკა, ივან ელგუერა, კარემბუ, ზეედორფი, კარლოს არანდა (ეტოო 55)

მსაჯი: ჟ. ვისიე (საფრანგეთი)

**ოლიმპიაკოსი 1:0 პორტუ**

1:0 იანაკოპულოსი (56)

ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, კარატაიდისი, ამანატიდისი (კარაპიალისი 46), იანაკოპულოსი, ჯოვანი, ჯორჯევიჩი, მავროგენიდისი, პასალისი, ოფორი კუაე (გოგიჩი 46), ზაპოვიჩი, ანცასი

პორტუ: ილარიუ, რუბენს ჟუნიორი, ალოიზიო ალვეში, სეკრეტარიუ, რიკარდო სოუზა (ფეერი 64), დრულოვიჩი, რუდოლფო (ჩაინიო 64), ალესანდრო, პაულინიუ სანტუში, რომეუ (დუდა 72), რიკარდო სილვა

მსაჯი: კ. მილტონ ნილსენი (დანია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 6 | 4 | 1 | 1 | 15:7 | 13 |
| პორტუ | 6 | 4 | 0 | 2 | 9:6 | 12 |
| ოლიმპიაკოსი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:12 | 7 |
| მოლდე | 6 | 1 | 0 | 5 | 6:14 | 3 |

### F ჯგუფი

**ბაიერნი 1:0 რეინჯერსი**

1:0 შტრუნცი (33პ)

ბაიერნი: კანი, ბაბელი, მათეუსი, ლინკე, შტრუნცი, ფინკი, ეფენბერგი (ტარნატი 74), ლიზარაზუ, შოლი (სალიჰამიჯიჩი 66), ელბერი, სანტა კრუზი (პაულო სერჟიო 66)

რეინჯერსი: კლოსი, პორინი, ლ. ამორუზო, მური, ნუმანი (მაკკენი 46), კ. რეინა, ფერგიუსონი, ვან ბრონკჰორსტი, ალბერტცი, მოლსი (იოჰანსონი 30), უოლესი (ამატო 80)

მსაჯი: ვიტორ მანუელ პერეირა (პორტუგალია)

**ვალენსია 1:0 პსვ**

1:0 კლაუდიო ლოპესი (70)

ვალენსია: პალოპი, პელეგრინო, ჯუკიჩი, კარბონი, ანგულო, ფარინოსი, მენდიეტა, ხერარდი, კილი გონსალესი, კლაუდიო ლოპესი, ხუან სანჩესი (ოსკარ გარსია 76)

პსვ: ვატერეუსი, ფაბერი, ნიკიფოროვი, ე.ადო, ჰაინცე, სტინგა, ვან ბომელი, ხოხლოვი, კოლკა, ვან ნისტელროი, ნილისი (რომედალი 71)

მსაჯი: გ. ბარბერი (ინგლისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 6 | 3 | 3 | 0 | 8:4 | 12 |
| ბაიერნი | 6 | 2 | 3 | 1 | 7:6 | 9 |
| რეინჯერსი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:7 | 7 |
| პსვ | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | 4 |



ბაიერნი — რეინჯერსი 1:0. შოტლანდიელები გერმანელთა ნახევარზე კი თარეშობდნენ, მაგრამ ბედს ვერ ეწივნენ




მილანელთა კარის დარაჯი კრისტიან აბიატი

# რა მოხდება ამის შემდეგ?

ჩემპიონთა ლიგის პირველმა ჯგუფურმა ეტაპმა გაარკვია ის 16 გუნდი, რომლებიც მეორე, ასევე ჯგუფურ ეტაპზე გააგრძელებენ ასპარეზობას. მეორე ეტაპის კენჭისყრა ხვალ, ჟენევაში, ცენტრალური ევროპის დროით დილის 11 საათზე გაიმართება (12 საათზე შედგება უეფას თასის კენჭისყრა). კენჭისყრა დაასახელებს ოთხ, ოთხგუნდიან ჯგუფს, რომელიც ტრადიციული, შინ და სტუმრად თამაშის პრინციპით ექვს ტურიან შეჯიბრებას მოაწყობს.

მეორე ჯგუფური ეტაპის ტურები გაიმართება: 23 და 24 ნოემბერს, 7 და 8 დეკემბერს, 29 თებერვალს და 1 მარტს, 7 და 8 მარტს, 14 და 15 მარტს და 21 და 22 მარტს.

ამ ეტაპის დასრულების შემდეგ გაირკვევა იმ 8 გუნდის ვინაობა, რომელთაც 24 მარტს დანიშნული კენჭისყრა მეოთხედფინალურ წყვილებად დაყოფს.

მეოთხედფინალი 4-5 და 18-19 აპრილს შედგება. ნახევარფინალებისთვის 2-3 და 9-10 მაისია დათქმული, ხოლო ფინალის თარიღი 24 მაისი გახლავთ.




ვალენსია — პსვ 1:0. ჰოლანდიელი ერნსტ ფაბერი და ესპანელი ხუან სანჩესი (№17) „მეორე სართულზე"

### G ჯგუფი

**სპარტა 5:2 სპარტაკი**

1:0 ლოკვენცი (1), 2:0 როსიკი (11), 2:1 ბულატოვი (34), 2:2 ბეზროდნი (45), 3:2 ფუკალი (49), 4:2 ლაბანტი (63პ), 5:2 ლოკვენცი (66)

სპარტა: პოსტულკა, გაბრიელი, ირჟი ნოვოტნი, ფუკალი, ლაბანტი, ჰაშეკი, ჰორნაკი, ობაიდინი (იაროსიკი 79), როსიკი (სვობოდა 69), ლოკვენცი, სიონკო (ზიგლი 85)

სპარტაკი: ფილიმონოვი, ხლესტოვი, ბუშმანოვი, ანანკო, პარფიონოვი, ბულატოვი, ტიტოვი, ტიხონოვი, ბეზროდნი, შირკო (მილიოშინი 73), რობსონი (ბარანოვი 53)

გაძევება: ტიხონოვი (62)

მსაჯი: მ. პირო (ბელგია)

**ტილბურგი 0:0 ბორდო**

ტილბურგი: ვან ფესემი, პრომაიონი, ჯენტილე, შენინგი (ჰილი 90), გალაშეკი, იალიენსი, ვიქტორია (ვალკი 84), ლანდზაატი (რამზი 76), სესაი, სანუ, შუკოვი

ბორდო: რიშე, ჟემალი, აფანუ, ალიკარტე, ბონისელი, ბატლე (ფეინდუონო 66), დიაბატე, კ. მარტინსი (გრენე 80), რუვიე, მიკუ, ვილტორდი

მსაჯი: მ. როდომანი (იუგოსლავია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 6 | 3 | 3 | 0 | 14:6 | 12 |
| ბორდო | 6 | 3 | 3 | 0 | 7:4 | 12 |
| სპარტაკი | 6 | 1 | 2 | 3 | 9:12 | 5 |
| ტილბურგი | 6 | 0 | 2 | 4 | 7:15 | 2 |

### H ჯგუფი

**გალათასარაი 3:2 მილანი**

0:1 ვეა (20), 1:1 კაპონე (27), 1:2 ჯუნტი (51), 2:2 ჰაქან შუქური (86), 3:2 დავალა უმითი (90პ)

გალათასარაი: ტაფარელი, ჯიკა პოპესკუ (ერგუნი 70), ემრე ბელოზოღლუ, არიფი (მარსიო დოს სანტოსი 77), ოქან ბურუქი, ჰაქან შუქური, გ. ჰაჯი (ჰასან სასი 66), აჰმეთი, დავალა უმითი, ჰაქან უნსალი, კაპონე

მილანი: აბიატი, ჰელვეგი, მალდინი, აიალა, ნგოტი, ალბერტინი, გულიელმინპიეტრო (სერჟინიო 56), გატუზო, ჯუნტი (ბირჰოფი 88), ვეა (ბობანი 82), შევჩენკო

მსაჯი: ხ. ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)

**ჩელსი 2:0 ჰერტა**

1:0 დეშამპი (11), 2:0 ფლერი (44)

ჩელსი: დე გუი, ფერერი, ჰოგი (ლებეფი 66), დესაი (ლამბური 86), პეტრესკუ, დეშამპი, უაიზი, ბაბაიარო, ძოლა (პოიეტი 64), ფლო, სატონი

ჰერტა: კირალი, რეკდალი, ვან ბურიკი, სანე, სვერისონი, ჰელმერი (შმიდტი 58), დაისლერი, მიხალკე, ვოში (კონსტანტინიდისი 46), დაეი, პრეეტცი (არაჩიჩი 46)

გაძევება: სატონი (90)

მსაჯი: კ. ერიკ ნილსონი (შვედეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:3 | 11 |
| ჰერტა | 6 | 2 | 2 | 2 | 7:10 | 8 |
| გალათასარაი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:13 | 7 |
| მილანი | 6 | 1 | 3 | 2 | 6:7 | 6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დერბი ქაუნთის ფორმაში გიორგი ქინქლაძე პირველად მანჩესტერ იუნაიტედს დაეტაკება

## 20 ნოემბრამდე ქართველს ინგლისში მუშაობის უფლება ექნება — ამბობს ჯიმ სმიტი



გიორგი ქინქლაძე ვერ დაეხმარება „დერბი ქაუნთის“ 6 ნოემბერს, პრემიერლიგის მორიგ ტურში სტუმრად „ლივერპულის“ წინააღმდეგ. „ქართველისთვის მუშაობის უფლების მოპოვებას მაქსიმუმ სამი კვირა დასჭირდება. დიდი იმედი მაქვს, რომ 20 ნოემბერს „პრაიდ პარკზე“ იგი „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ ძირითადში ითამაშებს“ — განაცხადა გუშინ „დერბის“ მენეჯერმა ჯიმ სმიტმა.

ქინქლაძემ გუშინ მეორედ ივარჯიშა გუნდთან ერთად. „პირველი ვარჯიშის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ ინგლისურ ფეხბურთს ერთგვარად ჩამოვრჩი. უნდა ვაღიარო, რომ ძალიან დავიღალე, მაგრამ ამასთანავე დიდ სიამოვნებას მანიჭებს კვლავ ნაცნობ გარემოში დაბრუნება.“ — უთხრა გიომ ჟურნალისტებს.

„ჰოლანდიაში რა განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობენ. ინგლისში ვარჯიშზეც კი განსაკუთრებით კონცენტრირებული, მტკიცე და მონდომებული უნდა გამოხვიდე. ძალიან შევცდი, რომ 1997 წელს ინგლისიდან წავედი, ეს ჩემი მეორე სამშობლოა. ამსტერდამში ასეთი რამ არ განმიცდია. ძალიან მოხარული ვარ, რომ კვლავ აქ ვიმყოფები“ — აღიარა ქინქლაძემ.

„მანჩესტერში გატარებული სამი წელი ჩემს კარიერაში საუკეთესოა. ჩემი თამაშით კმაყოფილი ვიყავი. მჯერა, მეტის მიღწევაც შემიძლია. ვიცი, რომ „დერბის“ მძიმე დღეები უდგას, მაგრამ პირობას გაძლევთ, იგი აღარ დაქვეითდება“ — დაგვეთანხმებით, მეტად გაბედული განცხადებაა.

„პრაიდ პარკი“ ძლიერ მომეწონა „დერბის“ ფეხბურთელებიც ძალიან კარგად შემხვდნენ, მიუხედავად იმისა, რომ არცერთ მათგანს არ ვიცნობ. მათი თამაში ტელევიზორით თუ მინახავს“ — აღნიშნა გიორგიმ.

ქინქლაძის „დერბიში“ გადასვლას გულშემატკივართა მცირე ამბოხი მოჰყოლია შეფილდში. „იუნაიტედის“ მენეჯერი ადრიან ჰითი იძულებული გამხდარა, გუშინ განეცხადებინა, რომ ჯიმ სმიტმა ქართველი „შეფილდს“ ხელიდან გამოგლიჯა. თუმცა ფანობა მას არ დაეთანხმა.

თავად ჯიმ სმიტი შენაძენით მეტად კმაყოფილია. „ტყუილია, თითქოს „აიაქსში“ გიორგი მეტად გასუქდა. იგი მშვენიერ ფორმაშია და დიდი მონდომებით ვარჯიშობს“ — თქვა გუშინ სმიტმა.



გიორგი ქინქლაძე „დერბის“ ერთ-ერთ პირველ ვარჯიშზე

როგორც გუშინდელ „სარბიელში“ გიამბეთ, წლეულს სმიტი „დერბის“ 3-5-2 სისტემით ათამაშებს. მე-13 ტურში „ჩელსისთან“ შეხვედრაში (3:1) ეს ტაქტიკა ცოცხლად ასე გამოიყურებოდა: 1 (ჰოულტი) — 5 (ლაურსენი, კარბონარი, შნური, ერანიო, დელაპი) — 3 (ჯონსონი, პაუელი, დორიგო) — 2 (ფუენტესი, ბარტონი).

სავარაუდოა, რომ ქინქლაძე ნახევარდაცვის ტრიოში დაიკავებს კუთვნილ ადგილს. ტონი დორიგოს ნაცვლად, რომელიც მეტად გულთბილად შეხვედრია ჩვენებურს. „დერბი ქაუნთის“ ფეხბურთელთა ციფრობრივ მონაცემებს 1999-2000 წლების პრემიერლიგაში კი აქვე გაეცნობით.

**სიმონ მენაბდე**

### დერბელები წლევანდელ სეზონში

| ფეხბურთელი | თამაში | წუთი | გოლი | გაფ. | გაძ. |
|---|---|---|---|---|---|
| რორი დელაპი | 15 | 1305 | 5 | 3 | — |
| სეტ ჯონსონი | 14 | 1231 | 1 | — | — |
| იაკობ ლაურსენი | 14 | 1213 | 1 | 3 | — |
| სპენსერ პრიორი | 14 | 1182 | 0 | 2 | — |
| ჰორაციო კარბონარი | 12 | 1035 | 1 | 3 | — |
| რასელ ჰოულტი | 12 | 1080 | 0 | 1 | — |
| დარელ პაუელი | 12 | 1064 | 0 | 4 | — |
| სტეფანო ერანიო | 10 | 859 | 0 | 2 | — |
| ვასილის ბორბოკისი | 9 | 852 | 1 | 1 | — |
| ტონი დორიგო | 9 | 804 | 0 | 1 | — |
| ესტებან ფუენტესი | 9 | 628 | 2 | — | 1 |
| სტეფან შნური | 9 | 784 | 0 | 2 | — |
| ფრანჩესკო ბაიანო | 7 | 516 | 0 | 1 | — |
| მიქაელ ბეკი | 7 | 717 | 2 | — | — |
| დინ სტარიჯი | 5 | 420 | 2 | 1 | — |
| დეონ ბარტონი | 5 | 470 | 2 | 5 | — |
| ლარს ბოჰინენი | 4 | 418 | 0 | 1 | — |
| სტივ ელიოტი | 4 | 315 | 0 | 1 | — |
| მარტ პოომი | 4 | 360 | 0 | — | — |
| ლი მორისი | 2 | 147 | 0 | — | — |
| კევინ ჰარპერი | 3 | 254 | 0 | 2 | — |
| პოლ ბოერტენი | 1 | 11 | 0 | — | — |
| მარკ უილკინსონი | 0 | 0 | 0 | — | — |
| მალკოლმ კრისტი | 1 | 79 | 0 | — | — |
| ადამ მიურეი | 1 | 16 | 0 | 1 | — |
| ენდი ოუკსი | 0 | 0 | 0 | — | — |
| მარვინ რობინსონი | 0 | 0 | 0 | — | — |

ცხრილში შეტანილია წინასასეზონო ორი ამხანაგური თამაშის მონაცემები

# ექტორ კუპერმა შოთა არველაძეს თვალი დაადგა

## ვალენსია კლაუდიო ლოპესის შემცვლელს ეძებს

გუშინ ესპანური „ვალენსიას“ ვარსკვლავმა ჩემპიონთა ლიგაში „პსვ ეინდჰოვენთან“ შეხვედრამდე რამდენიმე ესპანური გაზეთის წარმომადგენლებს გაანდო, რომ 15 დეკემბრამდე დატოვებს „ვალენსიას“ და რომის „ლაციოში“ გადაბარგდება.

არგენტინელ ფორვარდზე დიდი ხანია, ტაციაობაა, თუმცა ლოპესის გუშინდელი განცხადება, როგორც ჩანს, რეალობასთან ახლოს არის.

ესპანურ გაზეთ „მარკასა“ და ჰოლანდიური სააგენტო „ფუტბოლ ინტენლესლელის“ მონაცემებით, „ვალენსიას“ არგენტინელი თავკაცი ექტორ კუპერი კლაუდიო ლოპესის შემცვლელს დიდი ხანია, ეძებს.

„ფუტბოლის“ ცნობით, კუპერი სერიოზულად აკვირდება, „პსვ ეინდჰოვენისა“ და ჰოლანდიის ჩემპიონატის ლიდერს, რუუდ ვან ნისტელროის და „აიაქსის“ ქართველ ფორვარდ შოთა არველაძეს.

როგორც „ფუტბოლი“ აღნიშნავს, კუპერი 15 დეკემბრამდე გამოაცხადებს, თუ ამ ორიდან რომელი ფეხბურთელის სათამაშო სტილი მიესადაგება „ვალენსიისას“.

შეგახსენებთ, რომ ბერძენი ნიკოს მახლასის შეძენის შემდეგ „აიაქსის“ ძირითადში ვერ ხვდება შოთა არველაძე. ქართველმა წლევანდელ პირველობაზე მხოლოდ 8 თამაში ჩაატარა და ისიც მეორე ტაიმის მეორე ნახევრები.

შოთა არველაძემ „სარბიელისთვის“ წინა კვირას მიცემულ ინტერვიუში განაცხადა კიდეც, რომ თუ იან ვოუტერსი კვლავ არ დააყენებს ძირითადში, მაშინ კლუბს დატოვებს.

ასე რომ, სულაც არ არის გამორიცხული, ქართველი ფეხბურთელი „აიაქსში“ აღარ დარჩეს.

**სიმონ მენაბდე**



შოთა არველაძე (მარცხნივ) შესაძლო ესპანეთში გადაბარგდეს

# ზაზა ჯანაშია არ ითამაშებს

მოსკოვის „ლოკომოტივის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, უეფას თასის განმეორებით შეხვედრაში ინგლისური „ლიდს იუნაიტედის“ წინააღმდეგ გუნდს საქართველოს ნაკრების ფორვარდი ზაზა ჯანაშია ვერ დაეხმარება. მთავარი მწვრთნელის, იური სიომინის განცხადებით, ზაზას ჯერ კიდევ არ მოურჩენია ტრავმა და მოსკოვურ მატჩში, ალბათ, არ გამოჩნდება. გუნდს კიდევ ერთი წამყვანი ფეხბურთელი — იური დროზდოვი გამოაკლდება, რომელიც ასევე დაშავებულია.

„სარბიელის“ მკითხველისთვის ცნობილია, რომ ჯანაშიამ ფეხი ორი კვირის წინ უეფას თასის მეორე ეტაპის პირველ შეხვედრაში იმავე „ლიდს იუნაიტედთან“ იტკინა. მაშინ ინგლისელთა მცველმა ლუკას რადებემ მოედნის ცენტრში უხეშად ითამაშა მოსკოველთა ქართველი ლეგიონერის წინააღმდეგ. ამის გამო ჯანაშია პირველ ტაიმშივე შეცვალეს.

შეგახსენებთ, რომ „ლიდსმა“ „ლოკომოტივს“ ორი კვირის წინ ინგლისში 4:1 მოუგო.

**ნიკა შუბლაძე**

UEFA REGIONS' CUP

# აბანოში გამოჩნდება

უეფას რეგიონთა თასის პრესტიჟულობაზე ლაპარაკი ალბათ ზედმეტია, ამაში თავადაც დარწმუნდებით, თუ ტურნირის ოქმებში მატჩზე დამსწრებ მაყურებელთა რაოდენობას ჩახედავთ, მაგრამ თავისთავად სასიამოვნო ფაქტია, რომ საქართველოს სახელით მოასპარეზე გივი-ჯონ ჯანელიძის (იტალიელები „თბილისის" მწვრთნელს სწორედ ასე მოიხსენიებენ) შეგირდებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს ფინალურ ეტაპზე და უკრაინელებთან გამარჯვების შემთხვევაში შეეძლოთ, ფინალურ მატჩშიც ეთამაშათ.

პირველი შეხვედრა თბილისელებს მასპინძლებთან — „ვენეციასთან" ჰქონდათ 31 ოქტომბერს. ჯანელიძეს მეორე ნახევარში შეცვლაზე შესულმა კრავეიშვილმა გაუმართლა. მისი გოლის წყალობით ქართველები 65-ე წუთზე დაწინაურდნენ, მაგრამ ანგარიშის შენარჩუნება ბოლომდე ვერ შეძლეს და მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე მოედანზე ასევე შეცვლაზე შესული ჯიარეტისგან საპასუხო გოლი მიიღეს.

იმავე დღეს ქართველების B ჯგუფელმა მეტოქეებმაც ამავე ანგარიშით ითამაშეს და ოთხივე გუნდმა შეინარჩუნა ფინალში გასვლის შანსი. პირველ ნოემბერს კი „თბილისმა" პირველი გამარჯვებაც იზეიმა. თუმცა „ისრაელთან" მატჩის დასაწყისი ჯანელიძის გუნდს კარგს არაფერს უქადდა. ებრაელები დებიუტშივე დაწინაურდნენ და მატჩის სადავეებიც დიდხანს ეპყრათ ხელთ, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლოს ქართველები გამოფხიზლდნენ და მცირე შტურმი მოუწყვეს მეტოქეს. თბილისელებს აგრესიულობა მეორე ნახევარშიც გადაჰყვათ. მალე გაბიდაურმა წონასწორობა აღადგინა. როგორც ჩანს, ამ გოლმა ჩვენებს ფრთები შეასხა და იმავე გაბიდაურმა 72-ე წუთზე მეორედ დაამწუხრა „ისრაელი". ამ გამარჯვებას ქართველებისთვის ბევრად არაფერი შეუცვლია, რადგან „ვენეციამაც" ამავე ანგარიშით დაამარცხა უკრაინული „კიევი" და შედეგად ქართველებს და იტალიელებს აბსოლუტურად ერთნაირი მაჩვენებლები დაუგროვდათ. ჯგუფიდან ფინალში გასული გუნდის ვინაობას ბოლო ტური წყვედა — „თბილისი" — „კიევი", „ვენეტო" — „ისრაელი".

იმ შემთხვევაში, თუ ორივე ოთხქულიანი გუნდი გაიმარჯვებდა, მაშინ ფინალისტი ის იქნებოდა, ვისაც გატანილ-მიღებული ბურთების უკეთესი მაჩვენებელი აღმოაჩნდებოდა. ამიტომ, გამარჯვებასთან ერთად ქართველებს „კიევთან" მატჩში რაც შეიძლება მეტი გოლის გატანაც სჭირდებოდათ.

ბოლო ტურში გადაწყდა მეორე ფინალისტის ვინაობა A ჯგუფიდანაც. იქ ესპანური, ჰოლანდიური, ჩეხური და პოლონური გუნდები იბრძოდნენ. ორი ტურის შემდეგ ფინალში გასვლის კარგი შანსი ჰქონდა ესპანურ „მადრიდს". მადრიდელები გუშინ ორქულიან „მალოპოლსკას" ხვდებოდნენ და ფრის შემთხვევაშიც ფინალში გადიოდნენ. ფინალში გასვლის შანსი არც პოლონელებს ჰქონდათ დაკარგული. საამისოდ მათ ესპანელებს უნდა ებლიათ. პირველობის შესაძლებლობას ჩეხური „პრალაც" ინარჩუნებდა. ასე რომ, A ჯგუფში უფრო დაძაბული მდგომარეობა იყო შექმნილი. თუმცა გუშინ ვენეციაში რომ დავრეკეთ პრესცენტრში წვრილ-წვრილად ვერაფერი გვითხრეს. დანამდვილებით ეს ვიცით, რომ ფინალში „მადრიდი" და „ვენეცია" გავიდნენო.

რაც შეეხება ფინალს, იგი ხვალ გაიმართება ვენეციურ ქალაქ აბანოში. ასე რომ, ვინაა მოყვარულთა შორის უმოყვარულესი, აბანოში გამოჩნდება.

**ბაატა ქვანტალიანი**



საქართველოს მოყვარულთა ნაკრები „თბილისი"

## სატურნირო მდგომარეობა მეორე ტურის მერე

31 ოქტომბერი.
აბანო. 400 მაყურებელი

**თბილისი 1:1 ვენეცია**

1:0 კრავეიშვილი (65), 1:1 ჯიარეტა (87)
თბილისი: ჩაჩიბაია, გ. მეტრეველი, მოსიაშვილი, გაბიდაური, ოდიშარია (კაკაბაძე 81), ტილკავაშვილი (კრავეიშვილი 46), გოლეთიანი (გ. ტულუში 46), გრიგალაშვილი, შუკაკიძე, ნოზაძე, მურადელი
*სათადარიგონი:* ი. სილაგაძე; ხვიჩია, ზაკუტაშვილი, ი. ქეთელაური
ვენეტო: ბოძატო, ბერტიპალია (ჯიარეტა 70), ბორიერო, დე ტონი (გორზა 57), გარდინი, მაისტრო, ნორდიო, ნორო, პაკანი, სანდონი (საბატინი 79), ტოიგო
*სათადარიგონი:* ჯირარდი; მორანდი, პადრინი, რებესკო
გაფრთხილება: ნორო (32)
მსაჯი: გ. ვილდაბერი

1 ნოემბერი.
მოლიანო ვენეტო. 50 მაყურებელი

**ისრაელი 1:2 თბილისი**

1:0 ოლესკი (11), 1:1, 1:2 გაბიდაური (48, 72)
ისრაელი: ნაშონი, ალმეკიასი, მაიმონი, რაბინოვიჩი (კადოში 24, ბშარა 56), ბენტორა, ჰავშოში, ეფსტინი, პერსლიკოვიჩი (აბიტბული 64), ბენ-ეზრა, პაიავი, ოლესკი
*სათადარიგონი:* აკრი; შაული, დაბუში, ოვედი
თბილისი: ჩაჩიბაია, გ. მეტრეველი, გ. ტულუში, მოსიაშვილი (ზაკუტაშვილი 46), გაბიდაური, ოდიშარია, კრავეიშვილი, გრიგალაშვილი, შუკაკიძე (ტილკავაშვილი 46), ნოზაძე, მურადელი (ხვიჩია 37)
*სათადარიგონი:* ი. სილაგაძე; გოლეთიანი, კაკაბაძე, ი. ქეთელაური
გაფრთხილება: ოლესკი (41), კადოში (43), პერსლიკოვიჩი (45), მეტრეველი (52), კრავეიშვილი (74), გაბიდაური (82)
მსაჯი: ა. სიპილო

**B ჯგუფი**

**ისრაელი 1:1 კიევი**

**კიევი 1:2 ვენეტო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვენეტო | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| თბილისი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ისრაელი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| კიევი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

**A ჯგუფი**

**დისტრიქტ ვესტ II 1:1 მალოპოლსკა**

**მადრიდი 1:1 პრალა**

**მადრიდი 2:0 დისტრიქტ ვესტ II**

**პრალა 1:1 მალოპოლსკა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მადრიდი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| მალოპოლსკა | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| პრალა | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| დისტრიქტ ვესტ II | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |



განზე დაგვრჩა აბანოს და მისი 700-კაციანი „დელე ტერმე" სტადიონი



პოკერის გამტანი ფოთელი კოლხი ჯონი შალამბერიძე

# რატომ, გორდა?!

თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის პირველი შეხვედრები არც ისე უინტერესოდ წარიმართა. რეგიონალური ლიგის მობინადრეებმა ტოლი არ დაუდეს პირველი ლიგის წარმომადგენლებს და მეტწილად თანაბრად ეპაექრნენ.

აღნიშვნის ღირსია ზოოვეტერინართა სტუმრად გამარჯვება ბოლნისში. თუმცა, როგორც ჩანს, „სიონი" შარშანდელივით დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს თასის გათამაშებას და მთელი ყურადღება საჩემპიონატო ბატალიებისკენ აქვს მიპყრობილი.

რაც შეეხება იმას, რომ რუსთავში არ ჩატარდა მატჩი ადგილობრივ „გორდასა" და ხაშურის „ივერიას" შორის, მიზეზი სტუმართა 5 წუთით დაგვიანება გახლდათ. მასპინძლები არასდიდებით არ დათანხმდნენ თამაშზე და ამ გადაწყვეტილების მიღებაში დებულების შესაბამისი პუნქტებით იხელმძღვანელეს. იურიდიულად მართალმა „გორდამ" არაფრად ჩააგდო საფეხბურთო მორალი და თავის სასარგებლოდ 3:0-ის ჩათვლა მოითხოვა. ბუნებრივია, იკითხავთ, რატომ მოექცნენ რუსთაველები ასე მკაცრად ხაშურელ სტუმრებს. ზუსტი პასუხის გაცემა ძნელია. არა გვგონია, „გორდას" რაიმე პირადი ანგარიში ჰქონოდა „ივერიას" მიმართ. მათ ბოიკოტს უფრო სფფ-ს წინააღმდეგ პროტესტის სუნი ასდის. როგორც მოგეხსენებათ, ეროვნული ჩემპიონატის მე-10 ტურში ხობში (1:5) დამარცხებულმა, მსაჯობაზე ერთობ განაწყენებულმა რუსთაველებმა შეხვედრის შედეგი გაასაჩივრეს, მაგრამ ამაოდ...

ჰოდა, „გორდამ" ხელიდან არ გაუშვა პროტესტის ბოიკოტის ფორმით გამოხატვის პირველივე შანსი და სათასო შეხვედრა იუარა. ამ შემთხვევას ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი უახლოეს დღეებში განიხილავს და ალბათ „ივერიას" 0:3 წაგებას ჩაუთვლის...

არადა, ზუსტად იმ დღეს, 2 ნოემბერს, ქუთაისში „ტორპედოსა" და ჩხოროწყუს „სამეგრელოს" მატჩი 50 წუთის დაგვიანებით დაიწყო. იმერლები გაგებით მოეკიდნენ დაგვიანებული სტუმრების ახსნა-განმარტებას, ანგარიში გაუწიეს გულშემატკივრებს და „ტორპედოზე" ფეხბურთი გააჩაღეს...



## საქართველოს თასი

მეთექვსმეტედფინალი
პირველი მატჩები

### აღმოსავლეთი ზონა

2 ნოემბერი

**არსენალი 0:0 აკადემია**

გაფრთხილება: წონ კოლაური (არსენალი)
მსაჯი: კ. მესხი (ზუგდიდი)

**სიონი 1:2 ზოოვეტი**

0:1 გუგუშვილი (61), 0:2 ბოსტოლანაშვილი (78), 1:2 დ. გოდერძიშვილი (83)
გაფრთხილება: სამნიაშვილი (59, ზოოვეტი)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

**მერანი 1:0 ცხინვალი**

1:0 ბ. ამბიძე (87)
გაფრთხილება: ცხადაძე (30, ცხინვალი), ს. დავითაშვილი (69, მერანი)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**ჭაბუკიანი 0:1 თბილისი**

0:1 ზ. ხიზანიშვილი (17)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**ლოკომოტივი 5:0 ლოკომოტივი 2**

1:0, 2:0, 5:0 ქობულაძე, 3:0, 4:0 ქებაძე
გაფრთხილება: კ. მელქაძე (ლოკომოტივი)
მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი)

**გორდა — ივერია**

*„ივერიამ" 5 წუთი დაიგვიანა, რის თაობაზეც სტკ იმსჯელებს*

3 ნოემბერი

**დინამო 5:0 თორი**

1:0 ნიტაიშვილი (3), 2:0 აშვეთია (22), 3:0 ალექსიძე (45), 4:0, 5:0 აშვეთია (55, 70)
გაფრთხილება: გრიშიკაშვილი (80), ალექსიძე (87, ორივე დინამო), კოხრეიძე (7), შალიკაშვილი (88, ორივე თორი)
მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

**ვიტ ჯორჯია 4:1 ს.ა. იბერია**

0:1 ხიდაშელი (35), 1:1 გოცირიძე (36), 2:1 კოტორაშვილი (59), 3:1 გოჩაშვილი (63), 4:1 ქორიძე (67)
გაფრთხილება: ხიდაშელი (3)
გაძევება: ხიდაშელი (38)
მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

### დასავლეთი ზონა

2 ნოემბერი

**იბერია 1:0 მარგვეთი**

1:0 ხმალაძე (85)
მსაჯი: გ. ასკაროლლი (ქარელი)

**თსუ 1:1 მეტალურგი**

0:1 მხეიძე (56), 1:1 დ. არჩვაძე (57)
გაფრთხილება: გოგაძე (29, მეტალურგი)
მსაჯი: მ. ელიკაშვილი (თბილისი)

**დილა 4:1 მეგრი**

1:0 სულთანიშვილი (7), 2:0 ზ. ხორგუაშვილი (11), 3:0 ციცქიშვილი (15), 4:0 მარლიშვილი (23), 4:1 შონია (35)
გაფრთხილება: მარლიშვილი (48, დილა) ღურწკაია (69, მეგრი)
მსაჯი: ა. ორდენიძე (ონი)

**ტორპედო 7:0 სამეგრელო**

1:0 დ. ჯანაშია (5), 2:0 მეგრელაძე (25), 3:0 იმედაძე (26), 4:0 მეგრელაძე (35), 5:0 ვაჩიბერაძე (54), 6:0 ჩხეტიანი (74), 7:0 იმედაძე (90)
მსაჯი: ლ. მიქელაძე (სამტრედია)

**ბათუმი 2:0 ოკეანე**

1:0 ა. მუჯირი (52), 2:0 გადელია (63)
მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

**ხობი 3:1 გურია**

**კოლხეთი 6:0 შუქურა**

1:0 ე. გვასალია (33), 2:0, 3:0 შალამბერიძე (40, 52), 4:0 ე. გვასალია (85), 5:0, 6:0 შალამბერიძე (86, 90პ)
გაფრთხილება: გოროზია (7)
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**სამგურალი 3:0 იბერია 2**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერიხ ეპლე: ჯერ ბავშვებს მიხედეთ და მერე...

*გუშინ თბილისიდან გაემგზავრა უეფას აღმოსავლეთ ევროპის განვითარებისა და დახმარების კომიტეტის უფროსი ერიხ ეპლე, რომელიც ჩვენთან ორ დღეს სტუმრობდა და ფეხბურთის ფედერაციის ჩინოსანთ ქართული ფეხბურთის მომავალზე ესაუბრებოდა.*

*მისივე თქმით, ექვსი წელია, ის საქართველოში ჩამოდის, ხანდახან წელიწადში ორჯერაც, ისმენს აქაურთა თხოვნებს, პრიორიტეტულ საკითხებზე მსჯელობს, მერე უეფაში ბრუნდება, როგორც საჭიროდ ჩათვლის, ისე გვეხმარება. ასე გავიდა დრო, შვიდი წელი უეფა-ფიფაში გაწევრიანებიდან.*

*ეპლე ძველი ფედერაციის ჩინოსანთა კარგ მეგობრადაც ითვლებოდა, განსაკუთრებით ნოდარ ახალკაცისა. ამბობს, დიდი პიროვნება იყო, უდიდესი ავტორიტეტის მქონე, უძლიერესი მწვრთნელი, მაგრამ ორგანიზატორის ნიჭი არ ჰქონდაო.*

*ეპლეს ახალი ფედერაციის ჩინოსნებთანაც კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა. ახალკაცისგან განსხვავებით, მერაბ ჟორდანიას მარკეტინგი უკეთ ესმის, უკეთესი ორგანიზატორიცააო.*

*ეპლემ სხვაც ბევრი გვითხრა საინტერესო, გუშინ „სარბიელის" კითხვებს რომ უპასუხა:*



ერიხ ეპლე

ბადრი ქეთიშვილის ფოტო

**— მერამდენედ ჩამოხვედით საქართველოში?**

— ზუსტად აღარც ვიცი. სათვალავი ამერია. ათჯერ მაინც ვიქნები თბილისში ნამყოფი.

**— ამჟამინდელი ვიზიტის მიზანი რა არის?**

— ჩვეულებრივ, როგორც ყოველთვის, ახლაც ფეხბურთის ფედერაციის ჩინოსნებს შევხვდით და გავიგეთ, რა მიაჩნიათ ქართული ფეხბურთის ალორძინებისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებად. ახლა თქვენებურების ნათქვამს უეფაში განვიხილავთ, ღირს თუ არა ჩაფიქრებული საქმის ხელშეწყობა და გადავწყვეტთ, როგორ, რა თანხით დავეხმაროთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას.

**— ჟორდანიამ და ჩოლარიამ რა თქვეს, რას ვთვლით პრიორიტეტულ მიმართულებადო?**

— პირველყოვლისა ბავშვთა ფეხბურთზე გაამახვილეს ყურადღება და კარგი საქმეც წამოუწყიათ, ეროვნული სტადიონის ტერიტორიაზე ხელოვნურსაფარიან მოედანს რომ უშენებენ პატარებს. ამაზე დაუფიქრებლად დავთანხმდი, უკეთესს ვერაფერს გააკეთებთ-მეთქი, ვუთხარი. ამის დასაფინანსებლად კი უეფა უეჭველად ფულს გამოჰყოფს. ლაპარაკი იყო ფედერაციის შენობის გარემონტებაზეც, თუმცა, როგორც ვიცი, ის ნაგებობა რომ ნორმალურად გაკეთდეს, დაახლოებით 3 მილიონი დოლარია საჭირო. მერე პრეზიდენტმა სხვა, ორსართულიანი შენობა მაჩვენა და შესაძლოა ფედერაციამაც იქ დაიდოს ბინა. ვისაუბრეთ საქართველოს ნაკრებისთვის ბაზის აშენებაზე და ავტობუსის შეძენაზე. მე კი ერთი ვთქვი, გნებავთ, უეფას ულტიმატუმად ჩათვალეთ, თუ გსურთ, ახალი შესარჩევი ციკლის თამაშებს უმასპინძლოთ, მაშინ სტადიონზე განათება მოაწესრიგეთ-მეთქი. თუ ეროვნულზე უეფას სტანდარტების შესაბამისი ძაბვა არ იქნება, გარწმუნებთ, საერთაშორისო მატჩებს ვერ უმასპინძლებთ. უკვე ორი წელია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უეფას ჰპირდება, განათებას მოვაწესრიგებთო, გარანტიებსაც კი იძლეოდნენ, მაგრამ... ჩვენ გარანტია არ გვჭირდება, სინათლე გვინდა.

**— ამაშიც დაეხმარებით ფედერაციას?**

— ვნახოთ, მოვიფიქრებთ, ალბათ დავეხმარებით.

**— როდის?**

— როცა საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ. თუმცა, იცოდეთ, უეფა ფედერაციას არაფერს აძლევს, ფული იმ ფირმის ანგარიშზე ჩაირიცხება, რომელიც სამუშაოებს შეასრულებს. დარწმუნებულები უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი ფული საქმეს მოხმარდა.

**— აქამდე რა გააკეთა უეფამ ქართული ფეხბურთისთვის?**

— ბევრი რამ, ყველაფერი ზუსტად აღარც მახსოვს. დავეხმარეთ ეროვნულ სტადიონზე 22 ათასი ინდივიდალური სკამის დამონტაჟებაში, ქართველი მწვრთნელები მივიწვიეთ სპეციალურ სემინარებზე, აქაც ჩამოვიყვანეთ ცნობილი სპეციალისტები, შევმოსეთ საქართველოს სხვადასხვა ასაკის ნაკრებები, ფედერაციას ვაჩუქეთ 10 000 ბურთი... თუმცა ერთს სახელმწიფო სტრუქტურების გასაგონად ვიტყვი, საჩუქრები არც ერთ ქვეყანაში არ იბეგრება, ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში ხდება. საჩუქარში ბეგარას არავინ იხდის.

**— ფინანსური თვალსაზრისით ძალიან წყალწაღებულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია?**

— არა უშავს, უფრო გაჭირვებულებიც არიან. ბოსნია, მაკედონია, ამ ქვეყნებში უარესი მდგომარეობაა. მართალია, ალბანეთი გეოგრაფიულად არ არის აღმოსავლეთ ევროპა, მაგრამ მათაც ჩვენი კომიტეტი კურირებს და ეხმარება. იქაც უჭირთ.

**— ყველაზე დალხენილი რომელი ქვეყნის ფედერაციაა აღმოსავლეთ ევროპაში?**

— რუსეთის და უკრაინის. სტაბილურად მიიწევენ წინ აზერბაიჯანელები, მოლდოველები, სომხები. მათ კარგად იციან, ფული რას მოახმარონ და მოგებას რისგან ელოდონ. რუსები კი არასწორი მიმართულებით მიდიან, ბავშვთა ფეხბურთი ფაქტობრივად უყურადღებოდ არის. ფულს მთლიანად უკვე ჩამოყალიბებულ ფეხბურთელებს ახარჯავენ. შედეგიც სახეზეა, ისინი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მიღმა დარჩნენ. შესაძლოა, მომავალში მათი ფეხბურთის დონემ კიდევ უფრო დაიწიოს. თითქმის მათსავე დღეში არიან ბულგარელებიც. ერთი ყველამ უნდა იცოდეს — ჯერ ბავშვთა ფეხბურთი და მერე დანარჩენი. ახალი თაობა ხომ უნდა გაიზარდოს.

**— თქვენ აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანა მოვლილი გექნებათ... ზემოთ ნახსენებ ქვეყნებზე არას გეკითხებით, სხვებს ბევრად ჩამორჩება საქართველოს ფედერაცია?**

— ბოლო დროს უეფაში ბევრი ახალი ქვეყანა გაწევრიანდა. დაიშალა საბჭოთა კავშირი, იუგოსლავიაც რამდენიმე რესპუბლიკად დაიყო. ესენი კი, თითქმის ყველანი, ერთნაირ მდგომარეობაში არიან და მიჭირს რაიმეს თქმა, შედარება. ჩვენ ყველას ვეხმარებით და განვითარების პროგრამას ვთავაზობთ. ვინ როგორ ასრულებს ამას, სხვა საქმეა, თუმცა მეტ-ნაკლებად ამ ახალ ფედერაციებს მაინც უჭირთ. როგორც გითხარით, რუსეთისა და უკრაინის გარდა. აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებზე კი, რა გითხრათ, მათ საკმაო გამოცდილებაცა აქვთ და აწყობილი სისტემაც.

**— თქვენი აზრით, როდის ეშველება, როდის გაიმართება წელში საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია?**

— ვერ გეტყვით, მიჭირს პასუხის გაცემა. ისე, ყოფილი საბჭოეთის ყველა რესპუბლიკაში ვიმყოფებოდი და ალალად გეუბნებით — დღეს ამ 15 რესპუბლიკიდან ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე თამაშის ყველაზე მეტი პერსპექტივა საქართველოს აქვს. ამდენი ნიჭიერი ბავშვი არსად მინახავს...

**— ცოტა გადაჭარბებული ხომ არ არის? აგერ, უკრაინას ერთი ნაბიჯი აკლია და ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. რუსებს უკვე ნათამაშევი აქვთ.**

— რუსებზე გითხარით, ისინი რეგრესს განიცდიან. უკრაინა კი, საერთოდ, ცალკე საუბრის თემაა. ქართულ ფეხბურთს რომ სახელმწიფო უხმარებოდეს, თქვენებურ „დინამოს" მილიონებს აძლევდეს, როგორ ფიქრობთ, საქართველო ვერ ითამაშებდა უკრაინელთა მსგავსად? ან თბილისის „დინამო" ვერ მოხვდებოდა ჩემპიონთა ლიგაში? მოდით, ჯერ სახელმწიფომ უკრაინელების მსგავსად ქართულ ფეხბურთს უამრავი ფული დაახარჯოს და ამაზე მაშინ გიპასუხებთ. არ ვამბობ მართალს?

**— ნუთუ ყველაფერი იმის ბრალია, რომ ფეხბურთს სახელმწიფო არ ეხმარება? ფულის შოვნის სხვა გზაც ხომ არსებობს?**

— როგორ არა, ავტორიტეტი, რომელიც ქართულმა ფეხბურთმა სწორედ უფულობის, ქვეყნის მძიმე ეკონომიკური, პოლიტიკური მდგომარეობის გამო დაკარგა. ფულის შოვნა მატჩების ტელეტრანსლაციების ჩვენების უფლების გაყიდვით შეიძლება, რეკლამებით, სპონსორებით... უავტორიტეტო ნაკრების მატჩების რეპორტაჟზე კი თითქმის ყველა ტელევიზია თავს იკავებს, რეკლამის მსურველი არავინაა, ასეთი გუნდის დახმარება არც სპონსორებს აძლევთ ხელს. საქართველოს ნაკრები ნაკლებ პოპულარულია. თანაც ახლახან დამთავრებული ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფიც ნაკლებ სარფიანი იყო თქვენებურთათვის. ევროპას ხუთი გრანდი ჰყავს, უეფას მათგან დიდი შემოსავალი აქვს და დანარჩენ ფედერაციებსაც ამათგან მიღებულ ფულს უნაწილებს. ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია და ესპანეთი — ახალ შესარჩევ ციკლში ფრანგების გარდა ნებისმიერი შეიძლება საქართველოს ჯგუფში მოხვდეს, ეს კი თქვენთვის ფინანსურად მომგებიანი იქნება.

**— ფინანსურად მომგებიანი ის უფრო არ იქნება, მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშოს ჩვენმა ნაკრებმა?**

— რა თქმა უნდა. მაშინ უეფასა და ფიფას ცენტრალიზებული ბიუჯეტიდან გამოგეყოფათ თანხა.

**— რაკი ასეა, არ სჯობს, ჯგუფში იმ ოთხეულზე სუსტი მეტოქენი გვარგუნოს კენჭისყრამ?**

— ერთს მე გკითხავთ. არ სჯობს, ჯგუფში ძლიერ, ავტორიტეტულ გუნდებთან მოგიწიოთ თამაშმა და ფული აიღოთ, ბავშვთა ფეხბურთს მოახმაროთ და უკეთესი მომავალი გქონდეთ?

**— კარგია, მაგრამ ბავშვებზე მსოფლიოს ჩემპიონატიდან მიღებული თანხა რომ დაიხარჯოს, არ შეიძლება?**

— მაშ, შევთანხმდეთ. საქართველოს ნაკრებმა საშუალო სიძლიერის ჯგუფში ითამაშოს — შვეიცარია, პორტუგალია, ბელგია... ისინი ფეხბურთსაც საშუალოდ თამაშობენ და ფინანსურადაც არა უშავთ.

...ბოლოს ეპლემ თქვა, აქ ბავშვების ვარჯიშს ვუცქირე და თითისტოლა ბიჭმა ისეთი გოლი გაიტანა, კინაღამ ჭკუიდან შევიშალეო.

ჟოჟა ინასარიძე

# უიღბლო

ასეა. როცა კაცს არ გიმართლებს, უიღბლობას მიაწერენ. აბა, სხვა რა უნდა გვეფიქრა, როდესაც თბილისის „ლოკომოტივის" მეკარის, ლევან დოლაბერიძის ამბავი შევიტყვეთ. ჩვენში „ორი წუთის და პენალტების მეფედ" მონათლულ ფეხბურთელს სათამაშო პრაქტიკა მოწყურებოდა. გუშინწინდელ სათასო მატჩში, რკინიგზელთა ფარმკლუბთან, „ლოკომოტივი 2"-თან თემურ მახარაძემ დოლაბერიძე მეორე ტაიმში შეუშვა მოედანზე ასლანაძის ნაცვლად. მეკარემაც სულ ხუთიოდ წუთი ითამაშა და... დაშავდა.

...ლევან დოლაბერიძე მასთან პირისპირ გასულ ფეხბურთელს ფეხებში ჩაუვარდა ბურთის ასართმევად, სახეში კი მოწინააღმდეგის ძლიერად მოქნეული ფეხი მოხვდა.

— ლევანი მაშინვე საავადმყოფოში წავიყვანეთ. სამწუხაროდ, გადაუდებელ ოპერაციას საჭიროებს. მას ყვრიმალის ძვალი გაუტყდა — გვითხრა გუშინ „ლოკომოტივის" ტექნიკურმა დირექტორმა ედიკ სანაიამ.

ასლანაძე უკვე შეცვლილი იყო და დოლაბერიძეც დაშავდა. ვინ წარმოიდგენდა, რომ განაცხადში მესამე მეკარის შეყვანა იქნებოდა საჭირო. ბუნებრივია ასე არ მოხდა და მთელი დარჩენილი დრო, 40 წუთი(!), კარში მცველი, კლუბის კაპიტანი გიორგი ჩიხრაძე იდგა. როგორც ჩანს, კარგადაც, რადგან „ჩიხომ", ახალგამომცხვარმა მეკარემ, კარი ხელუხლებლად შეინახა.

გიორგი ვაშაკიძე




ლევან დოლაბერიძე

ბადრი ქეთიშვილის ფოტო

# გაბელაია პასუხს ელის

ქართველი მწვრთნელების საზღვარგარეთულ სემინარებზე მივლინება ბოლო დროს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ჩვენებურები განსაკუთრებით კოვერჩიანოს გაუშინაურდნენ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დახმარებით ბოლო ერთი წლის განმავლობაში არაერთმა მწვრთნელმა გაიღრმავა ცოდნა იტალიაში. დეკემბერში მწვრთნელების რიო დე ჟანეიროში მივლინებაცაა დაგეგმილი.

ერთი ქართველი ფეხბურთის სპეციალისტი კი გერმანიას მიაშურებს. მოგეხსენებათ, თბილისის „მერანის" ყოფილმა მწვრთნელმა სერგო გაბელაიამ თანამდებობა მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის წინ დატოვა. მან გუნდი მოამზადა და მერე თავისი ადგილი თემურ ჩხაიძეს დაუთმო, თავად კი გერმანიაში, კერძოდ ქალაქ კიოლნში აპირებდა გამგზავრებას. გაბელაიას კიოლნის მწვრთნელთა სკოლაში ელოდნენ, მაგრამ ეს ვარიანტი არ გამოვიდა.

მიზეზი ფინანსების უქონლობა გახლდათ. თუმცა უახლოეს მომავალში სერგო გაბელაია გერმანიას, ალბათ, მაინც ეწვევა. მწვრთნელს მეორე გერმანული ქალაქიდან — ლაიპციგიდან მოუვიდა თანხმობა. ლაიპციგის სპორტულ სკოლაში სწავლა, როგორც თავად ბატონმა სერგომ გვითხრა, კიოლნზე ორჯერ იაფი — 100 ათასი გერმანული მარკა ჯდება, თანაც გერმანელებს შემოუთვლიათ, ამ ხარჯს ჩვენ გავიღებთო. გაბელაიამ ლაიპციგში ყველა საჭირო საბუთი გააგზავნა და დღე-დღეზე პასუხს ელის, მანამდე კი თემურ ჩხაიძეს ეხმარება „მერანის" გაწვრთნაში.

ლაიპციგის ვარიანტი თუ გამოვა (საამისო საფუძველი არსებობს), გაბელაია გერმანიაში ექვსი თვით წავა. ხუთ თვეს პეცადინეობა-სემინარები მიმდინარეობს, მეექვსე თვე კი გამოცდებს ეთმობა. თუ ჩვენებურმა ისინი წარმატებით ჩააბარა, ქართული ფეხბურთი კიდევ ერთ ლიცენზირებულ მწვრთნელს შეიძენს.

ვანო ოქროპირიძე

# ბასლერი ალბიონს შესცქერის

ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲓᲐ ხმები, თითქოს ინგლისის პრემიერლიგაში მოასპარეზე „სანდერლენდს“ მიუნხენის „ბაიერნიდან“ გერმანელი ნახევარმცველის, მარიო ბასლერის გადაბირება განუზრახავს და ამისთვის 1 მილიონი გირვანქის გაღებასაც აპირებს. გუნდის ხელმძღვანელობა წლეულს მინიმუმ უეფას თასზე მოხვედრას ისახავს მიზნად და მათი აზრით, სუპერმარიო „სანდერლენდს“ ამის განხორციელებაში დიდად წაადგება.

მიმდინარე სეზონი პრემიერლიგის ახალწვეულმა მშვენივრად დაიწყო და კლუბის მენეჯერ პიტერ რიდის აზრით, გერმანელი ვარსკვლავის მდიდარი საფეხბურთო გამოცდილება მის გუნდს მიზნის მიღწევაში აუცილებლად დაეხმარება.

უკანასკნელ პერიოდში ბასლერს თავის კლუბში, მიუნხენის „ბაიერნში“, არცთუ სახარბიელოდ აქვს საქმე და გუნდი გაყიდვასაც კი უპირებს. გენერალური მენეჯერის, ული ჰოინესის განცხადებით, ბასლერი შემადგენლობაში ვეღარასოდეს მოხვდება ლოთობისა და ხულიგნობის გამო. შეგახსენებთ, რომ ბასლერი ბოლო დროს არაერთ სკანდალურ სიტუაციაში გაება და ამისთვის რამდენჯერმე დაჯარიმდა კიდეც. ჰოინესი აცხადებს, რომ კლუბი ბასლერს აუცილებლად გაყიდის და თანაც უახლოეს პერიოდში.

ამას ისიც ემატება, რომ გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ერიხ რიბეკმა ბასლერი ნაკრებიდანაც გააგდო. სავარაუდოა, რომ ახლა არც ერთი ბუნდესლიგის კლუბი არ მოინდომებს სუპერმარიოსთან საქმის დაჭერას.

ამ ცოტა ხნის წინ ბასლერის გადაბირებას ესპანური მადრიდის „ატლეტიკო“ ლამობდა, მაგრამ ტრანსფერი საბოლოოდ არ შედგა და ახლა მარიო, ალბათ, კარიერის ინგლისში გაგრძელებას გადაწყვეტს. ამას იგი თვითონაც აცხადებს და ამბობს, რომ თუ საინტერესო წინადადებებს მიიღებს, სიამოვნებით გადავა პრემიერლიგის რომელიმე კლუბში.

ბასლერს მიუნხენის „ბაიერნთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება, მაგრამ მოსალოდნელია, მან უფრო ადრე დატოვოს გერმანია. ყველაზე რეალურია, რომ იგი „სანდერლენდმა“ ჩაიგდოს ხელში.

## მერკოსურის თასი

**ინდეპენდიენტე (არგენტინა) 1:1 ფლამენგო (ბრაზილია)**

0:1 ფაბიო ბაიანო (60), 1:1 კალდერონი (77)



„ინდეპენდიენტეს“ სებასტიან პენიამ „ფლამენგოს“ მარსელო მოცელა

მიუხედავად იმისა, რომ თამაში ცხრა კაცით დაასრულა, „ფლამენგომ“ ღირსეულად გაუძლო გამოცდას და კოპა მერკუსორის მეოთხედფინალში „ინდეპენდიენტესთან“ 1:1 გაახერხა.

შეხვედრაში, რომელიც ბუენოს აირესში გაიმართა, ბრაზილიელებს თავიდან ნახევარმცველი ბეტო გაუძევეს მოედნიდან. ეს 33-ე წუთზე მოხდა, როდესაც ფლამენგოელმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო, ხოლო შესვენების შემდეგ, მეორე ტაიმის შუაში, ბეტოს გზას რეინალდოც გაუყენეს. მან მეტოქეს, ესტებან კაბიასოს წიხლი უთავაზა.

აღსანიშნავია, რომ რეინალდო მოედანზე სულ ხუთი წუთის შესული გახლდათ. მაგრამ, რიცხობრივი უმცირესობის მიუხედავად სტუმრებმა მე-60 წუთზე გახსნეს ანგარიში. გოლი ფაბიო ბაიანომ გაიტანა. მას ერთობ გონივრული პასით ასისტენტობა ცნობილმა რომარიომ გაუწია. ამ მომენტამდე რამდენიმე წუთით ადრე 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა თავად ააცილა ერთობ ხელსაყრელ ეპიზოდში.

თამაშის ბოლო 20 წუთში „ინდეპენდიენტემ“ „ფლამენგოს“ საჯარიმოში გადაიტანა შეხვედრის სიმძიმის ცენტრი, მაგრამ შთამბეჭდავი უპირატესობის მიუხედავად გოლი ერთადერთხელ, 77-ე წუთზე შეაგდო ხოსე ლუის კალდერონის თავური დარტყმის წყალობით.

მოგეხსენებათ, მერკუსორის თასი ტელეკომპანიების მიერ შექმნილი კომერციული ტურნირია, რომლის მონაწილეებსაც სპორტული პრინციპით კი არ არჩევენ, სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაცია თავისი შეხედულებისამებრ პირდაპირ ასახელებს.

„ფლამენგოსა“ და „ინდეპენდიენტეს“ შორის გამარჯვებული ნახევარფინალში ურუგვაის „პენიაროლს“ უნდა შეხვდეს.

# სოკერუს კაპიტანი ბედნიერია

„ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠ ᲘᲣᲜᲐᲘᲢᲔᲓᲘᲡ“ მეკარე მარკ ბოსნიჩი თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდის, ავსტრალიის ნაკრების კაპიტნად დანიშნეს. ავსტრალიის ნაკრები, რომელსაც ქომაგები სოკერუს უწოდებენ — სოკერი მოგეხსენებათ ინგლისურად ფეხბურთს ნიშნავს, სოკერუ კი ამ კონტინენტზე გავრცელებული ცხოველის, კენგურუს ხათრით გადასხვაფერებული სიტყვა გახლავთ — ნოემბერში ბრაზილიასთან ორ ამხანაგურ თამაშს მართავს.

როგორც ამბობენ, ავსტრალიელთა მწვრთნელმა, ფრენკ ფარინამ, ეს ნაბიჯი ბოსნიჩის ოსტატობის გამო გადადგა, მაგრამ „იუნაიტედის“ კარის მცველს იმის გარანტია, რომ 2002 წლის, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებაში სამკლაური მაისურაზე დარჩება, მაინც არ აქვს.

ავსტრალიისა და ბრაზილიის ნაკრებთა შეხვედრები — ბრაზილიის გუნდის შემადგენლობაში რონალდოც ითამაშებს — 14-ში სიდნეიში და 17-ში მელბურნში გაიმართება.

„ბედნიერი გახლავართ, რომ პატივი დამდეს და ავსტრალიის ნაკრების კაპიტნად ამირჩიეს. ეს ჩემი ბავშვობის ოცნება გახლდათ“ — შეუთვალა მეკარემ თანამემამულე ქომაგებს მანჩესტერიდან — „ჯერ „იუნაიტედის“ პირველ მეკარედ დამაბრუნეს, შემდეგ კი ნაკრების კაპიტნად დამასახელეს, ამაზე უკეთ საქმე როგორღა უნდა წამივიდეს“.

ბოსნიჩი, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედში“ „ასტონ ვილადან“ გადავიდა — მას მერე, რაც „იუნაიტედმა“ პიტერ შმაიხელი გაუშვა — პრემიერლიგური კარიერის განმავლობაში ხშირად მოხვედრილა გაზეთების ფურცლებზე.

1996 წელს წარმოშობით სიდნეელმა გოლკიპერმა, ერთ-ერთი მატჩის დროს საზოგადოებრიობას თავი ჰიტლერული მისალმებით დაამახსოვრა, ხოლო ახლა, ივნისში, უკვე „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასულს, ბირმინგემის დანსინგში, საკუთარი ქორწილის დღეს, ფოტორეპორტიორთან ჩხუბი მოუვიდა.

სოკერუში ბოსნიჩთან ერთად მეტ-ნაკლებად ცნობილთაგან ითამაშებენ გლაზგოს „სელტიკის“ წევრი მარკ ვიდუკა და, თუ ფარინამ მოახერხა, „ლიდს იუნაიტედის“ ფორვარდი ჰარი კიუელი.



მარკ ბოსნიჩი

# ფიქრი ხვალის ფეხბურთზე

ᲐᲗᲘ-ᲝᲪᲘ წლის შემდეგ მწვრთნელებს ფეხბურთელები აღარ დასჭირდებათ, დასხდებიან პირდაპირ ეთერში მრგვალ მაგიდასთან და იტყვიან: სატურნირო მდგომარეობა ასეთია, თამაში აქაა, შესაბამისად ამას შეტევა სჭირდება, იმას დაცვა, ის ამ პირობებიდან და კლიმატიდან გამომდინარე პრესინგის მეცხრამეტე მოდელს აარჩევს, ეს კი ანტიპრესინგის ოცდამესამე ვარიანტს დაუპირისპირებს, ამ დროს, თუ ეს 4-4-2-ს თამაშობს ის კი 3-5-2-ს მარცხენა ფრთაზე, სტუმრების ნახევრის, მეჩვიდმეტე მეტრზე იქმნება კლასიკური სივრცე, რომლის ასათვისებლადაც საჭიროა მარჯვენა საყრდენი ფეხის მქონე დაახლოებით 180 სანტიმეტრიანი ვირტუალური ნახევარმცველი სისხლში ერითროციტების შედარებით მაღალი რაოდენობით, მაგრამ მის გამოსანთავისუფლებლად ესენი სამწუთნახევრით უნდა გადაეწყონ 5-2-3 განლაგებაზე ოდნავ მარჯვნივჩაწეული ლიბეროთი, რასაც ისინი აუცილებლად დაუპირისპირებენ არითმიულ 3-4-1-2-ს. ვინაიდან ეს კომბინაცია მხოლოდ 75-ე ან 77-ე წუთებზე შეიძლება გათამაშდეს, ამ ქალაქში, ამ დროს კი ჰაერის ტემპერატურა ამდენია, ატმოსფერული წნევა კი იმდენი, რაც იმ გუნდის ფეხბურთელთა 65 პროცენტის ბიორიტმებზე ოდნავ უარყოფითად იმოქმედებს, ამ გუნდზე კი საერთოდ ვერ მოახდენს გავლენას, ესენი გოლს გაიტანენ და შეხვედრაც 1:0 დამთავრდება.



კარლო ანჩელოტი

ვისაც ზემოთქმულის სისწორეში ეჭვი ეპარება, კარლო ანჩელოტის ჰკითხოს. იმავეს დადასტურება შეუძლიათ ლუის ვან გაალს, მარჩელო ლიპის, ფაბიო კაპელოსა და ნაწილობრივ სვენ-გორან ერიკსონს.

ჯოვანი ტრაპატონის ამ თემაზე სიტყვას ნურასდროს ჩამოუგდებთ, ცოდოა მოხუცი. მას დღემდე სჯერა, რომ თამაში ბატისტუტაზე უნდა ააწყოს. ანჩელოტის კი გული ყოველთვის პროგრესულს უგრძნობდა და ამიტომაც იყო ჯერ კიდევ ორი-სამი წლის წინ „პარმაში“ რობერტო ბაჯოს აყვანაზე კატეგორიულ უარს რომ აცხადებდა.

გლენ ჰოდლს განათლებამ და წარმოშობამ გამოსდო კვანტი, თორემ ალლოთი ყველაფერს სწორედ ხვდებოდა. მაგალითად პოლ გესქოინის მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წაყვანაც იკმარებს.

შეიძლება იკითხოთ, რა წარმოშობა აქვს ჰოდლს. გიპასუხებთ, რომ იგი მატ ბასბის არაპირდაპირი შთამომავალია, ბასბი კი თითქმის 25 წლის განმავლობაში უქადაგებდა თავის მოთამაშეებს ისეთი ფეხბურთი ითამაშეთ სიამოვნებას რომ მოგანიჭებთო. შედეგად, მოღვაწეობის 23-ე წელიწადს ჩემპიონთა თასი მოიგო.

რაც შეეხებათ ანჩელოტის, ლიპისა და კაპელოს, მათ წარმოშობა სწორედაც უწყობთ ხელს. ისინი ელინიო ერერას ირიბი შთამომავალნი არიან, რომელიც ბასბისავე დროებაში თავის ფეხბურთელებს დაცვაში აყენებდა და ავალებდა მეტოქისათვის თავისი თამაშით სიამოვნების მიღება ეცლიათ, ხოლო შეცდომას რომ შენიშნავდნენ გოლი გაეტანათ. როგორ უნდა გაეტანათ გოლი, ერერას ფეხბურთელებმა დაფაზე ცარცით დახაზული სქემებიდან იცოდნენ. შედეგად ერერამ ზედიზედ, მხოლოდ ორჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი.

ვან გაალის წარმოშობა ცალკე თემაა. მისი წინაპარი, როგორც დარვინის, ასევე ბიბლიის თანახმად, გახლავთ რინუს მიხელსი, რომელსაც თავის მხრივ წარმოშობა არ აქვს ანუ მიხელსი. რუსულად ითარგმნება, როგორც ბეზროდნი. მიუხედავად ამისა, წინაპარიცა და შთამომავალიც დიდი მოღვაწენი გახლავან და ფეხბურთის თანამედროვე სახის ჩამოყალიბებაში ვეება წვლილი მიუძღვით.

ისინი გახლავან ხიდი გუშინდელი დღიდან ხვალინდელისკენ, ხვალ კი მათ შთამომავალთ ფეხბურთელები აღარ დასჭირდებათ, რადგან რომ იმ გუნდს ამასთან გასამარჯვებლად 34-დან 38-ე წუთებამდე, მოედნის მესამე მეოთხედზე რიცხობრივი უპირატესობის მოპოვება დასჭირდება, მაგრამ ვინაიდან პირველი თამაშის ანგარიში 1:2 გახლდათ, იგი დაცვის ხაზურ მეთოდს ვერ მიმართავს, მოწინააღმდეგე ხომ 3-3-3-1 განლაგებით ზონურ პრესინგს თამაშობს, ამ დროს კი ორლიბეროიანი დაცვით იმპულსური კონტრშეტევებია აუცილებელი, რისთვისაც სეზონისწინა შეკრების სამხრეთამერიკის შუამთიანეთში ჩატარება და ინტენსიური ვიტამინოთერაპიაა საჭირო, ხოლო მათი კლუბის ბიუჯეტი ამის საშუალებას არ იძლევა, რის გამოც პირიქით, 84-ე და 87-ე წუთზებე ორ გოლს გაუშვებენ და დამარცხდებიან.

ამომწურავი ინფორმაციისთვის მიმართეთ კარლო ანჩელოტის.

**ბაბუნა ქედია**

*დაწერილია საქართველოს ჩემპიონატის „ა“ და „ბ“ ზონების მე-10 ტურის გავლენით*

## მილანი პალერმოზე ფიქრობს

იტალიური გაზეთის, „ტუტოსპორტის“ თანახმად, „მილანი“ არგენტინელი თავდამსხმელის, მარტინ პალერმოს შეძენით არის დაინტერესებული. პალერმოს, რომელიც „ბოკა ხუნიორსში“ თამაშობს, აქამდე რომის „ლაციოს“ უკავშირებდნენ, მაგრამ გარიგება, სექტემბერში, იტალიაში სატრანსფერო სეზონის დახურვის წინ რომ უნდა განხორციელებულიყო, თანხის გამო ჩაიშალა: „ბოკა ხუნიორსი“ 15 მილიონ დოლარს ითხოვდა.

მოსალოდნელია, რომ იანვრის დასაწყისში, როდესაც ახალი სატრანსფერო სეზონი გაიხსნება, „ლაციო“ კვლავ მიმართავს „ბოკას“ ფორვარდის თაობაზე, მაგრამ ამჯერად „მილანთან“ მოუწევს კომერციული პაექრობა.

## უკრაინა

მე-14 ტური. ზაპოროჟიე — მეტალურგი 1:1; მარიუპოლი — მეტალისტი 3:1; დინამო — დნიპრო 4:0; კრივბასი — ტავრია 2:1; ვორსკლა — ზირკა 1:1; პრიკარპატია — კარპატი 3:1; ნივა — ცსკა 2:2; შახტარი — ჩორნომორეცი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 11 | 10 | 1 | 0 | 26:6 | 31 |
| კრივბასი | 13 | 9 | 3 | 1 | 25:12 | 30 |
| ვორსკლა | 14 | 7 | 3 | 4 | 28:18 | 24 |
| შახტარი | 13 | 7 | 1 | 5 | 17:7 | 22 |
| ზაპოროჟიე | 13 | 6 | 4 | 3 | 18:13 | 22 |
| კარპატი | 14 | 7 | 0 | 7 | 24:20 | 21 |
| მეტალურგი | 14 | 5 | 5 | 4 | 18:15 | 20 |
| მეტალისტი | 13 | 6 | 2 | 5 | 15:16 | 20 |
| მარიუპოლი | 14 | 6 | 1 | 7 | 25:21 | 19 |
| ცსკა | 14 | 4 | 6 | 4 | 17:13 | 18 |
| ტავრია | 14 | 4 | 4 | 6 | 19:21 | 16 |
| ჩორნომორეცი | 14 | 4 | 2 | 8 | 8:26 | 14 |
| დნიპრო | 14 | 3 | 4 | 7 | 12:29 | 13 |
| პრიკარპატია | 13 | 2 | 5 | 6 | 11:17 | 11 |
| ნივა | 14 | 2 | 5 | 7 | 18:27 | 11 |
| ზირკა | 14 | 0 | 6 | 8 | 7:27 | 6 |

წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვაში, ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელები რომ მონაწილეობდნენ, დევიდ ბექემი ერთობ სწრაფად აგროვებს ხმებს და თუ რივალდოს გაუსწრებს, ამ ტიტულის მფლობელი პირველი ინგლისელი მოთამაშე გახდება.

ირონიული ფაქტია: „მანჩესტერ იუნაიტედის" თავმჯდომარემ, მარტინ ედუარდსმა, მწვრთნელს, ალექს ფერგიუსონს, რივალდოს „ბარსელონადან" „იუნაიტედში" მიწვევა აუკრძალა.

ამრიგად, დღეს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს ბექემს რივალდო ეცილება, მაგრამ ბრაზილიელის სასარგებლო არგუმენტები ნაკლებად შთამბეჭდავია. მაგალითად რივალდომ და „ბარსელონამ" ჩემპიონთა ლიგის გასულ თამაშებში ფიასკო განიცადეს, მაშინ, როდესაც ბექემი გამარჯვებული „მანჩესტერ იუნაიტედის" ერთ-ერთი თვალსაჩინო ვარსკვლავთაგანი გახლდათ. „იუნაიტედმა" ჩემპიონთა თასის გარდა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული და ფეხბურთის ასოციაციის თასიც მოიგო. იგი მსოფლიოს კლუბთა პირველ ჩემპიონატზეა მიწვეული და იქ ფავორიტადაც ითვლება. რაც შეეხება რივალდოს, მას დიდი არაფრისთვის მიუღწევია კოპა ამერიკაზე გაბრწყინებას თუ არ ჩავთვლით.

თუ სიტყვა ნაკრებებზე ჩამოვარდა, ბექემი ინგლისელთა დიდი იმედია და მწვრთნელს, კევინ კიგანს, ევრო 2000-ის შესარჩევ პლეი ოფში, შოტლანდიის წინააღმდეგ საკვანძო მოთამაშედ მიაჩნია.

გარდა ამისა ხმათა გარკვეული რაოდენობა შესაძლოა ბექემის ცოლმაც მიიზიდოს. დიახ, მართალია რივალდო ფიფას ოჯახის მესამედის ფავორიტია, ბექემს გაცილებით ფართო წრეებში იცნობენ, რამეთუ მეუღლის, ვიქტორია ადამსის წყალობით იგი სხვადასხვა გაზეთების პრესტიჟულ სვეტებში მოხვედრილა.

საგულისხმოა, რომ დევიდ ბექემს ინგლისში არასდროს მიუღია ინდივიდუალური ჯილდო, განსხვავებით, მაგალითად, დავიდ ჟინოლასგან, რომელსაც, თავის დროზე, პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის წლის საუკეთესო ფეხბურთელის სახელიც ერგო და საფეხბურთო მწერალთა ასოციაციის რჩეულიც შეიქნა.

და მაინც, ბექემი თუ რივალდო?

# ისინი თანაბარნი არიან



მაინც რომელია უკეთესი დევიდ ბექემი (მარჯვნივ)...

### პასები

**ბექემი** — „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავს ბურთი შეუძლია ნემსის ყუნწში გააძვრინოს. იგი მეტოქეთა დაცვას ჩინებული გადაცემებით არღვევს. ინგლისში მას არავინ სჯობია.

**რივალდო** — ბრაზილიელ ჯადოქარს საუცხოოდ გამოზომილი მოკლე და გრძელი პასების გადაწოდება სჩვევია. მისი პასის შემდეგ ბურთი ფაქტობრივად ყოველთვის აღწევს ადრესატს.



...თუ რივალდო (№11)?

### ჩაკიდება

**ბექემი** — ევროპულ ფეხბურთში ბუმერანგი გამოჩნდა. მისი ჩაკიდებები ხშირად გოლებივით ლამაზია.

**რივალდო** — იშვიათად იყენებს ამ ილეთს როგორც „ბარსელონაში", ასევე ბრაზილიის ნაკრებში. ჩაკიდების დიდი გამოცდილებაც არ აქვს.

### დარტყმა

**ბექემი** — ძალიან აკურატული დარტყმებით გამოირჩევა, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედში", ალბათ, მეტის გატანა მართებს.

**რივალდო** — დიდებულ დამრტყმელთა კატეგორიას არ განეკუთვნება, მაგრამ ევროპაში მისი დარტყმის მოგერიება ბევრი მეკარისთვის ერთობ უსიამოვნო და რთული საქმეა.

### ბურთის ფლობა

**ბექემი** — სავარაუდოდ ყველაზე ნიჭიერია ინგლისელთა შორის. ბურთს ჩინებულად ეხება, ინდივიდუალური თამაშის დიდი შესაძლებლობა აქვს და ილეთებსაც მრავლად ფლობს.

**რივალდო** — ბრაზილიელს ფეხების ნაცვლად თითქოს ქვედა კიდურებადაც ხელები აქვს. სწორედ ბურთის ფლობის გამო მიაჩნია ბევრს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად.

### ტემპერამენტი

**ბექემი** — აქ ბექემი სერიოზულ სირთულეებს განიცდის. მძიმე მომენტებში მოთმინებას და სიმშვიდეს ჰკარგავს. საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონატზე, არგენტინელებთან შეხვედრაში მისი გაძევება დაუვიწყარია.

**რივალდო** — ტიპიური სამხრეთამერიკული, ფიცხი ხასიათი აქვს. ზეწოლის დროს ხანდახან მოთმინებას კარგავს.

### დასკვნა

ჯამში ისინი თანაბარნი არიან

**ჰარი ჰარისი,**
**„მირორ სპორტი"**

# შემადგენლობები მნიშვნელოვნად შეიცვლება

UEFA CUP

**მეორე ეტაპი. მეორე წრე**

**თასის** მფლობელ „პარმას" დღეს შვედეთში „ჰელსინგბორგთან" სერიოზული გამოცდა ელის. პარმელებს ერთგოლიანი უპირატესობა ტრავმებისგან შელახული შემადგენლობით მოუწევთ. კერძოდ, მათ არ ეყოლებათ გამთამაშებელი, არგენტინელი არიელ ორტეგა, იტალიის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ნახევარმცველი დიეგო ფუზერი და ბრაზილიელი თავდამსხმელი მარსიო ამოროზო.

პირველ შეხვედრაში 1:0 გამარჯვების შემდეგ „პარმას" მწვრთნელმა, ალბერტო მალესანიმ განაცხადა: „საპასუხო შეხვედრაში ძალიან ცოცხლად უნდა ვითამაშოთ, რამეთუ ერთგოლიანი უპირატესობა მიძინების უფლებას არ მოგვცემს. ვიცით, რომ „ჰელსინგბორგი" უტეხი ხასიათით გამოირჩევა".

ამ შეხვედრაში შვედებს ერთადერთი პრობლემა აქვთ, თავდამსხმელის, მატიას იონსონის დისკვალიფიკაცია.

„იუვენტუსს" ბულგარულ „ლევსკისთან" დიდი უპირატესობა აქვს, 3:1, ამიტომაც, მოსალოდნელია, რომ გამთამაშებელი ზინედინ ზიდანი დაასვენოს. ზიდანის გარდა, ალბათ, არ ითამაშებენ ფილიპო ინძაგი და ალესანდრო დელ პიეროც, რომლებიც კვირას, ტურინულ დერბიში „ტორინოსთან" შეხვედრის წინ დაისვენებენ. „ბებერი ქალბატონის" თავდასხმაში უეფას თასის სამ თამაშში გატანილი ექვსი გოლის ავტორი, იუგოსლაველი დარკო კოვაჩევიჩი და ურუგვაელი დანიელ ფონსეკა შეუწყვილდებიან ერთმანეთს.

ორგოლიანი უპირატესობა აქვს „რომასაც", რომელიც „სტადიო ოლიმპიკოზე" შვედურ „გიოტებორგს" ელის. ამის გამო რომაელთა მწვრთნელი, ფაბიო კაპელო იმ ფეხბურთელების გამოცდას აპირებს, რომელთაც ჩვეულებრივ სათადარიგოთა სკამზე ჩამოსხამს ხოლმე: თავდასხმაში ბრაზილიელი ფაბიო ჟუნიორის გამოჩენაა მოსალოდნელი, დაცვაში ბელარუსი სერგეი გურენკოსი, ხოლო ნახევარდაცვაში კრისტიანო ძანეტის.

და ბოლოს, მეოთხე იტალიური გუნდი „უდინეზე", რომელსაც პოლონურ „ლეგიასთან" 1:0 აქვს მოგებული, მაგრამ ვარშავაში მთავარი თავდამსხმელის, რობერტო მუცის გარეშე მოუწევს თამაში.

„ტოტენჰემ ჰოთსპური" „კაიზერსლაუტერნთან" პირველი თამაშის შემდეგ 1:0-ს იგებს. ლონდონელთა მწვრთნელმა, ჯორჯ გრემმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა:

„ევროპულ გუნდებთან პაექრობა დიდებულია, ხოლო რაც შეეხება კონკრეტულ მდგომარეობას, წარსულის გამოცდილება მაფიქრებინებს, რომ შემდგომ ეტაპზე გასვლას შევძლებთ".

აღსანიშნავია, რომ „ტოტენჰემ ჰოთსპურს" უეფას თასის მიმდინარე გათამაშებაში ჯერ გოლი არ გაუშვია, ხოლო ოპტიმიზმის საფუძველს ტრავმირებულთა, კრის არმსტრონგის, ოივინდ ლეონარდსენის და ალან ნილსენის გამოჯანმრთელებაც აძლევს.

„კაიზერსლაუტერნის" მწვრთნელმა, ოტო რეჰაგელმა კი ბრძანა: „მართალია, პირველ შეხვედრაში 0:1 წავაგეთ, მაგრამ ჩემი ფეხბურთელები ფიქრობენ, რომ დავიდ ჟინოლამ პენალტი ნაწილობრივ გამოიგონა. ახლა შინ ვთამაშობთ და საკუთარი გამარჯვებისა გვწამს".

„აიაქსს" ჰაიფის „აპოელთან" 3:0 სტუმრად აქვს მოგებული ანუ ფაქტობრივად უკვე შემდგომ ეტაპზეა. ამსტერდამელებს, ალბათ, ვერც ხუთი წამყვანი მცველის ტრავმა გაურთულებთ მდგომარეობას, თუმცაღა დაშავებულთა ნაცვლად სულ 19 წლის ბიჭების თამაშია მოსალოდნელი.

მწვრთნელი, იან ვოუტრსი ამბობს, რომ აქცენტს თავდასხმაზე გადაიტანს და ბრაიან ლაუდრუპის, ნიკოს მახლასისა და რიხარდ კნოპერის იმედად იქნება.

**მიხეილ სურგულაძე**

# ნუთუ მართლა კრუიფი?

**ესპანეთში** უცნაური ამბავი ხდება: მადრიდის „რეალის" ფანები სულ მეტად და მეტად იმედოვნებენ, რომ მათი გუნდის სათავეში ჯონ ტოშაკის შემდეგ „ბარსელონას" ყოფილი მწვრთნელი, მათ დაუძინებელ მტერთან ლამის გაიგივებული ჰოლანდიელი იოჰან კრუიფი მივა.



იოჰან კრუიფი

კრუიფი, მოგეხსენებათ, ის კაცია, ვინც ბარსელონაში „ოცნების გუნდი" შექმნა და 1992 წელს, ისტორიაში ჯერჯერობით ერთადერთხელ მოაპოვებინა ევროპის ჩემპიონთა თასი. გავლენიანი მადრიდული გაზეთის, „მარკას" გამოკითხვამ აჩვენა, რომ „რეალის" ქომაგთა 52,4 პროცენტს იმ პერიოდის წყენა დავიწყებული აქვს და „სამეფო გუნდის" ხელმძღვანელად კრუიფის მისვლას მიესალმება.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით კრუიფის შემდეგ პოპულარობის მიხედვით მოდიან ხორხე ვალდანო და რადომირ ანტიჩი. ორივენი „რეალის" ყოფილი მწვრთნელები გახლავან და შესაბამისად 25,1 და 14,4 პროცენტი მოაგროვეს.

რაც შეეხება უელსელ ჯონ ტოშაკს, რომელიც მადრიდის უტიტულოვანესი გუნდის სათავეში წლეულს თებერვალში მივიდა, ბოლო დროს გაძლიერებული კრიტიკის ობიექტი გახდა. მისი ხელმძღვანელობით ეროვნულ პირველობაზე „რეალს", აგერ უკვე რვა მატჩია გამარჯვება არ უზეიმია. „ლივერპულის" ყოფილი მოთამაშის თავზე საავდრო ღრუბლის გაყრა თითქოს ჯერ კიდევ შეუძლია შაბათის მატჩს პრიმერადივიზიონის ლიდერ „რაიო ვალეკანოსთან".

საკუთრივ ტოშაკი აცხადებს, რომ „რეალში" მუშაობის გაგრძელება სურს, სეზონის ბოლომდე მაინც, მაგრამ გაზეთების ცნობით მისი დაწერილი განცხადება გადადგომის შესახებ უკვე კლუბის პრეზიდენტის, ლორენსო სანსის კაბინეტშია.

როგორც „დაიარო 16" ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით აცხადებს, თუ სანსმა ამ კვირაში ახალ კანდიდატურას მიაგნო, ტოშაკს შაბათის შედეგის მიუხედავადაც გაანთავისუფლებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა. VI ტური. A ჯგუფი

### დინამო 0:1 ლაციო

0:1 მამედოვი (18 ს.კ.)
დინამო: შოვკოვსკი, გუსინი, მამედოვი, დმიტრულინი, გოლოვკო, ვაშჩუკი, კალაძე, კოსოვსკი, ფიოდოროვი (შაცკიხი 46), ბელკევიჩი, რებროვი
ლაციო: ბალოტა, პანკარო, ნეგრო, ფერნანდო კოუტუ, გოტარდი, სენსინი, მარკოლინი, სიმეონე, სტანკოვიჩი (პინცი 66), მანჩინი, ს. ინძაგი
მსაჯი: პ. დარკინი (ინგლისი)

კიევის „ოლიმპიურ“ სტადიონზე უკრაინის ჩემპიონი „დინამო“ იტალიის ვიცე-ჩემპიონ რომის „ლაციოს“ მასპინძლობდა. მიუხედავად იმისა, რომ კიეველებმა ეს შეხვედრა მინიმალური ანგარიშით 0:1 დათმეს, მომდევნო ჯგუფურ ეტაპზე მაინც ისინი გავიდნენ, რადგან მათმა უშუალო კონკურენტმა, გერმანულმა „ლევერკუზენმა“ ვერა და ვერ შეძლო სლოვენიური „მარიბორის“ გატეხვა. საბოლოოდ „დინამომ“ და „ლევერკუზენმა“ ჯგუფში შვიდ-შვიდი ქულა დააგროვეს, მაგრამ ურთიერთშეხვედრების უკეთესი მაჩვენებლით მომდევნო ეტაპზე უკრაინული გუნდი გავიდა. ასე რომ, კიეველები და მათი დროებითი თავკაცები ალექსეი მიხაილიჩენკო და ანატოლი დემიანენკო, რომლებმაც მწვრთნელის პოსტზე ამჟამად ჰოსპიტალში მყოფი ვალერი ლობანოვსკი შეცვალეს, მომდევნო ეტაპის საგზურს სლოვენიურ „მარიბორს“ უნდა უმადლოდნენ.

რომაელთა მთავარი მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი კმაყოფილი დარჩა საკუთარი გუნდის თამაშით, მით უმეტეს, რომ „ლაციოს“ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა. შეხვედრის ერთადერთი გოლი კი მე-18 წუთზე გავიდა, როდესაც ლაციოელ დარიო მარკოლინის მიერ მეტოქის საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი კიეველმა რამიზ მამედოვმა საკუთარ კარში ჩაჭრა. მიუხედავად „დინამოს“ დიდი მცდელობისა, ამის შემდეგ გოლი აღარ გასულა და მატჩიც ასე დასრულდა. კიევის „ოლიმპიურ“ სტადიონზე შეკრებილი 65 ათასი გულშემატკივარი და თავად უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა ამაოდ ელოდა რაიმე სასიკეთო ცვლილებას. „დინამომ“ მეტოქის მწყობრ დაცვას ვერაფერი მოუხერხა. ყველაზე რეალური შანსი კი 24-ე წუთზე კიეველთა შორის აქტიურ ანდრეი გუსინს მიეცა, მაგრამ მისი თავური დარტყმა მეკარე მარკო ბალოტამ მოიგერია. თუმც რამდენიმე შანსი „ლაციოსაც“ მიეცა. იტალიელ სიმონე ინძაგის საკუთარი გუნდის კიდევ უფრო დაწინაურება შეეძლო, მაგრამ კიეველთა მეკარე ალექსანდრ შოვკოვსკიმ იყოჩაღა. საკმაოდ აქტიურობდა ჩვენი თანამემამულე კახა კალაძეც, მაგრამ თავი ვერაფრით გამოიჩინა. სამაგიეროდ, ყვითელი ბარათი მიიღო და მომდევნო მატჩის გამოტოვება მოუწევს.

### ლევერკუზენი 0:0 მარიბორი

ლევერკუზენი: მატიშეკი, რეები (ბრადარიჩი 46), ი. ნოვოტნი, ჟივკოვიჩი, ჰეიდუკი, რამელო, ემერსონი, ბაინლიხი, შნაიდერი (ჰოფმანი 74), რაიხენბერგერი (პონტე 46), ნოივილი
მარიბორი: გრესაკი, გალიჩი, ვუგდალიჩი, სარკეზი, ჟიდანი, კარიჩი, სესლარი, დიურანოვიჩი, ბალაიჩი, ფილიპოვიჩი, სიმუნჯა (ბოზგო 56)
მსაჯი: დ. ელერეი (ინგლისი)

გერმანულმა „ლევერკუზენმა“ კი საკუთარი გულშემატკივრის თვალწინ მართლაც რომ სენსაცია მოახდინა, რამეთუ მისთვის ერთობ პრინციპულ მატჩში ვერაფრით შეძლო აუტსაიდერი „მარიბორის“ დამარცხება. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რა დიდ ძალას წარმოადგენს „ლევერკუზენისთვის“ გერმანიის ნაკრების ფორვარდი ულფ კირსტენი, რომელმაც შეხვედრა დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. უმისოდ „მარიბორის“ დაცვის გარღვევა და ბურთის გატანა შეუძლებელი შეიქნა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე რეალური შანსი ნამდვილად მიეცათ. მატჩის დებიუტშივე საკუთარი გუნდის დაწინაურების შესაძლებლობა ოლივერ ნოივილმა ვერ გამოიყენა — მან ახლო მანძილიდან კარს ააცილა. ხოლო მატჩის მე-14 წუთზე უკვე სლოვენიელთა გოლკიპერმა ვლადისლავ გრესაკმა იყოჩაღა. მან ლევერკუზენელ ტომას რაიხენბერგერს სახიფათო დარტყმა აუღო.



ლევერკუზენი — მარიბორი 0:0. ლევერკუზენელი ფრენკი ჰეიდუკი (მარცხნივ) მარიბორელ მარინკო გალიჩს ფეხებში ჩაუვარდა

მატჩის შემდეგ „ლევერკუზენის“ ტექნიკურმა დირექტორმა და ახლო წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა რუდი ფიოლერმა ვანაცხადა, რომ მიუხედავად დიდი მცდელობისა, მისმა გუნდმა „მარიბორის“ კომპაქტური დაცვის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. თავად სლოვენიელთა მწვრთნელმა ბოჟან პრაშნიკარმა შეაქო თავისი ფეხბურთელები და ისიც დასძინა, რომ ჩემპიონთა ლიგის მატჩებმა „მარიბორს“ უდიდესი გამოცდილება შესძინა.

მაშ ასე, საბოლოოდ გაირკვა, რომ ამ ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე „ლაციო“ და „დინამო“ იასპარეზებენ, ხოლო მესამეადგილოსანი „ლევერკუზენი“ უეფას თასზე ცდის ბედს.

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაციო | | 2:1 | 1:1 | 4:0 | 13:3 | 14 |
| 2 | დინამო | 0:1 | | 4:2 | 0:1 | 8:8 | 7 |
| 3 | ლევერკუზენი | 1:1 | 1:1 | | 0:0 | 7:7 | 7 |
| 4 | მარიბორი | 0:4 | 1:2 | 0:2 | | 2:12 | 4 |

## ჩემპიონთა ლიგა. VI ტური. B ჯგუფი

### ფიორენტინა 3:3 ბარსელონა

1:0 ბრესანი (14), 1:1 ფიგუ (20), 1:2 რივალდო (43), 2:2, 3:2 ბალბო (56, 69), 3:3 რივალდო (74)
ფიორენტინა: ტოლდო, პიერინი, ფირიკანო, ჰაინრიხი, დი ლივიო, ადანი, რუი კოშტა, ბრესანი, როსიტო (ამორი 90), ბალბო, კიეზა (ოკონი 33)
ბარსელონა: არნაუ, დეუ, ბოგარდი, გვარდიოლა (ხავი 46), რ. დე ბური (პუიოლი 46), ლუის ენრიკე, კოკუ, რივალდო, ფიგუ, ზენდენი, კლუივერტი
მსაჯი: ჰ. დალასი (შოტლანდია)

ფლორენციაში „ანტონიო ფრანკიზე“ ადგილობრივმა „ფიორენტინამ“ და ესპანურმა „ბარსელონამ“ ერთი ლამაზი საფეხბურთო სპექტაკლი დადგეს. ერთ მატჩში გატანილი ამდენი ბრწყინვალე გოლი მაყურებელს, ალბათ კარგა ხანია, არ ენახა. ორივე გუნდმა დაამტკიცა, რომ უმაღლესი დონის ვარსკვლავებითაა დაკომპლექტებული და მომდევნო ეტაპზეც ღირსეულად გავიდნენ.

შეხვედრის მე-14 წუთზე ანგარიში ბრწყინვალე „მაკრატელა“ დარტყმით საჯარიმოს გარედან ფლორენციელმა მაურო ბრესანიმ გახსნა, რომელმაც „ბარსელონას“ მეკარე არნაუს შანსი არ დაუტოვა და ბურთი მისგან მარჯვენა ცხრიანში მოათავსა. ასეთი დონის გოლები თითზე ჩამოსათვლელია არა მარტო ჩემპიონთა ლიგის, არამედ მსოფლიოს ფეხბურთის მასშტაბითაც.

არ გასულა 6 წუთი, რომ „ბარსელონას“ პორტუგალიელმა ლეგიონერმა ლუიშ ფიგუმ წონასწორობა აღადგინა. ტაიმის მიწურულს, 43-ე წუთზე, უკვე ბრაზილიელი ვარსკვლავის — რივალდოს დრო დადგა, რომელმაც უბადლოდ შეასრულა საჯარიმო დარტყმა და თავისი გუნდი 2:1 დააწინაურა. თუმცა ბარსას ეს უპირატესობა მხოლოდ 13 წუთიანი აღმოჩნდა. 56-ე წუთზე „ფიორენტინას“ არგენტინელმა აბელ ბალბომ გამოიჩინა თავი და ანგარიში გაათანაბრა. მანვე 69-ე წუთზე თავისი გუნდი წინ გაიყვანა და ამრიგად დუბლი შეასრულა, მაგრამ რივალდო რისი რივალდო იქნებოდა, ბალბოს ჩამორჩენოდა, დუბლი არ შეესრულებინა და მატჩის საბოლოო ანგარიში 3:3 არ დაეფიქსირებინა. ეს 74-ე წუთზე მოხდა. კიდევ ერთი ლამაზი საღამო აჩუქეს ამ გუნდებმა ფეხბურთის გულშემატკივარს. ჯგუფიდანაც შემდეგ ეტაპზე სწორედ ეს ორი კლუბი იასპარეზებს.



ფიორენტინა — ბარსელონა 3:3. ბარსელონელი ლუიშ ფიგუ (მარცხნივ) და ფლორენციელი დანიელე ადანი

### აიკ 2:3 არსენალი

0:1 ოვერმარსი (17), 1:1 ა. ანდერსონი (41), 1:2 ოვერმარსი (52), 1:3 შუკერი (56), 2:3 ა. ანდერსონი (68)
აიკ: ასპერი (ბაქსტერი 72), კიოლო, ლიუნგი, კამარკი, კორნელიუსონი (ასლუნდი 72), ნორდინი, ო. ანდერსონი, გუსტაფსონი, ტიერნსტრიომი, ნოვაკოვიჩი, ა. ანდერსონი
არსენალი: მანინგერი, დიქსონი, ლუჟნი (ვივასი 78), აპსონი, უინტერბერნი, ლიუნგბერგი, ვიეირა, პეტი (მალცი 78), ოვერმარსი, კანუ, შუკერი (ჰიუზი 78)
მსაჯი: ჰ. სტრამპე (გერმანია)

სტოკჰოლმში კი ადგილობრივი აიკ-ისა და ლონდონის „არსენალის“ შეხვედრა თითქმის არაფერს წყვეტდა გარდა იმისა, რომ გუნდებს მოგების შემთხვევაში კუთვნილი 500 ათასი შვეიცარიული ფრანკით გაემდიდრებინათ საკუთარი ბიუჯეტი. სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ ეს „არსენალმა“ შეძლო და მეტოქე 3:2 დაამარცხა.

ანგარიში მე-17 წუთზე „არსენალის“ ჰოლანდიელმა მარკ ოვერმარსმა გახსნა მშვენიერი დარტყმით. თუმცა მისი გუნდი უპირატესობას მხოლოდ ტაიმის მიწურულამდე ინარჩუნებდა. 41-ე წუთზე აიკელმა ანდრეას ანდერსონმა ანგარიში გაათანაბრა და პირველი ნახევარიც ასე დამთავრდა.

მეორე ტაიმი სულ 7 წუთის დაწყებული იყო, როცა მარკ ოვერმარსმა კვლავ გაიყვანა წინ „არსენალი“ და ამრიგად დუბლის შესრულება შეძლო.

56-ე წუთზე კი ნიგერიელი კანუ მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა და ბურთი ხორვატ დავორ შუკერს გადააწოდა, მანაც არ გააწბილა თანაგუნდელი და ანგარიში სამამდე გაზარდა.

68-ეზე კი ისევ აიკელმა ანდრეას ანდერსონმა შეძლო თავის გამოჩენა, დუბლი შეასრულა და საბოლოო გოლიც დააფიქსირა. 2:3 — ასე დაემშვიდობნენ გუნდები ერთმანეთს.

„არსენალმა“ კვლავ ვერ მოახერხა ჩემპიონთა ლიგის ქვეჯგუფიდან გასვლა...

შემდეგ ეტაპზე „ბარსელონა“ და „ფიორენტინა“ იასპარეზებენ, ხოლო უეფას თასზე ლონდონურ კლუბს ვიხილავთ.

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | | 4:2 | 1:1 | 5:0 | 19:9 | 14 |
| 2 | ფიორენტინა | 3:3 | | 0:0 | 3:0 | 9:7 | 9 |
| 3 | არსენალი | 2:4 | 0:1 | | 3:1 | 9:9 | 8 |
| 4 | აიკ | 1:2 | 0:0 | 2:3 | | 4:16 | 1 |

## ჩემპიონთა ლიგა. VI ტური. C ჯგუფი

### ბოავიშტა 1:0 დორტმუნდი

1:0 პედრო ემანუელი (16)
ბოავიშტა: რიკარდუ, ჟორჟე სილვა, პაულო სოუზა, კარვალიო, პედრო ემანუელი, ლუიშ მანუელი (კარლოს ალბერტო 89), ბრაგა, ლეტუში, რუდოლფი (რიკარდო სილვა 68), ნილტონი, ველიტონი
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი (ბარბარესი 76), ადო, როიტერი, კოლერი, სტევიჩი, ნერლინგერი (შერლიხი 46), დედე, ჟ. რეინა (ფერეირა 61), რიკენი, ბობიჩი
გაძევება: ნილტონი (65)
მსაჯი: ლ. მიჩელი (სლოვაკეთი)

„ფეიენოორდისგან" განსხვავებით, „დორტმუნდს" უკეთესი სასტარტო პირობა ჰქონდა. გერმანელთა წარმატება პარალელურად მიმდინარე შეხვედრის შედეგზე არ იყო დამოკიდებული. გამარჯვების შემთხვევაში ჰოლანდიელები მათ ველარ ეწეოდნენ. ფრის ან წაგების შემთხვევაში „ფეიენოორდსაც" არ უნდა მოეგო. მაგრამ, იმ საღამოს დორტმუნდელებს ფორტუნამ ზურგი აქცია. ჯგუფის ორივე შეხვედრა გერმანელებისთვის არასასურველად დასრულდა. თუმც მხოლოდ უიღბლობაზე საუბარი არასწორია. ორიოდე წლის წინ ევროპის საუკეთესო გუნდი იმ ფეხბურთს ვერ თამაშობს, რომელიც მაღალი შედეგების მისაღწევად არის საჭირო.

„ბოავიშტას" დასაკარგი არაფერი ჰქონდა. შედეგის მიუხედავად, პორტუგალიელები ჯგუფში მე-4 ადგილზე გადიოდნენ. ამიტომაც მწვრთნელმა სათამაშოდ რამდენიმე სათადარიგო ფეხბურთელი გაიყვანა. მათაც დამრიგებელი არ გააწბილეს და უკვე მე-16 წუთზე გამარჯვების გოლი შეაგდეს. „ბოავიშტას" მცველმა პედრო ემანუელმა საკმაოდ მახვილი კუთხიდან კარისკენ დაარტყა. ბურთი ვეტერან გერმანელს, იურგენ კოლერს მოხვდა და კარში შევარდა. 65-ე წუთზე მასპინძლებს ორი ყვითელი ბარათის გამო ნახევარმცველი ნილტონ ფერნანდესი გაუძევეს. გერმანელებმა ვერც რიცხობრივი უპირატესობით ისარგებლეს. თუ რეალურ საგოლე მომენტებზე ვისაუბრებთ, გერმანელებს ასეთი ორი ჰქონდათ. ორივე შემთხვევაში „ბოავიშტას" სათადარიგო მეკარემ რიკარდუ პერეირამ იყოჩაღა.

მასპინძელთა მწვრთნელი პაშეკუ კმაყოფილი დარჩა. „დღეს ჩვენ ვაჩვენეთ, რომ უკეთესი შედეგის მიღწევა შეგვეძლო. წინა შეხვედრებში ბედი არ გვწყალობდა და დასანანად ბევრი ქულა დავკარგეთ". „ბოავიშტას" შეეძლო ანგარიშის გაზრდა. შეცვლაზე შესულმა რიკარდო სილვამ მატჩის მიწურულს კარგი მომენტი გააცუდა. მასსა და მეტოქის კარს შორის მხოლოდ მეკარე იმყოფებოდა. სილვამაც პირდაპირ გერმანელთა კარის დარაჯს დაუმიზნა.

როგორც ჩანს, გერმანულ ფეხბურთში კრიზისის ხანა დადგა. მათ ლიგაში ყველაზე მეტი, 4 გუნდის გაყვანა შეძლეს. ორი მათგანი პირველივე ეტაპზე გამოეთიშა გათამაშებას. ორიც რიგში დგას. „ბაიერნს" და „ჰერტას" გავარდნის დიდი შანსი აქვთ. მათი ბედი წუხელ გადაწყდა.



REUTERS როტერდამიდან

ფეიენოორდი — რუსენბორგი 1:0. რუსენბორგელი ანდრე ბერგდოლმო (მარჯვნივ) როტერდამელი ბონავენტურე კალუს დარტყმას გადაეღობა

### ფეიენოორდი 1:0 რუსენბორგი

1:0 სომალია (85)
ფეიენოორდი: დუდეკი, ვან გობელი, კორნეევი (სომალია 74), კონტერმანი, დე ვისერი, ვან ვონდერენი (პაუვე 71), დალ ტომასონი, დე ჰაანი, რზასა, კალუ, სამარჯიჩი (ვან ფოსენი 86)
რუსენბორგი: იამტფალი, რ. სტრანდი, ბრაგსტადი, ჰოფტუნი, ბერგდოლმო, ვინსნესი, სკამელსრუდი, ო. ბერგი სორენსენი, კარეუ, მინი იაკობსენი (დალუმი 61)
მსაჯი: მ. დიას ვეგა (ესპანეთი)

როტერდამში ერთმანეთს „ფეიენოორდი" და „რუსენბორგი" დაუპირისპირდნენ. ბოლო ტურის წინ ნორვეგიელებს შემდეგ ეტაპზე გასვლა განაღდებული ჰქონდათ. ჰოლანდიელთა ბედი კი, არა მარტო ამ შეხვედრაში, არამედ „ბოავიშტა" — „დორტმუნდის" მატჩშიც წყდებოდა. გერმანელთა გამარჯვების შემთხვევაში „ფეიენოორდის" გარჯა ამაო იქნებოდა.

პირველი ტაიმი მასპინძლებს კარგს არაფერს უქადდა. ვიკინგების შთამომავლები საიმედოდ იცავდნენ თავს.

პირველი გოლის გატანით გამოწვეული სიხარული როტერდამელმა გულშემატკივრებმა მე-16 წუთზე განიცადეს. კომენტატორმა სტადიონზე „დორტმუნდის" კარში გასული გოლის შესახებ გამოაცხადა, ჰოლანდიელებს იმედი მიეცათ. თუ პარალელურად მიმდინარე შეხვედრაში „ბოავიშტა" იმარჯვებდა, „ფეიენოორდს" შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ფრეც ჰყოფნიდა. თუმც ეს ინფორმაცია მათ დამშვიდების საბაბს არ აძლევდა. რიგით 1997 წლის გამარჯვებული ის გუნდი არ იყო, გოლის გატანის შანსი არ ჰქონდათ.

ამიტომაც ჰოლანდიელებმა [illegible] ძელეს. 73-ე წუთზე კი სტადიონზე თავმოყრილ მაყურებლებს ჯერ სუნთქვა შეეკრათ, შემდეგ შვებით ამოისუნთქეს. აი, რა მოხდა. სტუმრებმა კუთხურიდან ჩააწოდეს. ბურთს იონ კარეუ შესწვდა და თავით კარისკენ გადაგზავნა. მასპინძელთა მცველმა ტომას რზასამ ბურთი კარის ხაზიდან მოიგერია.

მატჩის გმირი მოედანზე 74-ე წუთზე გამოჩნდა. სომალიამ რუსი იგორ კორნეევი შეცვალა, 11 წუთის შემდეგ კი გამარჯვების გოლიც შეაგდო.

ამაში დიდი წვლილი ბონავენტურე კალუს მიუძღვის. მან სტუმართა მცველები მოატყუა და სომალიას საგოლე პასი ჩააწოდა.

ცნობილმა ესპანელმა არბიტრმა მანუელ დიას ვეგამ მატჩი რომ დაასრულა და გასახდელისკენ გაემართა, ნორვეგიელებიც მას მიჰყვნენ, ჰოლანდიელი ფეხბურთელები და გულშემატკივრები კი ადგილიდან არ იძვროდნენ. მათ თავისი საქმე გააკეთეს და ახლა პორტუგალიიდან ცნობის მიღებას ელოდნენ. გაუმართლათ. ადგილობრივმა კომენტატორმა მათ „დორტმუნდის" დამარცხება აუწყა. სიხარული მაშინ უნდა გენახათ...

„რუსენბორგის" მწვრთნელმა ნილს არნე ეგენმა თქვა: „გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა ორივე გუნდს ჰქონდა. თუმცა უფრო რეალური მომენტი ჩვენ შევქმენით". ეტყობა, ნორვეგიელს დაავიწყდა, გამარჯვება საგოლე მომენტების შექმნას კი არა, გატანილ ბურთებს რომ მოაქვს.

მაშ ასე — „რუსენბორგი" და „ფეიენოორდი" ლიგაში რჩებიან. „დორტმუნდი" — უეფაზე.

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რუსენბორგი | | 2:2 | 2:2 | 2:0 | 12:5 | 11 |
| 2 | ფეიენოორდი | 1:0 | | 1:1 | 1:1 | 7:6 | 8 |
| 3 | დორტმუნდი | 0:3 | 1:1 | | 3:1 | 7:9 | 6 |
| 4 | ბოავიშტა | 0:3 | 1:1 | 1:0 | | 4:10 | 5 |

## ჩემპიონთა ლიგა. VI ტური. D ჯგუფი

### მანჩესტერი 2:1 შტურმი

1:0 სოლსკიაერი (57), 2:0 კინი (69), 2:1 ვასტიჩი (88პ)
მანჩესტერი: ბოსნიჩი, ირვინი (ჰიგინბოთემი 77), ჰ. ბერგი, გიგზი, გ. ნევილი, მეი, უილსონი (ფ. ნევილი 53), გრინინგი (კრუიფი 66), კინი, სოლსკიაერი, კოული
შტურმი: შიკლგრუბერი, ნოიკირხნერი, მაელიხი, შუპი, ვასტიჩი, პრილასნიგი, ანგიბედო (რაინმაიერი 72), ჟ. მარტენსი (ბარდელი 72), შტრაფნერი, მინავად ჩალი, კოციანი (ბოხტლერი 75)
მსაჯი: პ. რუნე (ნორვეგია)

მატჩამდე ფერგიუსონს უთქვამს: „ჯერ სასურველ ფორმაში არ ვართ და ჩვენს საუკეთესო თამაშებს მოგვიანებით გაჩვენებთო". ფერგი, ალბათ, ახალ ვარიანტებს ამუშავებდა და ბექემი და სქოულზი მინდორზე არ გაიყვანა.

ორივე გუნდი სახიფათოდ უტევდა. სტუმრებმა პირველივე ტაიმში ორი კარგი მომენტი ვერ გამოიყენეს. მათ არც ენდი კოული ჩამორჩა და მე-15 წუთზე ცარიელ კარს ააცილა. გოლები კი მეორე ტაიმში გავიდა. 57-ე წუთზე სოლსკიაერმა ანგარიში გახსნა. რაიან გიგზის ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ კაპიტანმა როი კინმა თავურით მეორეც შეაგდო.

ამ დროს 69-ე წუთი იწურებოდა. მატჩის დასრულებამდე ორი წუთით ადრე თავის საჯარიმოში გიგზმა იუხეშა. ვასტიჩმა პენალტი ზუსტად დაარტყა. ეს იყო და ეს. ავსტრიელებმა მეტი ვერაფერი შეძლეს. თუმცა საწუხარიც არაფერი აქვთ. ჯგუფის აუტსაიდერმა გუნდმა 6 ქულით მე-3 ადგილი დაიკავა და უეფას თასზე ითამაშებს.

ფერგიუსონმა თავისი გუნდის თამაში დამაკმაყოფილებლად შეაფასა. „ცხადია, ყოველ შეხვედრას ისე ვერ ჩავატარებთ, როგორც წინა სეზონში. თან საკმაოდ ძლიერი ჯგუფი შეგვხვდა, ბევრი სიურპრიზიც შემოგვთავაზეს" — განაცხადა სერ ალექსმა.

„შტურმის" მენეჯერმა ივიცა ოსიმმაც შეაქო თავისი გუნდი. „კარგად ვითამაშეთ, ჩვენ ხომ ხუთი ძირითადი ფეხბურთელი გვაკლდა. ყველაზე მეტად კი იმით ვართ კმაყოფილი, რომ გამოცდილება შევიძინეთ. ეთამაშო „მანჩესტერის" დარ დიდ გუნდს ბრწყინვალე სტადიონზე, ამდენი გულშემატკივრის თვალწინ, ნამდვილი ბედნიერებაა. ვიმედოვნებ, ბედი გაგვიღიმებს და უეფას თასზე რომელიმე გრანდს, მაგალითად, „არსენალს", არ დავეჯახებით" — ეს ავსტრიელთა თავკაცის სიტყვებია.

### მარსელი 2:2 კროაცია

0:1 მუიჩინი (42), 1:1 ბაკაიოკო (54), 1:2 მიკიჩი (84), 2:2 დიავარა (89)
მარსელი: პორატო, პერესი, ბერიზო, ბრანდო, ბელმადი, მონტენეგრო (დალმა 59), დიავარა, დიუგარი (პირესი 66), ბაკაიოკო (რავანელი 78), ლუქსენი, ლ. რეინა
კროაცია: ბუტინა, ტოკიჩი, პროსინეჩკი (იელიჩიჩი 70), მუიჩინი (მუმლეკი 68), რუკავინა, სიმიჩი, სარიჩი, ცვიტანოვიჩი, ტომაში, იურჩიჩი, შოკოტა (მიკიჩი 61)
მსაჯი: პ. კოლინა (იტალია)

D ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე გასული გუნდების ვინაობა ადრევე გახდა ცნობილი. ბრძოლა მიმდინარეობდა უეფას თასის საგზურისთვის, რომელსაც „კროაცია" და „შტურმი" ეცილებოდნენ ერთმანეთს. ბოლო ტურის წინ „კროაცია" ავსტრიელებს ორი ქულით ჩამორჩებოდა. ხორვატებს „მანჩესტერის" თანადგომის იმედი ჰქონდათ. თუ ინგლისელები შინ „შტურმს" დაამარცხებდნენ, „კროაცია" „მარსელის" ძლევის შემთხვევაში მესამე ადგილზე გადიოდა.

როგორც შემდგომ გაირკვა, ინგლისელთა დახმარებამ ხორვატებს სასურველი შედეგი ვერ მოუტანა.

ფრანგები სათამაშოდ შესუსტებული შემადგენლობით გავიდნენ და სტუმრებს ორი გოლის გატანის საშუალება მისცეს.



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — შტურმი 2:1. მანჩესტერელი ენდი კოული სტუმრებს იოზეფ შიკლგრუბერსა (№22) და რომან მაელიხს ბურთისთვის ებრძვის

თუმცა ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს „მარსელი" გოლებს საკუთარ კარში იმიტომ უშვებდა, რომ შემდეგ საპასუხო გაეტანა.

ანგარიში 42-ე წუთზე მუიჩინმა გახსნა. ეს ის ფეხბურთელია, ზაფხულში „მარსელი" რომ იწვევდა. მაშინ კონტრაქტი არ გაფორმდა და ხორვატმაც, ეტყობა, ჯავრი იყარა.

მეორე ტაიმი 9 წუთის დაწყებული იყო, იბრაჰიმ ბაკაიოკომ დიუგარის ბრწყინვალე გადაცემის შემდეგ ანგარიში რომ გაათანაბრა. ხორვატებს ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდათ. მათმა მცდელობამ შედეგი გამოიღო და 84-ე წუთზე მიკიჩმა ფრანგებს მეორე გოლი შეუგდო. „კროაციას" უეფას თასზე გასასვლელად 6 წუთიც უნდა გაეძლო, მაგრამ... 89-ე წუთი იყო, ფრანგთა ნახევარმცველმა ფრედერიკ ბრანდომ უძლიერესად დაარტყა. მეკარე ტომისლავ ბუტინამ მოიგერია. ყველას კრისტოფ დიუგარიმ დაასწრო და თავით დიავარას ჩააწოდა. ამ უკანასკნელმა ბუტინას აუღებელი დაურტყა. საბოლოოდ — 2:2. ხორვატი გულშემატკივრები ჯერ ნაკრებმა გააწბილა, შემდეგ „კროაციამ".

მატჩის შემდეგ დიავარა კმაყოფილებას ვერ მალავდა: „როგორც იქნა, თავის გამოჩენის შესაძლებლობა მომეცა. იმედი მაქვს, ახლა მაინც მოვიპოვებ ადგილს ძირითად შემადგენლობაში". გამართლდება თუ არა მისი იმედი, უცნობია. როლან კურბისმა, ფრანგთა მწვრთნელმა კი თქვა: „მოხარული ვარ, რომ სათადარიგო ფეხბურთელებს ლიგაში თამაშის შანსი მივეცი. თანაც არ დავმარცხებულვართ". ხორვატთა თავკაცი მარიან ვლაკი დაღონებული იყო, თუმცა იხტიბარი არ გაიტეხა: „ჩვენ მაინც ვამაყობთ, რომ თამაშში ორჯერ დაწინაურება შევძელით".

მერე რა, რომ შეძლეს?

| | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | | 2:1 | 2:1 | 0:0 | 9:4 | 13 |
| 2 | მარსელი | 1:0 | | 2:0 | 2:2 | 9:8 | 10 |
| 3 | შტურმი | 0:3 | 3:2 | | 1:0 | 5:12 | 6 |
| 4 | კროაცია | 1:2 | 1:2 | 3:0 | | 7:7 | 5 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**ხუთშაბათს, 4 ნოემბერს «კროკო» ჩვეულებრივი განრიგით იმუშავებს**

### უეფას თასი. II ეტაპი. II წრე

4 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 521 | მონპელიე (საფრანგეთი) — დეპორტივო (ესპანეთი) | (5,0-1,1) | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 522 | სელტა (ესპანეთი) — არისი (საბერძნეთი) | (1,02-10,0) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 523 | ლეგია (პოლონეთი) — უდინეზე (იტალია) | (5,0-1,1) | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 524 | ვიკინგი (ნორვეგია) — ვერდერი (გერმანია) | (2,0-1,5) | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 525 | კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — ტოტენჰემი (ინგლისი) | (2,8-1,3) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 526 | ვესტ ჰემი (ინგლისი) — სტიაუა (რუმინეთი) | (1,7-1,7) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 527 | იუვენტუსი (იტალია) — ლევსკი (ბულგარეთი) | (—-50,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 528 | აიაქსი (ჰოლანდია) — ჰაპოელი (ისრაელი) | (—-50,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 529 | ჰელსინგბორგი (შვედეთი) — პარმა (იტალია) | (5,0-1,1) | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| 530 | ნანტი (საფრანგეთი) — ინტერი (სლოვაკეთი) | (—-50,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 531 | ნიუკასლი (ინგლისი) — ციურიხი (შვეიცარია) | (1,01-15,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 532 | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — გრაცერი (ავსტრია) | (1,4-2,3) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 533 | ამიცა (პოლონეთი) — ატლეტიკო (ესპანეთი) | (4,0-1,15) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 534 | ლოკომოტივი (რუსეთი) — ლიდსი (ინგლისი) | (15,0-1,01) | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 535 | გრასჰოპერი (შვეიცარია) — სლავია (ჩეხეთი) | (2,8-1,3) | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 536 | ბენფიკა (პორტუგალია) — პაოკ (საბერძნეთი) | (1,02-10,0) | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 537 | რომა (იტალია) — გოტებორგი (შვედეთი) | (—-25,0) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 538 | მალიორკა (ესპანეთი) — ტეპლიცე (ჩეხეთი) | (1,01-15,0) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 539 | სელტიკი (შოტლანდია) — ლიონი (საფრანგეთი) | (2,5-1,35) | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 540 | ვიტესი (ჰოლანდია) — ლანსი (საფრანგეთი) | (10,0-1,02) | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### კალათბურთი. NBA

4 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 820 | შარლოტი — ინდიანა | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 821 | ატლანტა — მილუოკი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 822 | ტორონტო — მაიამი | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 823 | სან ანტონიო — გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 824 | იუტა — ჰიუსტონი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 825 | ფინიქსი — ფილადელფია | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 826 | სიეტლი — დალასი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

### კალათბურთი. ევროლიგა. VI ტური

4 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 831 | ეფესი (თურქეთი) — კაზა სან ფერნანდო (ესპანეთი) | 1,4 | 12,0 | 2,5 |
| 832 | ალბა (გერმანია) — თოფაში (თურქეთი) | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 833 | ვილერბანი (საფრანგეთი) — ულქერი (თურქეთი) | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 834 | პაოკ (საბერძნეთი) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 835 | რეალი (ესპანეთი) — ოლიმპია (სლოვენია) | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 836 | ციბონა (ხორვატია) — ფორტიტუდო (იტალია) | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 837 | მაკაბი (ისრაელი) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 838 | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ჟალგირისი (ლიტვა) | 1,1 | 12,0 | 5,0 |

### ჰოკეი. NHL

4 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 852 | ბოსტონი — ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 853 | ოტავა — პიტსბურგი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 854 | აილენდერსი — მონრეალი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 855 | ჩიკაგო — ბუფალო | 1,9 | 4,4 | 2,1 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თახა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეფერენდუმი

# საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

## სამი კითხვა ლაურეატს

*1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.*
*2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?*
*3. ვის მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?*



**ვახტანგ ბლაგიძე**

*ბერძნულ-რომაული ჭიდაობა*

*დაიბადა 1954 წლის 23 ივლისს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. სსრკ თასის ორგზის მფლობელი (1973, 76), ევროპის თასის მფლობელი (1973), მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1978, 81), ევროპის ორგზის ჩემპიონი, მოსკოვის 1980 წლის XXI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.*

1. ორივე მოგონება მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებას უკავშირდება. ამაზე მეტად რა უნდა გამხარებოდა, მაგრამ ჩემპიონი რომ გავხდი, პირჯვარი გადავიწერე და ამისთვის ყველანაირი ჯილდო მომიხსნეს. ლენინის მედალზეც კი წარმადგინეს, მაგრამ არ მომცეს. მოგვიანებით რამდენჯერმე არც ნაკრებში შემიყვანეს. მიზეზი, ვფიქრობ, გასაგებია — ხომ იცით, კომუნისტების დროს როგორ იყო ყველაფერი. გული კიდევ ბევრ რამეზე მწყდება, მაგრამ ყველაზე მეტად — ამაზე.

2. გამოსავალი დაფინანსების გაზრდაშია. ძველების მიერ ჩაყრილ საძირკველს გამაგრება უნდა, თორემ ყველაფერი დაგვენგრევა. საჭიროა მეტი შეკრება, შეჯიბრი, სავარჯიშო პირობების გაუმჯობესება, ჩვენი სპორტსმენების შენარჩუნება. მათ ყველა პირობა უნდა შევუქმნათ, რომ საზღვარგარეთ არ გაგვექცნენ. თუ პირობები არ გაუმჯობესდა, მაშინ სიდნეის ოლიმპიადაზე უფრო ცუდი შედეგები გვექნება, ვიდრე ატლანტაში.

3. ვიქტორ სანეევი, ლევან თედიაშვილი, დავით ციმაკურიძე
ნინო სალუქვაძე, მზია ჯუღელი, ელენე გოკიელი



# პიტი და ქალები



პიტ სამპრასი



ლორენ ჰოლი

**სამშაბათს** შუაღამით მსოფლიოს აწ უკვე ყოფილმა პირველმა ჩოგანმა პიტ სამპრასმა აგვისტოს შემდეგ თავისი პირველი მატჩი გამართა. პარიზის ღია პირველობის მეორე წრეში მან დიდი გაჭირვებით სძლია ესპანელ ფრანსისკო კლავეტს 3:6, 6:4, 7:6 (7:4).

„პისტოლ პიტს" წლევანდლამდე კარიერაში არც ერთი მძიმე ტრავმა არ მიუღია, მაგრამ ცხოვრებაში საუკეთესო ფორმაში მყოფმა აგვისტოში ჯერ ბარძაყი დაიზიანა, ზედ აშშ-ის ღია პირველობის წინ კი გუსტავო კუერტენთან ვარჯიშის დროს დისკოზი აიკიდა.

„იმ ტრავმის შემდეგ 5 დღის მანძილზე ერთადერთი, რაც შემეძლო, წოლა იყო. ვერ ვმოძრაობდი, მანქანა ვერ დამყავდა, კინალამ ჭკუიდან შევიშალე. არასოდეს დამავიწყდება ის ტკივილი, ზურგში რომ ვიგრძენი. ექვსი კვირა ჩოგანს არ გავკარებივარ და მიუხედავად იმისა, რომ ახლა თავს უკეთ ვგრძნობ, ცოტათი მაინც ვფრთხილობ".

ალბათ უკეთესი იქნებოდა, ამერიკელს წლის ბოლომდე დაესვენა და ავსტრალიის ღია პირველობაზე დაბრუნებოდა ასპარეზობას, მით უმეტეს, რომ ზედიზედ მეშვიდედ სეზონს მსოფლიოს პირველ ჩოგნად ვერასდიდებით ველარ დაასრულებს, მაგრამ...

„ერთი სული მაქვს, როდის ვითამაშებ. ძალიან მომენატრა სატურნირო ცხოვრება, მაგრამ ტრავმის შიშით არ ვიჩქარე. არ ვიცი, როგორ დონეზე ვითამაშებ. ვარჯიშის დროს ყველაფერი კარგად გამომდის, მაგრამ მატჩები მაინც სულ სხვაა" — აღნიშნა რამდენიმე დღის წინ სამპრასმა, რომელსაც ჰანოვერის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრაც სურს.

კლავეტთან პიტი შთამბეჭდავად ნამდვილად არ გამოიყურებოდა, უკანა ხაზიდან გამუდმებით აგებდა გათამაშებებს და მხოლოდ მოწოდების ხარჯზე გაღიოდა ფონს. 5:6-ზე მესამე ხელში სამპრასი 0:40-ით ჩამორჩა და სამი მატჩ-პოინტიდან ორზე ესპანელს უხეში შეცდომები რომ არ დაეშვა, 90-იანების საუკეთესო ჩოგბურთელს ვეღარაფერი გადაარჩენდა.

თუმცა ამერიკელს არც მოგებული მატჩის შემდეგ ულხინდა: იგი პრესკონფერენციაზეც კი ვერ გამოცხადდა ზურგის ტკივილის გამო.

„პიტი ძლივს დადის — განუცხადა ჟურნალისტებს ATP-ის წარმომადგენელმა ნიკოლა არზანიმ — კუნთების სპაზმების გამო მას ზურგი ძალიან ცუდ დღეში აქვს. ექიმის აზრით, ეს არ არის დაკავშირებული იმ პრობლემებთან, რაც მას ზაფხულში აწუხებდა. მან ტკივილების გამო თქვენთან ვერ მოახერხა გამოსვლა".

არზანის თქმით, ტურნირის ექიმი ბერნარდ მონტალვანი დაწვრილებითი გამოკვლევის შემდეგ, ერთ-ორ დღეში გააკეთებს ოფიციალურ განცხადებას სამპრასის ტრავმის შესახებ.

ალბათ ბევრი თქვენგანი იფიქრებს, კი მაგრამ, ქალები რა შუაშიაო. თუმცა თუ მოთმინებას იქონიებთ, სიტყვაძვირი სუპერვარსკვლავის პირადი ცხოვრების ზოგიერთ დეტალსაც გაგაცნობთ.

ბოლო ორი წლის მანძილზე თავის დროზე მასმედიის ყურადღების მოძულე „პისტოლ პიტი" უკვე აღარ უფრთხის ჭორებს და ანდრე აგასის წარმატებული მაგალითით შეგულიანებული, ჰოლივუდელი ლამაზმანების გულის დაპყრობას ცდილობს.

კარგა ხნის მანძილზე სამპრასის გელფრენდი მსახიობი ქიმბერლი უილიამსი იყო (პატარძალი სტივ მარტინის კომედიაში „პატარძლის მამა"). ჩოგბურთელმა ლოს ანჯელესში რამდენიმე მილიონად სახლიც კი იყიდა, რათა მასთან ახლოს ყოფილიყო, მაგრამ ამ ზაფხულში ტკბილი წყვილი ერთმანეთს დაშორდა.

სამპრასს შავები არ ჩაუცვამს და რამდენიმე კვირაში კიდევ უფრო ცნობილი მსახიობი მოინადირა: ლორენ ჰოლი ჯიმ კერის ყოფილი მეუღლე გახლავთ და უეჭველად გეხსომებათ ფილმიდან „სულელი და კიდევ უფრო სულელი".

სწორედ ჰოლისთან ერთად ატარებდა დროს პიტი ტრავმის მიღების შემდეგ, თუმცა ეს რომანიც კრახით დასრულდა. მსახიობმა ჩოგბურთელს ერთ-ერთი წვეულების დროს განუცხადა, რომ სერიოზული ურთიერთობისთვის მზად არ იყო და მისი ნახვა აღარ სურდა. სამპრასს უამრავი ადამიანის თანდასწრებით დაუწყია ხვეწნა-მუდარა, მაგრამ ჰოლი უკანმოუხედავად გავარდნილა ოთახიდან.

თუმცა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ფარ-ხმლის დაყრას ამჯერად აპირებს. გასულ პარასკევს საშინელებათა ფილმის — „სახლი ჰონთიდ ჰილზე" პრემიერაზე იგი უკვე ცხოვრების ახალ (!) თანამგზავრ ბრიჯიტ უილსონთან ერთად გამოცხადდა.

ეცლება ახლა ასეთ კაცს ჩოგბურთისთვის?

# კიფერმა იზარალა, სარგსიანმა იხეირა

**პიტ სამპრასი** ერთადერთი ჩოგბურთელი არ არის, ვისაც მძიმე სეზონის ბოლოს ტრავმა აწუხებს. გერმანიის პირველი ჩოგანი ნიკოლას კიფერიც ასეთ დღეშია.

კიფერს ერთი ნაბიჯი უკლია ჰანოვერის მსოფლიოს ჩემპიონატზე საგზურის დაბევებამდე, მაგრამ ამ უმნიშნელოვანეს მომენტში იძულებულია, უსასოოდ ადევნოს თვალყური სხვების წარმატება-წარუმატებლობას: წინა კვირაში შტუტგარ[illegible] ტურნირზე მან კოჭი გადაიბრუნა, მ[illegible]ბი დაიზიანა და კიდევ რამდენიმე დღ[illegible] ვერ ითამაშებს.

„ძალიან მაღელვებს ის, რომ შეიძლება ჰანოვერში მოვხვდე, ეს ხომ ჩემი მშობლიური ქალაქია. წლეულს საკმარისად კარგად ვთამაშობდი და იქ ასპარეზობის უფლება ნამდვილად დავიმსახურე" — განაცხადა გერმანელმა.

კიფერი, ტრავმის მიუხედავად, პარიზში თამაშს მაინც აპირებდა და მეშვიდედაც იყო განთესილი, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვეტილება შეცვალა: „კოჭი სირბილის დროს ისევ მტკივა, ამიტომ აზრი არა აქვს დაბრუნებას, თუ სრულიად არ გამოვჯანმრთელდი. ამ უქმეებზე ვიფიქრებ, ღირს თუ არა იმ კვირაში მოსკოვის ტურნირზე წასვლა".

ჰანოვერში მოხვედრის მსურველთა ნუსხაში კიფერი ჯერჯერობით მეხუთე ადგილზეა, თუმცა ადგილი განაღდებული ნამდვილად არა აქვს. თუ მისმა უახლოესმა კონკურენტებმა პარიზში ივაჟკაცეს, ნიკოლასს ერთადერთ იმედად რუსეთის დედაქალაქში თავის გამოჩენა დარჩება.



ნიკოლას კიფერი

კიფერის ტრავმით ყველაზე მეტად სომეხმა სარგის სარგსიანმა იხეირა. ჩვენი მეზობელი ჯერ კიდევ საკვალიფიკაციო ტურნირზე დამარცხდა, მაგრამ პარიზის ღია პირველობის ორგანიზატორებმა გერმანელის შემცვლელ „იღბლიან წაგებულად" შეიგულეს და პირდაპირ მეორე წრეში (16 განთესილი პირველი წრიდან გათავისუფლებული იყო) ამოაყოფინეს თავი.

პარიზის ღია პირველობა. საფრანგეთი. დარბაზი, ხალიჩა.
საპრიზო 2,55 მილიონი $

**პირველი წრე: ტომას ენკვისტი** (შვედეთი) — სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) 3:6, 6:4, 7:6 (7:5); **ჯონ ვან ლოტუმი** (ჰოლანდია) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 6:3, 6:2; **მარატ საფინი** (რუსეთი) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 6:7 (3:7), 7:5, 6:3; **მაიკლ ჩანგი** (აშშ) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:7 (7:9), 7:5, 6:4; **ჯიმ კურიე** (აშშ) — არნო დი პასკალი (საფრანგეთი) 7:6(7:5), 3:6, 7:6 (8:6); **ალბერტ კოსტა** (ესპანეთი) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 4:6, 6:3, 6:2; **მარკ ფილიპუსისი** (ავსტრალია) — ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) 6:4, 7:6 (7:4); **ლეიტონ ჰიუიტი** (ავსტრალია) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 6:3, 6:2.

ავთანდილ სვანიძე

# სიხარულის გახსენება

# „მთას მიყავ, მწვერვალზე მიდექ“




*ვაჟა ფშაველას ამ სიტყვებით დასათაურებაა მარინე ბერიძეს თავისი წიგნი, რომელიც დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე მთამსვლელთა ექსპედიცია „კავკასია-99“-ის ლაშქრობაზე მოგვითხრობს.*

*ეს წიგნი მშვენიერია როგორც ფორმით, ისე შინაარსითა და პოლიგრაფიული თვალსაზრისითაც. იგი უხვადაა ილუსტრირებული ექსპედიციის წევრთა მიერ გადაღებული ასევე მშვენიერი ფოტოებით.*

*მარინე ბერიძე ფართო მკითხველისთვის ალბათ უცნობია როგორც მთამსვლელურ თემაზე პუბლიკაციების ავტორი ან ალპინისტი, მაგრამ იგი გახლავთ ევერესტის დამლაშქრავი ბიძინა გუჯაბიძის მეუღლე, რომელიც ქმარს შვილებთან ერთად არაერთხელ გაჰყოლია საქართველოს მთებში და, ამდენად, იცნობს ალპინისტურ ცხოვრებას, მის სამყაროს. ამასთან, მარინე ბერიძე სპეციალობით ფილოლოგია. ეს ყველაფერი კი მას დახმარებია ამ მშვენიერი წიგნის დასაწერად.*

*ავტორი სხვადასხვა თავში მიმართავს საინტერესო ისტორიულ ექსკურსს, იყენებს სხვადასხვა ჟანრებს, მათ შორის სამოგზაურო ნარკვევებისთვის დამახასიათებელ ელემენტებს, ინტერვიუებს, დღიურებს; გვაცნობს ინტერნეტით გავრცელებულ ინფორმაციებს... იგი სადად და მიმზიდველად მოგვითხრობს ლაშქრობაზე. ამიტომ წიგნი, როგორც იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით იკითხება.*

*მარინე ბერიძეს ამ წიგნს ეტყობა მრავალი მკითხველი გამოუჩნდება. ამგვარი ვარაუდის საფუძველს იძლევა ის უდიდესი ინტერესი, რომელიც რუსთავის მერიაში წიგნის პრეზენტაციამ გამოიწვია.*

*წიგნის შესავალში ავტორი წერს: „კიდევ ერთხელ მოვუხედოთ უკან დიდ სიხარულს, რომელსაც ველოდით, რომელიც მოვიპოვეთ და რომლის ღირსებიც ვიყავით“.*

*დიდი სიხარულის გახსენება იყო რუსთავში წიგნის პრეზენტაციასთან ერთად იქვე მოწყობილი ექსპედიციის წევრთა მიერ გადაღებული ფოტოების გამოფენა, რომელიც ასახავს ევერესტზე ასვლასთან დაკავშირებულ ეპიზოდებს.*

*ამ ექსპედიციასთან დაკავშირებული სიხარულის გახსენება იქნება დოკუმენტური ფილმიც, რომელიც ჩვენმა მთამსვლელებმა გადაიღეს ევერესტის ფერდობებზე.*

*ექსპედიციის მეთაური ბენო ქაშაკაშვილი იმედოვნებს, რომ მათი ასვლა ევრო-აზიის ღია პირველობაზე მაღალ შეფასებას დაიმსახურებს, ისევე, როგორც ბოლო სამი წლის განმავლობაში სამი სხვა ვერცხლის მედლებით შეფასებული ლაშქრობები.*

*ასეთსავე შეფასებას ველით სამთო ფილმების მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალზეც, სადაც ამ გუნდის წევრთა მიერ გადაღებულმა ორმა ფილმმა ორი პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო ერთმა ოთხ ნომინაციაში დაიმსახურა პრიზები.*

*ახლა კი გთავაზობთ მარინე ბერიძის წიგნში გამოყენებულ ბიძინა გუჯაბიძის დღიურის ერთ ნაწყვეტს*

ავთანდილ ჭყვიშელი



ბენო ქაშაკაშვილის ფოტო



ბიძინა გუჯაბიძის ფოტო

საკმაოდ გასავათებული ავდივართ „საუთ კოლზე“ ანუ სამხრეთ უნაგირაზე. აქაც დიდი სანაგვეა — უმეტესად ჟანგბადის ბალონები. სხვადასხვა ფერის, ზომის, წონის, მასალის და ქვეყნის. ჯერ შუადღეა, მაგრამ ყველანი კარვებში არიან შემალულნი. ძლიერი ქარია, ცივა, მე და აფი ვპოულობთ ჩვენს კარავს, ბენო უკვე ჩაის ადუღებს. ვირგებთ ჟანგბადის ნიღბებს, ვამოწმებთ რეგულატორებს და ჟანგბადის ბალონებს. ამოდის ლოვა, მძიმე სანახავია, — სახეზე ყინულები, თვალები ამღვრეული, ხმა ჩახლეწილი... ჩაის და ნიღაბს ერთდროულად ვაწვდით. უარზეა, ეკონომიას აწვება, არადა, ჟანგბადი საკმარისზე მეტი გვაქვს. ბოლოს ძალის-ძალად ჯერ ჩაი დავალევინეთ, მერე ჟანგბადი მივეცით, — ესიამოვნა და მერე ჩასთვლიმა კიდეც. აფის ყინულის ნამტვრევები შემოაქვს. ვახურებ პრიმუსს და ვიწყებთ წყლის დნობას. გასვლას ღამის ათი საათისთვის ვგეგმავთ. თითო ლიტრის დალევას ალბათ მოვასწრებთ. საჭმლის გახსენებაზეც კი გული გვერევა. შიგა და შიგ ყანწივით ვაწვდით ერთმანეთს ნიღაბს და ხარბად ვეწაფებით ჟანგბადს. წუთში 1 ლიტრს. სწრაფად გადის დრო. ერთ საძილეში შეფარებულმა აფიმ და მე ჩათვლემაც ვერ მოვასწარით. ვიცმევთ ბათინკებს და რიგრიგობით ვძვრებით კარვიდან. ბნელა. უბერავს. წრიაპების ჩაცმაზე დიდი დრო არ გვეკარგება, ეგ არის, საკუთარ ზურგჩანთაზე ვერ ვჯდები, — ვიდეოკამერას ვუფრთხილდები. ჟანგბადის ხარჯს 1,5 ლიტრზე ვაყენებ და ფანრით ჩემს წინ მოციმციმე ფანრების მწკრივს ვუერთდები. იქნება დაახლოებით 30-40 კაცი, იწყება ბოლო ეტაპი, ახლოსაა მიზანი, რომლისთვისაც უკვე ორი თვეა სახლიდან წამოსულები ვართ. მიტოვებული ოჯახი. შვილები. საავადმყოფოდან ახალგამოყვანილი ცოლი! რა იქნება ხვალ საღამოს. ჩამოვივლით თუ არა ამ გზას უკან, რა ხასიათზე ვიქნებით, ავალთ თუ [illegible] ღმერთო, გვიშველე!

ერთმანეთს ვამოწმებთ, ვერკვევით, ვინ სადა ვართ, — ყველაფერი რიგზეა, ჯერჯერობით ხმის მიწვდენა შესაძლებელია. მყარი ფირნის იმედი გვქონდა, შევცდით, — ფხვიერი თოვლია. წინწასულების ნაფეხურები იშლება, არ იტკეპნება. ფერდი თანდათან ციცაბო ხდება, ალბათ უკვე საკმაო სიმაღლე გვაქვს აღებული, აქედან მოწყვეტა ვერ იქნება კარგი, ჟანგბადის ბალონი და ბუმბულის ტანსაცმელი მოძრაობას მიშლის, ალბათ, წაქცევისას წერაყინის ხმარებას და სწრაფად შეჩერებას ვერ შევძლებ, მერე კი თუ სიჩქარე ავკრიფე... მოკლედ, ქვემოთ ამკრეფენ! დაიწყო უაზრო ფიქრები. ჯერ ადრეა, — ჟანგბადი თითქოს მყოფნის, გაუჩერებლად მივდივარ. ბოლოს ძველ თოკებს მივაგენით, ბევრი ხალხი ჰკიდია ერთდროულად, ჟუმარებით, ისვენებენ. გიტარის სიმივით იჭიმება კორეული, ერთჯერადი თოკები. ჟუმარის ჩამას ვერ ვბედავ, — მინახავს ნაგლეჯები, ხელს კი ვახმარ, ქარი თანდათან ძლიერდება, უკვე თორმეტ საათს გადასცდა, ე.ი. 12 მაისია, ნუთუ მცდარი იყო პროგნოზი! უკვე ბევრისთვის გვიწევს გადასწრება, პატარა, კლდოვან კედლებთან ხშირად არიან შეჯგუფულები, ელოდებიან, ბჭობენ. ზოგიერთებს „ბესედკებით“, ბათინკებით, ტანსაცმლით ვცნობთ. მარტო იანიკია უჟანგბადოდ. ერთი კედლის ავლის დროს „პოლკაზე“ დიდ ჯგუფს გადავაწყდით, ზურგჩანთებიდან ჟანგბადს ალაგებენ, ეტყობა უკან ბრუნდებიან. ვეხსნებით თოკებიდან, აფი მარჯვნიდან უვლის, ლოვა — მარცხნიდან. მე აფის მივყვები. იმედია, ბენოც არ გაჩერდება აქ დიდხანს. ისევ ქარი. აზვეტილი თოვლი ზუმფარასავით გვიხეხავს შიშვლად დარჩენილ სახეს, ეჰ, ახლა რომ მობრუნება და თბილ საძილეში ჩაძრომა შეიძლებოდეს! ხელიდან ხელში გადამაქვს წერაყინი, ვცდილობ სითბოს აღდგენას თითებში. თანდათან აზრები მარტივი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, გაურკვეველი ხდება, უკვე ხშირად მჭირდება საკუთარი თავის გამოფხიზლება. მოძრაობა უკიდურესად შენელებული, გამოზომილი, მძიმეა. „უფალო იესო ქრისტეო, ძეო ღმრთისაო...“ — იესოს ლოცვა განდევნის ყველანაირ ფიქრს, აწესრიგებს არეულ სუნთქვას და ნაბიჯს.

ჩვენს ზემოთ მხოლოდ ოთხი კაცია. შევდივართ ვიწრო კულუარში. მეტი სიჩქარე აღარ არის საჭირო, თორემ წინ ჩვენ ალმოვჩნდებით და თოვლის კვალვა მოგვიწევს. ზურგჩანთებით ვეყრდნობით კლდეს, ქარს ვერიდებით და ვთვლემთ. შორს, ქვემოთ, ჩანს ჩვენსკენ მომავალი ფანრები, ლჰოცეზე ჩეხების მეოთხე ბანაკიდანაც გამოჩნდა შუქი. ჯოზეფიც დღეს აპირებს შტურმს. მაგათ შედარებით მოკლე გზა აქვთ. აქ დგომა აღარ შეიძლება. ავდივართ ქედზე, „ნორდფეისის“ წითელკომბინიზონიანი ოთხი კაცი ზის და ზრდილობიანად გვაჩვენებს გზას ზემოთ, ქედისკენ. სამი შერპაა და ერთი ამერიკელი. რამდენიმე ნაბიჯში ჩვენც ვჯდებით, ისევ ვთვლემთ, ვსვამთ თითო ყლუპ ჩაის, ცოტა ხნის შემდეგ ამოდიან ლოვა, ბენო, ნავანგლი და დურჯი. დილის 5 საათია დაწყებული, მალე ინათებს. ამერიკელი რამდენჯერმე ცდილობს თოვლის დიდ კარნიზზე თავისი შერპების კვალდაკვალ გადასვლას, ეშინია ქარის, კარნიზის მოწყვეტის და უთოკოდაც ვერა გრძნობს კარგად თავს. უკან ბრუნდება. ღრმად ჩარჭობილ წერაყინზე თავჩამოდებული ირინდება ფერდზე, ან ლოცულობს, ან ტირის! მშვიდი თანაგრძნობით ვუქცევთ გვერდს ამერიკელს.

ვიწრო ქედზე ვართ, ზღაპრული ალიონია. გაჭირვებით ვიხსნი ზურგჩანთას, ვაბამ წერაყინზე და ვხსნი. ვიღებ ვიდეო-კამერის ჩანთას, დიდ ხელთათმანსაც ვიშორებ, — მაჯაზე მეკიდება რეზინებით, სიფრთხილეა საჭირო, თოვლით რომ არ აივსოს. მერე თხელი ხელთათმანებით ვეწვალები ჩანთის „ზმეიკას“, კამერას კისერზე ვიკიდებ, ჩანთას ისევ ვკეტავ და ზურგჩანთაში ვტენი. გულის ჯიბიდან აკუმულატორს ვიღებ და კამერაში ვდებ. ვიხსნი ნიღაბს, სათვალეს, ხელთათმანებს და ვრთავ კამერას. გაყინულია, ძლივს მუშაობენ პაწაწინა მოტორები, გამოსახულება გადღაბნილია, აკუმულატორიც მალე ჯდება, კამერას უბეში ვათბობ. მერე ვლაგდები უკანა მიმართულებით. დიდი დრო სჭირდება გაყინულ თითებში სისხლის ამოძრავებას, ყველამ გამასწრო, აქვე არიან, რამდენიმე მეტრში, მაგრამ ეს უკვე გრძელი და ძნელი გზაა. ნაბიჯიდან ნაბიჯამდე თანდათან იზრდება პაუზა, გადის დრო, მზე კარგად ასცდა ჰორიზონტს, სუსტდება ქარი და 8000 მ-ს ქვემოთ ნელ-ნელა იკრიბება ნისლი და ღრუბელი. რამდენჯერმე ვცდილობ კადრის გადაღებას. ეს უბრალო მანიპულაციები საბოლოოდ მაცლის ქანცს. სამხრეთ მწვერვალამდე დიდი მანძილი აღარ რჩება, მარტო ვარ, თავდება ჟანგბადი, მექანიკურად ვასრულებ ბალონის შეცვლის ინსტრუქციას, — რედუქტორის დაზიანებამ შეიძლება მწვერვალზე მათქმევინოს უარი, თუმცა, ამაზე უარესიც შეიძლება მოხდეს... ბალონი 2ლ. წუთში ხარჯით 7 საათს მეყოფა, მაგრამ სამხრეთ მწვერვალიდან მწვერვალამდე წინ და უკან 4 საათია აღწერილობით საჭირო. მერე კიდევ ქვევით... არ მეყოფა! ისევ შიში, აბურდული აზრები. ნუთუ ველარ ავალ და მწვერვალის გარეშე მომიწევს სახლში დაბრუნება! — საერთოდ არ დაბრუნებას მაინც ასე სჯობია, მაგრამ ნუთუ თავს ვერ მოვერევი? მოულოდნელად გავდივარ სამხრეთ მწვერვალზე!.. მე უფრო [illegible] მელოდებიან! — ყველაფერი გარკვეულია! — აქ [illegible] გავხდებით ცუდად და არც ერთდროულად გაგვითავდება ჟანგბადი. აფის კიდევ ერთი სათადარიგო ბალონი უდევს ზურგჩანთაში. ასე რომ, წინ და მაღლა, ყველანი ერთად!!! კარგი კადრები გამოდის ქედზე, ჰილარის საფეხურზე მხოლოდ ბენოს და შერპის გადაღებას ვახერხებ. ზემოდან ეშვება ამერიკელი თავისი ამალით. კითხვაზე, რამდენი დარჩა მწვერვალამდე, გაურკვევლად ბლუკუნებს ნიღაბში, ჰილარის საფეხურს ზემოდან შიშით და იმედით შევყურებ ბენოს. ბენო ჩემს პოზაში შეკითხვას გრძნობს და ხელის მძიმე მოძრაობით მახვედრებს, — აქვეა! რამდენიმე წუთში მეც ვუახლოვდები მწვერვალს.

11 სთ. და 30 წთ. აქ უკვე საყოველთაო ეიფორიაა. არის დროშების ფრიალი. აზრიანს ვერაფერს ვამბობთ. მექანიკურად ვჩხაკუნებთ ფოტოაპარატს, ვატრიალებთ კამერას, ვაფიქსირებთ ბაბუ შერპას დატოვებულ ნივთებს (კარიმატი, ქვაბი, გაზის ბალონი, თოვლის ნიჩაბი, ყინულის პალო, ყვითელი საძილე და სხვა). ნისლში ხანდახან გამოჩნდება რონგბუკის მყინვარი, ჩრდილო ქედი, მაკალუ, ლჰოცე, პუმორი და ნუპტცე. ძნელია სახელი დაარქვა ქანცგაცლილი ადამიანების ამ გრძნობას, ეს არის ბუნდოვანი ემოციების ნაგლეჯები, — სიხარულის, ბედნიერების, შიშის, სინანულის... უცნაური ნაზავი. ეს სინანული მწვერვალზე გადადგმულ ბოლო ნაბიჯს ახლავს, — დამთავრდა აღმართი. ამაზე მაღლა ფეხით ველარ მოვახერხებ ასვლას, რამდენი ფიქრი და ოცნება ყოფილა ამ ერთადერთ ნაბიჯზე. რამდენი ხანია აქეთ მოვდიოდი... ახლა ქვევით, სახლისაკენ. ქედი კიდევ უფრო საშიში ხდება ძალაგამოლეულებისათვის. ამ მთაზე ბევრი დარჩენილა, ჩვენი საქმე როგორღა იქნება?! მოყინულობა, სისხლჩაქცევა, მოტეხილობა, ჰიპოქსია, პნევმონია... — ათასი ვარიანტია! ერთმანეთს შეძახილებით ვაფხიზლებთ. ვმოძრაობთ უდაცვოდ. მხედველობა მიუარესდება. აფი კამერას და ქუროუკს მართმევს და მამსუბუქებს, თოკიდან თოკზე გადაბმაში მეხმარება. მალე ვახერხებ ძალების მობილიზებას და თავისუფლად, დამოუკიდებლად ვმოძრაობ. ლოვა ცოტა ჩამოგვრჩა, ბოლოში ბენო და შერპები ჩანან, ვეშვებით ნელა, მოზომილი ნაბიჯებით, ფრთხილად, გრძელი, ციცაბო, თოვლ-ყინულიანი ფერდი „საუთ კოლზე“ ეშვება.

მეოთხე ბანაკში ჩვენი მეგობარი, იაპონელი სტუდენტი კენ ნოგუჩი გველოდება, გვილოცავს და საბაზოში გადასცემს ინფორმაციას. ღამე ისევ ქარია, ცივა, არ გვყოფნის თოვლის ნადნობი წყალი. ყელის სიმშრალისაგან ვხრიალებთ, ხველებით ლამის შიგნეული ამოვიბრუნოთ. ჟანგბადი საკმარისზე მეტი გვაქვს, მაგრამ ვერ ვხვდებით ჩართვის აუცილებლობას, უკვე ყველაზე აუცილებელი ინსტინქტებიც კი მოდუნებულია. ბენოს მეორე კარავში სძინავს შერპებთან ერთად, ღამე ჟანგბადს სუნთქავს, ამიტომ გაცილებით ყოჩაღადაა. მე და ლოვას საშინლად გვტკივა თვალები, ოდნავი მოსვენების საშუალებას არ გვაძლევს. აფის სცივა, ღამე კიდევ ორჯერ ვადნობთ თოვლს, ვთვლემთ კოშმარებში. აღარ დაადგა საშველი გათენებას!

დილით ბენო გვპატრონობს, — გვირთავს ჟანგბადს და გვიდუღებს ჩაის, თვალებზე საფენებს გვადებს. რა ცოტა ყოფნის ადამიანს! ბენოს მზრუნველობა გულს მიჩუყებს, სიმხნევეს მმატებს, — ცალი თვალის გახელას ვახერხებ, ლოვაც ოდნავ უკეთესადაა, ხელის ცეცებით და აფის დახმარებით ვალაგებთ ზურგჩანთებს, ძვირად დამიჯდა კამერით უსათვალოდ მუშაობა.

მძიმე გზა მესამე ბანაკის გავლით მეორე ბანაკისკენ, ლოვას წინ მივუძღვები, თოკიდან თოკზე ვაბამ, გზას ვუჩვენებ, უკნიდან აფი მოჰყვება.

ბანაკში შერპები გველოდებიან, უკვე სახლში ვართ — 6400 მ-ზე. აქედან თბილისამდე სულ რაღაც 6000 მეტრი დარჩა ვერტიკალში.

## მსოფლიოს თასი

# ჰონიბალის გედის სიმღერა

დღეს კარდიფის „მილენიუმზე“ მსოფლიოს თასის ბოლოსწინა მატჩი გაიმართება. იქაური დროით საღამოს 9 საათზე ერთმანეთს წინა მსოფლიოს თასის ფინალისტები — სამხრეთ აფრიკა და ახალი ზელანდია დაუპირისპირდებიან. ამ გუნდებს ერთმანეთში დღევანდლამდე 52-ჯერ უთამაშიათ. ახალზელანდიელებს 26-ჯერ დაუმარცხებიათ მეტოქე, სამი შეხვედრა ფრედ დამთავრებულა (ერთ-ერთი შორეულ 1921 წელს რაგბისთვის მეტად უჩვეულო ანგარიშით 0:0), 23-ჯერ კი სამხრეთაფრიკელებს უჯობნიათ მეტოქისთვის.

ტურნირზე ორივე გუნდი ჩემპიონობისთვის იბრძოდა და შეიძლება ვინმემ იფიქროს ბრინჯაოს მედლებისთვის არც ერთი გამოიდებს თავს და უინტერესო თამაში იქნებაო, თუმცა ეს აზრი სავსებით მცდარი იქნება. რაგბი ფეხბურთი არაა და მორაგბეები თითოეულ შეხვედრაში მთელი თავგანწირვით იბრძვიან, არა აქვს მნიშვნელობა ეს რაიმე ტურნირია თუ უბრალოდ ტესტ-მატჩი. თანაც დღეს გამარჯვებული ნაკრები 2003 წლის მსოფლიოს თასის საგზურსაც დაიბევებს, წაგებულს კი შესარჩევ შეჯიბრში მოუწევს მონაწილეობა. ერთი სიტყვით, რაგბის ქომაგებს დღესაც მშვენიერი სანახაობა ელით.

ახლა ორიოდ სიტყვა გუნდების მზადყოფნასა და შემადგენლობაზეც ვთქვათ.

„მამლებისგან“ დაკორტნილი „ოლ ბლექსის“ მთავარმა მწვრთნელმა ოთხი ცვლილება მოახდინა ძირითად შემადგენლობაში. შერკინების პირველ ხაზში მეორე ნომრად მოთამაშე ენტონ ოლივერის ნაცვლად მარკ ჰემეტი ითამაშებს. კრეგ დოუდის ადგილს კის მეუვსი დაიკავებს ჰემეტის მარჯვნივ, თვით დოუდი კი მარცხნივ გადავა და ამიტომ კარლ ჰოფტს თადარიგში ყოფნა „გამოეწერა“. მეორე ხაზში ნორმ მაქსველის მეწყვილე ლეგენდარული ზინზან ბრუკის ძმის, რობინის მაგივრად როის უილისი იქნება. მეცხრე ნომრად კი ფრანგებთან დაშავებული ახალგაზრდა ბაირონ კელეჰერის ნაცვლად გამოცდილი ჯასტინ მარშალი დაბრუნდება.

„ოლ ბლექსს“ უცილობლად გამარჯვება სჭირდება, რათა ნახევარფინალში მარცხის შემდეგ მის თავს დატეხილი კრიტიკა ოდნავ მაინც შეარბილოს. ახალზელანდიური გაზეთები ხომ უკვე კატეგორიულად მოითხოვენ ნაკრებიდან მთავარი მწვრთნელის ჯონ ჰარტისა და კაპიტნის ტეინ რენდელის წასვლას. პრესა და მთლიანად ზელანდიელი ქომაგები კი კიდევ ერთ წაგებას ნაღდად ვეღარ მოითმენენ და ნაკრებშიც დიდი გადახალისება დაიწყება...

კოლეგასავით ოთხი ცვლილება გააკეთა სამხრეთ აფრიკის მთავარმა მწვრთნელმა ნიკ მალეტმაც. მუხლნატკენი ბობი სკინსტედის, ყბამოტეხილი დეონ კეიზერის და კუნთგაჭიმული პიტერ როსოუს ადგილებს ანდრე ვოსი, ბრეიტონ პოლსი და სტივენ ტერბლანში დაიკავებენ. თუ ეს სამი ცვლილება იძულებითი ხასიათისა იყო, სამაგიეროდ, დამრტყმელი-ჯანი დე ბეერი სულ სხვა მიზეზის გამო არ ითამაშებს. მან თვითონ ითხოვა სათადარიგოებში გამწესება, რაც ერთი შეხედვით ერთობ უცნაურად ჩანს. თუმცა უმიზეზოდ არაფერი ხდება. დე ბეერის ადგილზე მელეტმა ვეტერანი ჰენრი ჰონიბალი დააყენა, რომლისთვისაც ეს ბოლო სანაკრებო მატჩი იქნება. 34 კეპის მფლობელმა ჰონიბალმა ინგლისურ კლუბ ბრისტოლთან მოაწერა ხელი კონტრაქტს, „ქურციკების“ ხელმძღვანელები კი ევროპაში მოთამაშე თვისტომებს ნაკრებში არ იწვევენ...

*სავარაუდო შემადგენლობანი:*

**ახალი ზელანდია:** უილსონი, უმაგა, კალენი, იერემია, ლომუ, მერთენსი, მარშალი, კრონფელდი, რენდელი (კაპ.), ტორნი, უილისი, მაქსველი, მეუვსი, ჰემეტი, დოუდი; სათადარიგონი: ალატინი, ბრაუნი, დაგენი, მიკა, ჯონსი, ჰოფტი, ოლივერი

**სამხრეთ აფრიკა:** მონტგომერი, პოლსი, ფლეკი, მალერი, ტერბლანში, ჰონიბალი, ვან დერ ვესტჰოიზენი (კაპ.), ვოსი, ა. ვანტერი, ერასმუსი, ენდრიუსი, ოტო, ვიზაგი, დროცკე, დიუ რანდტი; სათადარიგონი: ჯულისი, დე ბეერი, სვანეპოლი, კრიუგერი, ვან დენ ბერგი, ლე რუ, როსოუ

**გაიოზ თალაკვაძე**



ლომუ (ბურთით) და მისი თანაგუნდელები დღეს ბრინჯაოსთვისღა იბრძოლებენ

# მჯობნის მჯობნი ჰორანია?

მსოფლიოს თასის საუკეთესო მოთამაშის გამოსავლენ გამოკითხვაში ჯერჯერობით ავსტრალიელი ტიმ ჰორანი ლიდერობს, რომელიც თავის გუნდს ძალიან დაეხმარა ნახევარფინალში სამხრეთაფრიკელების დამარცხებაში.

ჰორანი ცოტათი უსწრებს არაბული წარმოშობის ფრანგ აბდელ ბენაზისა და ამ უკანასკნელის თანამემამულე კრისტოფ ლამეზონს, რომელთაც კვირას „ოლ ბლექსთან“ ისტორიულ გამარჯვებაში ლომის წილი დაიდეს.

საუკეთესოს არჩევას ორგანიზატორები მეტად სერიოზულად მიუდგნენ: 12-კაციან ჟიურის ლეგენდარული უელსელი გარეთ ედვარდსი უდგას სათავეში, მასში კი შოტლანდიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე გევინ ჰასტინგსი, ავსტრალიის ყოფილი გამთამაშებელი მაიკლ ლინაგი და სამხერთაფრიკელი ჯოელ სტრანსკიც შედიან.

გამოკითხვაში ჯერჯერობით მეოთხე ადგილზეა ავსტრალიელი სტივენ ლარკჰემი, „ოლ ბლექსის“ გოლიათმა ჯონა ლომუმ კი, ორი დიდებული ლელოს მიუხედავად, პირველიდან მეხუთე ადგილზე ჩამოინაცვლა.





REUTERS

პიტსბურგელი ალექსეი კოვალიოვი შაიბას წაქცეულიც არ თმობს

NHL

2 ნოემბერი

**პიტსბურგი — ლოს ანჯელესი 4:5**

1:1 0:1 3:3

1:0 ლანგი 2'48 (5); 1:1 პალფი 17'50 (4); 1:2 ოდეტი 28'49 (6); 2:2 ლანგი 40'46 (6); 2:3 ბლეიკი 41'52 (7); 2:4 ოდეტი 46'07 (7); 3:4 იაგრი 54'33 (9); 3:5 პალფი 55'07 (5); 4:5 იაგრი 57'49 (10)

ჩემპიონატის სტარტზე ბომბარდირთა დავაში ნაკლებად გამორჩეულ ჰოკეისტთა დაწინაურება რომ შემთხვევითობა იყო, ახლახან იარომირ იაგრმაც დაადასტურა. ის, რომ ჩეხი თავიდანვე ვერ ალზევდა სათავეში, განრიგმა განაპირობა — პირველობის დასაწყისში პიტსბურგმა დანარჩენ გუნდებზე ნაკლები მატჩი ჩაატარა. ამჯერად კი ყველაფერი თავის ადგილას დადგა. მე-10 შეხვედრაში იაგრმა ბენეფისი მოიწყო — 2 გოლს 2 პასი დაამატა და 22 (10+12) ქულით პირველ საფეხურზე განწესდა. ზედიზედ 10 ქულიანი მატჩიც ხომ ერთგვარი მიღწევაა, თანაც, ჰოკეისტმა პირადი რეკორდი გააუმჯობესა. თუმცა რად გინდა, პარტნიორებმა, რობერტ ლანგს (4 (2+2) ქულა) თუ არ ჩავთვლით, იაგრს მხარი ვერ აუბეს, ხოლო მეკარე ტომ ბარასოს არყოფნით დასუსტებულმა დაცვამ სტუმრებს 5 გოლი გაატანინა. „მეფეები“კი, რომელთათვისაც ეს ბოლო 19 წელიწადში საუკეთესო სტარტია, ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერებად იქცნენ.

**სამველ ლარიბიანი**



## თვის საუკეთესო

### მიხაილ შტალენკოვი (ფინიქსი)

ამაოდ არ აფასებდნენ ფინიქსის გოლკიპერ მიხაილ შტალენკოვს. სადაც უნდა ესპარეზა აგერ უკვე 34 წლის მეკარეს, რუსეთის ჩემპიონატში, თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდსა თუ ნჰლ-ში, ყველგან მუდ... მეორე იყო. არადა, ასეთი სანდო დ... მედო კარის დარაჯი ძნელად თუ ... იქებნება. მწვრთნელებს მხოლოდ მაშინ ახსენდებოდათ რუსი, როცა ამა თუ იმ კლუბში გარკვეულ მიზეზთა გამო მეკარეთა პრობლემა იქმნებოდა. ისიც არ ღალატობდა, მეტიც, ზოგჯერ აოცებდა კიდეც მაყურებელს. თუმცა გამოჯანმრთელდებოდა ძირითადი გოლკიპერი და შტალენკოვი კვლავ ავიწყდებოდათ. და აი, თანამემამულე ნიკოლაი ხაბიბულინის ხანგრძლივმა გაფიცვამ მას თავის გამოჩენის შანსი მისცა. შედეგი კი საუცხოოა — 2 შათაუტი და მატჩში საშუალოდ გაშვებული 1,8 გოლი. რაც მთავარია, შტალენკოვის ძალისხმევით ფინიქსმა თავის ისტორიაში საუკეთესო სტარტი აიღო.

**საუკეთესო ექვსეული**

1-31 ოქტომბერი

*მიხაილ შტალენკოვი* (ფინიქსი, 1); *კრის პრონგერი* (სენტ ლუისი, 1) — *რობ ბლეიკი* (ლოს ანჯელესი); *ოუენ ნოლანი* (სან ხოსე, 1) — *მარკ რეკი* (ფილადელფია, 1) — *იარომირ იაგრი* (პიტსბურგი, 1)

## კვირის მოთამაშე

### ბრაიან სმოლინსკი (ლოს ანჯელესი)



სეზონის წინ ყველაზე მნიშვნელოვანი გაცვლა აილენდერსსა და ლოს ანჯელესს შორის მოხდა — სლოვაკმა ფორვარდმა ზიგმუნდ პალფიმ კალიფორნიას მიაშურა და მართლაც გააძლიერა „მეფეები“, რომლის პირველი სამეულიც ჩემპიონატის სტარტზე ერთ-ერთ საუკეთესოდ აქცია. პირველი კვირის ლაურეატიც ამ ტრიოს წევრი ლუკ რობიტაილი გახდა. ლოს ანჯელესის თავკაცებს წინ კიდევ ერთი სასიამოვნო მოულოდნელობა ელოდათ — იმავე გაცვლის დროს შეძენილმა ბრაიან სმოლინსკიმ გუნდის მეორე სამეულიც აათამაშა და ბოლო მატჩებში თავიც ისახელა. „მეფეთა“ ახალწვეულმა 3 შეხვედრაში 7 (2+5) ქულა დააგროვა და კარიერაში პირველად კვირის რჩეული შეიქნა. ცხადია, ეს შეჯიბრი მეტად ახარებს ლოს ანჯელესის მწვრთნელს — პირველი და მეორე სამეულების დუელმა ხომ ლოს ანჯელესი ჩემპიონატის ყველაზე შედეგიან გუნდად აქცია.

**საუკეთესო ექვსეული.** 25-31 ოქტომბერი

*კერტის ჯოზეფი* (ტორონტო, 1); *კრის პრონგერი* (სენტ ლუისი, 2) — *რეი ბურკი* (ბოსტონი, 1) — *ტრევის გრინი* (ფინიქსი, 1); *ჯერემი რენიკი* (ფინიქსი, 1) — *ბრაიან სმოლინსკი* (ლოს ანჯელესი, 1)

## თვის ახალბედა

### პეტერ შეფერი (ვანკუვერი)



ვინ ახსენებდა სეზონის დაწყებამდე პეტერ შეფერის სახელს. ყველას დრაფტის საუკეთესო ნომრები — პატრიკ შტეფანი და ძმები სედინები ეკერა პირზე და, ცხადია, არავის ახსოვდა 1995 წლის დრაფტზე 66-ე ნომრად შეძენილი ფორვარდი, რომელმაც, მართალია, შარშან 25 მატჩი ჩაატარა (ნჰლ-ის წესების თანახმად, ახალბედად ის მოთამაშე ითვლება, რომელსაც მანამდე 30 შეხვედრაზე ნაკლები აქვს ნათამაშევი), მაგრამ ქომაგებს თავი ვერაფრით დაამახსოვრა. თუმცა დაიწყო ჩემპიონატი და შეფერს ვერ იცნობდით. ამის დასტურია ჩინებული სტატისტიკური მონაცემებიც. 13 მატჩში 12 ქულა ზოგ გამორჩეულ ბომბარდირსაც კი არ მიუთვლია. თანაც, შეფერმა 6 გოლი გაიტანა, აქედან 2 — უმცირესობაში, რაც წლეულს მხოლოდ ვაშინგტონელმა ბონდრამ მოახერხა. გამოუცდელ დებიუტანტს რომ უმცირესობაში იყენებენ, უკვე მრავლისმეტყველი ფაქტია. ახალბედა ჰოკეისტმა ვანკუვერს რეინჯერსთან (3:0)და ფილადელფიასთან (5:2) მოგებაში თავისი მონაგარიც შეაწია — 3 (2+1) ქულა ორივე მატჩში.

**საუკეთესო ექვსეული.** 1-31 ოქტომბერი

*ჯონ გრეში* (ბოსტონი, 1); *ბრედ სტიუარტი* (სან ხოსე, 1) — *პეტრ ბუზეკი* (ატლანტა, 1) *პეტერ შეფერი* (ვანკუვერი, 1) — *სკოტ გომესი* (ნიუ ჯერსი, 1) — *სტივ კარია* (ვანკუვერი, 1)


**ვაქირავებ ან ვყიდი**

გარემონტებულ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას სარაჯიშვილის მეტროსთან

☎ 60 21 23


ეროვნული ბიბლიოთეკა

# NBA: დასავლეთის კონფერენცია სეზონის წინ

## სან ანტონიო სფურზი

*შემადგენლობა: აივერი ჯონსონი, მარიო ელი, ჩაკი ბრაუნი, ტიმ დანკანი, დევიდ რობინსონი, ანტონიო დანიელსი, სტივ კერი, ჯერომ კერსი, ჯარენ ჯეკსონი, მალიკ როუზი, ტერი პორტერი, სამაკი ვოლკერი, შონ ელიოტი.*

*მთავარი მწვრთნელი: გრეგ პოპოვიჩი*

სან ანტონიო ახალ სეზონს ჩემპიონური ამბიციებით ხვდება. გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალა, ტიმ დანკან-დევიდ რობინსონის დუეტი, კვლავ ააწიოკებს მეტოქის ფარს. ამ სეზონში ჩემპიონებს ერთი საფიქრალი აქვთ — მათმა ერთ-ერთმა ლიდერმა, ფრთა შონ ელიოტმა ორიოდ თვის წინ თირკმელი გადაინერგა და „სფურზი" ახალ სეზონს უიმისოდ დაიწყებს. მართალია, სან ანტონიოს ამ ამპლუის რამდენიმე მოთამაშე ჰყავს, მაგრამ საეჭვოა, სწრაფი და ტექნიკური ელიოტი რომელიმე მათგანმა შეცვალოს.

## იუტა ჯაზი

*შემადგენლობა: ჯონ სტოქტონი, ჯეფ ჰორნაჩეკი, ბრაიან რასელი, კარლ მელოუნი, გრეგ ოსტერტაგი, ოლდენ პოლინაისი, ჰოვარდ ეისლი, ადამ კიფი, პეტ ჩილქათი, ქვინსი ლუისი, ჟაკ ვონი, სკოტ პადჯეტი*

*მთავარი მწვრთნელი: ჯერი სლოუნი*

ამ ზაფხულში „იუტა ჯაზმა" მოახერხა ძირითადი ბირთვის, სტოქტონ-მელოუნ-ჰორნაჩეკის შენარჩუნება და ამ ტრიოს შემწეობით კვლავ შეეცდება პლეი ოფის მოგებას. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ გუნდის ბევრი ლიდერები სულაც არ განიცდიან ალმავლობას, პირიქით, მათ საუკეთესო წლები ზურგსუკან აქვთ. სტოქტონი და მელოუნი 1985 წლიდან ერთად არიან და თუ „ჯაზს" რაიმესთვის მიუღწევია, უმთავრესად ამ შეხმატკბილებული წყვილის დამსახურებაა.

## ჰიუსტონ როკიტსი

*შემადგენლობა: სტივ ფრენსისი, შენდონ ანდერსონი, ვოლტ ვილიამსი, ჩარლზ ბარკლი, ჰაკიმ ოლაჯუონი, კელვინ კატო, კარლოს როჯერსი, მეტ მელონი, კუტინო მობლი, ტონი მასენბურგი, დონ მაკლინი, მატ ბალარდი, ბრიუს დრიუ*

*მთავარი მწვრთნელი: რუდი ტომიანოვიჩი*

„ჰიუსტონ როკიტის" მესვეურებმა ახალბედა სტივ ფრენსისის დასაუფლებლად ნახევარი გუნდი „ვანკუვერში" გაუშვეს, რამდენიმე კვირის შემდეგ კი წინა სეზონში უფხოდ მოთამაშე სკოტი პიპენის სანაცვლოდ „პორტლენდ თრეილ ბლეიზერგისგან" ერთბაშად ექვსი მოთამაშე მიღეს. კლუბის ხელმძღვანელობა ამ ცვლილებებს იმედის თვალით უყურებს, განსაკუთრებით პერსპექტიული ფრენსისის სჯერა. მართლაც თუ ეს ახალგაზრდა ასაკოვან ლიდერებს — ჩარლზ ბარკლისა და ჰაკიმ ოლაჯუონს შეეწყობა, გუნდმა შესაძლოა პლეი ოფში წარმატებებს მიაღწიოს.

## მინესოტა ტიმბერვულვზი

*შემადგენლობა: ტერელ ბრენდონი, ენტონი პილერი, ვალი შჩერბიაკი, კევინ გარნეტი, ჯო სმიტი, სემ მიტჩელი, მაიკლ სილი, ბობი ჯეკსონი, დინ გარეტი, ვილიამ აივერი, რადოსლავ ნესტეროვიჩი, ტომ ჰამონდსი*

*მთავარი მწვრთნელი: ფილ სონდერსი*

ამ სეზონში „ტიმბერვულვზი", რომელსაც მოსწყინდა მუდმივად პლეი ოფის პირველი ეტაპიდან გამოვარდნა, მეტს გეგმავს. 23 წლის სუპერვარსკვლავი კევინ გარნეტი და მისი ხელქვეითები სიტყვას იძლევიან, რომ მინიმუმ პლეი ოფის მეორე წრეს მიაღწევენ. მართალია, გარნეტს ხელიდან გამოაცალეს პასებით მომმარაგებელი პერსპექტიული გამთამაშებელი სტივენ მარბერი, მაგრამ გუნდში მის ნაცვლად მისული ტერელ ბრენდონიც არა ურიგო გამთამაშებელი და იგიც მშვენივრად შეეგუა „მგლებს". სოლიდური შენაძენია ახალბედა ვალი შჩერბიაკი, რომელმაც უკვე მოასწრო აშშ-ის დიდ ნაკრებში თამაში.

## დალას მავერიქსი

*შემადგენლობა: სტივ ნეში, მაიკლ ფინლი, სედრიკ სებალოსი, გარი ტრენტი, შონ ბრედლი, დირკ ნოვიცკი, ჰუბერტ დევისი, შონ რუქსი, ერიკ სტრიკლენდი, რობერტ პეკი, გრეგ ბაკნერი*

*მთავარი მწვრთნელი: დონ ნელსონი*

ცხრა წელია, ტეხასელებს პლეი ოფი თვალით არ უნახავთ და ალბათ, ვერც ამ სეზონის ბოლოს იხილავენ, მით უმეტეს, რომ დასავლეთ კონფერენციის ისედაც ძლიერი გუნდები კიდევ უფრო მოძლიერდნენ. მიუხედავად ამისა, დალასი მავანთათვის მაინც უხერხულ მეტოქედ ითვლება და ეს გუნდი საკმაო რაოდენობით მოგებას დააგროვებს საიმისოდ, რომ შუა დასავლეთის დივიზიონში ბოლო ადგილზე არ გავიდეს. გუნდს კვლავ გაწვრთნის ბებერი დონ ნელსონი, ვისაც სამჯერ მოუპოვებია სეზონის საუკეთესო მწვრთნელის ტიტული. გუნდის ლიდერი მაიკლ ფინლი კი 5-დან 3-4 მატში აუცილებლად მიითვლის 20 ქულაზე მეტს.

## დენვერ ნაგითსი

*შემადგენლობა: ნიკ ვან ექსელი, რონ მერსერი, ჯორჯ მაკლაუდი, ანტონიო მაკდაიესი, რიფ ლაფრენცი, ჩონსი ბილაფსი, ფოფი ჯონსი, ჯეიმს პოუზი, რაიან ბოუენი, კორი ალექსანდერი, ბრაიან სტიტი, როი როჯერსი.*

*მთავარი მწვრთნელი: დან აისელი*

მწვრთნელის პოსტზე მობრუნებული დან აისელი კოლორადოელებს კვლავ პლეი ოფში მოხვედრის იმედს ულვივებს. 1995 წლის შემდეგ, რაც აისელმა კლუბმა დატოვა, „ნაგითსმა" ოთხი ულიმღამო სეზონი ჩაატარა. აისელმა, რომელიც ამავე დროს კლუბის გენერალური მენეჯერიცაა, ბოსტონიდან ახალგაზრდა ვარსკვლავი, რონ მერსერი გადმოიყვანა და უკანა ხაზში გამოცდილ ნიკ ვან ექსელს შეუწყვილა, წინა ხაზში კი გუნდს ჰყავს მძლავრი თავდამსხმელი ანტონიო მაკდაიესი. რომელიც შარშან მატჩში საშუალოდ 21,2 ქულას აგროვებდა და პერსპექტიული ცენტრი რიფ ლაფრენცი. ამ უკანასკნელს ტრავმამ თითქმის მთლიანად გამოატოვებინა შარშანდელი სეზონი.

## ვანკუვერ გრიზლიზი

*შემადგენლობა: მაიკ ბიბი, მაიკლ დიკერსონი, შარიფ აბდურ-რაჰიმი, ოტელა ჰარინგტონი, ბრაიან რივზი, გრანტ ლონგი, ფელიპე ლოპესი, დენის სკოტი, ბრენტ პრაისი, მილტ პალაციო, ობინა ეკიზი*

*მთავარი მწვრთნელი: ბრაიან ჰილი*

„ვანკუვერში" უამრავი ცვლილება მოხდა და „დათვებმა" ახალი ძალა შეიძინეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „გრიზლიზი" მაინც აუტსაიდერად ითვლება, რადგან მათ შორის ერთი ხეირიანი მოთამაშის გამორჩევა თუ შეიძლება — ეს შარიფ აბდურ-რაჰიმი გახლავთ, რომელიც შარშან ბომბარდირთა დავაში მეოთხე იყო მატჩში საშუალოდ 23 ქულით. იმედოვნებენ, რომ მოუმატებს შარშანდელი ახალბედა მაიკ ბიბი, 1998 წლის დრაფტის მეორე ნომერი, რომელიც მთლად მოწოდების დონეზე ვერ იდგა. ამასთან გუნდის ხელმძღვანელობამ „ჰიუსტონისგან" რამდენიმე მოთამაშე მიიღო, მაგრამ წლევანდელი დრაფტის მესამე ნომრის, სტივ ფრენსისის გუნდში დატოვება ვერ შეძლო.

## პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

*შემადგენლობა: დეიმონ სტუდემაიერი, სტივ სმიტი, სკოტი პიპენი, რაშიდ ვოლესი, არვიდას საბონისი, ბრაიან გრანტი, დეტლეფ შრემპფი, ჯერმენ ონილი, სტეისი ოგმონი, გრეგ ენტონი, ბონზი ველსი*

*მთავარი მწვრთნელი: მაიკ დანლივი*

გასულ სეზონში „თრეილ ბლეიზერსი" საშუალოდან ძლიერ გუნდად იქცა და წლეულსაც დიდი ამბიციები და გეგმები აქვს. წინა სეზონის საუკეთესო მწვრთნელმა, მაიკ დანლივიმ აიზია რაიდერი, ჯიმ ჯეკსონი და ვოლტ ვილიამსი დაკარგა, მაგრამ შენაძენი უფრო სოლიდური აქვს: სკოტი პიპენი, სტივ სმიტი და დეტლეფ შრემპფი ნებისმიერ გუნდს დაამშვენებენ. მწვრთნელს ის ანაღვლებს, რომ სამივე ახალმოსული ასაკოვანია და ტრავმებსაც ხშირად უჩივიან, ამასთან ბრაიან გრანტს ახლაც ტრავმა აქვს, საბონისის კრიტიკული მდგომარეობის შესახებ ყველას მოეხსენება. ლიტველს დანლივი მცირე ხანს ათამაშებს, რათა ეს ჭკვიანი გიგანტი პლეი ოფს საღსალამათი შეხვდეს.

## ლოს ანჯელეს ლეიკერსი

*შემადგენლობა: დერიკ ფიშერი, კობი ბრაიანტი, გლენ რაისი, ეი სი გრინი, შაკილ ონილი, რიკ ფოქსი, რობერტ ჰორი, ტრევის ნაითი, ბრაიან შოუ, ჯონ სილი, რონ ჰარპერი, დევინ ჯორჯი*

*მთავარი მწვრთნელი: ფილ ჯეკსონი*

ახალი მწვრთნელი ფილ ჯეკსონთან ერთად „ლეიკერსში" გაჩნდა იმედები, რომ გუნდი ახლა მაინც მოიპოვებს ჩემპიონობას. გამოცდილი ჯეკსონი, რომელმაც „ჩიკაგო ბულზი" 90-იან წლებში ექვსჯერ გააჩემპიონა, ყველანაირად ეცდება, მის ხელში არსებულ შემადგენლობით მართლაც საჩემპიონო გუნდი შეკრას. ჯეკსონის ხელში კი ვარსკვლავთკრებულია — ლიგის ყველაზე მძლავრი ცენტრი შაკილ ონილი, სამქულიანების დიდოსტატი გლენ რაისი და მოუხელთებელი კობი ბრაიანტი, რომელიც ხშირად შველის გუნდს კრიტიკულ სტიუაციაში.

## საკრამენტო კინგზი

*შემადგენლობა: ჯეისონ ვილიამსი, ნიკ ანდერსონი, კორლის ვილიამსონი, კრის ვებერი, ვლადე დივაცი, ჯონ ბერი, ტაირონ კორბინი, ტონი დელკი, ლორენს ფანდერბურკი, დერიკ მარტინი, სკოტ პოლარდი, პრედრაგ სტოიაკოვიჩი*

*მთავარი მწვრთნელი: რიკ ადელმანი*

„საკრამენტომ" გასულ სეზონი კარგად ჩაატარა. კვლავ გუნდშია ლიდერი კრის ვებერი, რომელიც გასულ სეზონში სანაქებოდ ირჯებოდა, მატჩში საშუალოდ 13,0 მოხსნას ახერხებდა და ამ მაჩვენებლით ლიგაში საუკეთესოც იყო. ვებერს ფარქვეშ კვლავ შეეშველება გამოცდილი ცენტრი ვლადე დივაცი, რომელიც აგრეთვე ბრწყინავდა წინა სეზონში. უკანა ხაზში კი ძველებს — ჯეისონ ვილიამს და პრედრაგ სტოიაკოვიჩს ნიკ ანდერსონი და დერიკ მარტინიც დაემატნენ.

## ფინიქს სანზი

*შემადგენლობა: ჯეისონ კიდი, ანფერნი ჰარდევეი, ტომ გულიოტა, კლიფ რობინსონი, ლუკ ლონგლი, რექს ჩეპმენი, კორი ბლაუნტი, ოლივერ მილერი, როდნი როჯერსი, შონ მარიონი, ტოდ დეი*

*მთავარი მწვრთნელი: დენი ეინჯი*

„ფინიქსს" ჰყავს ჯეისონ კიდი, რომელიც დღეს თავისი კარიერის მწვერვალზეა. გასული სეზონი მან უძლიერესად ჩაატარა და ნბა-ს პირველ ხუთეულში მოხვდა. მას მხარს დაუმშვენებს ანფერნი ჰარდევეი, რომელმაც გასული სეზონი არცთუ კარგად ჩაატარა, მაგრამ მაინც ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს უკანახაზელად ითვლება. ჰარდევეი-კიდის ტანდემს ნებისმიერი გუნდის უკანახაზის გადაწონვა შეუძლია. რაც შეეხება მაღლებს, აქ ფინიქსს ორი კარგი მოთამაშე ჰყავს — ტომ გულიოტა და კლიფ რობინსონი.

## სიეტლ სუპერსონიქსი

*შემადგენლობა: გერი პეიტონი, ბრენტ ბარი, რუბენ პატერსონი, ვინ ბეიკერი, ჰორას გრანტი, ვლადიმერ სტეფანია, ვერნონ მაქსველი, ჯელანი მაკკოი, რაშარდ ლუისი, გრეგ ფოსტერი, ლაზარო ბორელი, შემონდ ვილიამსი*

*მთავარი მწვრთნელი: პოლ ვესტფოლი*

ეს კლუბი ქართველი გულშემატკივრებისთვის ყველაზე საინტერესოა, რადგან აქ თამაშობს პირველი ქართველი ნბა-ში, ვლადიმერ სტეფანია, რომელიც გუნდთან ერთად მეორე პროფესიულ სეზონს ეგებება ამერიკაში. იმედია, ქართველი ამ სეზონში მეტს მიაღწევს, ვიდრე წინაში, თუ ვესტფოლმა ამის საშუალება მისცა და საკმაო ხანს ათამაშა. შარშან უკეთ გამოსვლაც შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენებურის თამაშს ურიგო არ ეთქმის. რაც შეეხება თვითონ „სუპერსონიქსს", გუნდში ბევრი ცვლილება მოხდა, შემადგენლობის ნახევარი შეიცვალა. კალათბურთის სპეციალისტის, დელ ჰარისის თქმით, „სიეტლი" ბოლო რვა წლის განმავლობაში პირველად ვერ მოხვდა პლეი ოფში და „ზებგერითები" მშივრები არიან. თუ მათ კარგი სტარტი აიღეს, თავისუფლად მოხვდებიან პლეი ოფში, ცუდი სტარტის შემთხვევაში კი ეს ძლიერ გაუჭირდებათ. კვლავ გუნდში არიან გერი პეიტონი და ვინ ბეიკერი, რომლებიც ამერიკის ნაკრების რიგებში სიდნეის ოლიმპიადაზე ითამაშებენ, მათზე კი ბევრადაა დამოკიდებული გუნდის თამაშის დონე.

## გოლდენ სტეიტ ვორიორზი

*შემადგენლობა: მუკი ბლეილკი, ჯონ სტარქსი, კრის მილზი, დონიელ მარშალი, ერიკ დამპიე, ტერი კამინგსი, ტიმ ლეგლერი, ანტუან ჯემისონი, ადონალ ფოილი*

*მთავარი მწვრთნელი: ფი ჯეი კარლესიმო*

ეს გახლავთ გუნდი, რომლის მოთამაშეებიც ცალ-ცალკე არაფერს წარმოადგენენ, მაგრამ გასულ რეგულარულ ჩემპიონატში „ვორიორზი" პლეი ოფისთვის მებრძოლ გუნდად მოგვევლინა, თუმც ბოლომდე ვერ გაუძლო. გუნდმა დაიმატა კარგი გამთამაშებელი და შესანიშნავი დამცველი მუკი ბლეილოკი, რომელიც ლიდერობას იტვირთებს და უკანა ხაზში ბებერ ჯონ სტარქსს შეუწყვილდება. „ვორიორზი" კვლავ ყველაფერს იღონებს პლეი ოფში მოსახვედრად, მაგრამ, სავარაუდოდ, ამჯერადაც ხელმოცარული დარჩება.

## ლოს ანჯელეს კლიპერსი

*შემადგენლობა: ერიკ მერდოკი, დერიკ ანდერსონი, მორის ტეილორი, ლამარ ოდომი, მაიკლ ოლოვოკანდი, კეიტ კლოსი, ტროი ჰადსონი, ტაირონ ნესბი, ერიკ პიატკოვსკი, ბრაიან სკინერი*

*მთავარი მწვრთნელი: კრის ფორდი*

„კლიპერსს" შარშანდელ დრაფტში პირველი არჩევნის უფლება ერგო, მანაც ცენტრი მაიკლ ოლოვოკანდი ირჩია და დღემდე ნანობს ამას. წლევანდელ დრაფტში „კლიპერსს" მეოთხე არჩევანი ხვდა წილად, კლუბმა ლამარ ოდომს დაადგა თვალი და იქნებ ესეც სანანებელი გაუხდეს, რადგან ოდომი ერთი თავხედი, ტრაბახა და თან ნარკომანი ვინმე გახლავთ, მაგრამ მხოლოდ მას თუ შეუძლია გუნდი ჭაობიდან ამოათრიოს. საქმე იმაშია, რომ ოდომზე ნიჭიერი 1999 წლის დრაფტზე არავინ იყო და იგი მეოთხე ნომერი მხოლოდ თავისი საშინელი ხასიათის გამო გახდა. ახლა ეს ცუდი ბიჭი „კლიპერსის" ერთადერთი ნათელი წერტილია.

# საქართველოს ჩემპიონატი 5 ტური

## საუკეთესო მოთამაშე
### რამაზ კოგობერიშვილი
### «აზოტი»



ჩემპიონატის განრიგი ისე აეწყო, რომ თუ არ ჩავთვლით გასული ასპარეზობის პლეი ოფის მონაწილე თსუ-ს, ვიცე-ჩემპიონ „აზოტს“ მეხუთე ტურამდე სერიოზული მეტოქე არ ჰყოლია. გაძლიერებული სტუ კი ის გუნდია, რომელიც მიმდინარე გათამაშებაში ერთ-ერთი საპრიზო ადგილის სერიოზულ პრეტენდენტად არის მიჩნეული. ირაკლი ჯაფარიძის გარეშე დარჩენილმა „აზოტმა“ მეხუთე ტურში საკუთარ მოედანზე შანსი არ დაუტოვა სტუდენტებს და მორიგი გამარჯვება მიითვალა. ვიცე-ჩემპიონების წარმატებაში ლომის წილი დაიდო გუნდის კაპიტანმა რამაზ კოგობერიშვილმა, რომელმაც 39 ქულით მეცხრე ეროვნულის ჯერჯერობით საუკეთესო შედეგს მიაღწია და ტურის საუკეთესო მოთამაშის სახელიც მოიპოვა.

**— რამაზ, მეორე ტაიმში შედეგიანობის მხრივ თქვენ ბევრად უკეთ გამოიყურებოდით, განსაკუთრებით სამქულიანების სროლის დროს, მიზეზს ვერ გვეტყვით?**

— არ ვიცი, ვისთვის როგორ, მაგრამ ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სათამაშო ბურთს. სტუ-სთან მეტოქის ბურთით ვითამაშეთ, რომელიც მსუბუქი მეჩვენა, თავიდან ალღო ვერ ავუღე და თავიდან თითქმის ყველა სამქულიანი ავაცილე.

**— მეორე ტაიმში რა მოხდა, ბურთი გამოაცვლევინეთ?**

— არა, იგივე ბურთით ვითამაშეთ, მაგრამ უკვე შევეჩვიე და მარტო სამქულიანებით ოცდაერთი ქულა მოვაგროვე.

**— ეს თქვენი საუკეთესო მატჩი იყო?**

— ჩემი საუკეთესო თამაში ჯერ არ მითამაშია.

**— თქვენი თამაშიდან რა არ გაკმაყოფილებთ?**

— დაცვაში მოვისუსტებ.

**— სტუ-სთან ვის მეურვეობდით?**

— ლოსაბერიძეს, რომელიც სტუდენტთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე და შედეგიანობითაც გამოირჩეოდა. ვალდებული ვიყავი, რომ დაცვაში მის მიმართ მეტი ყურადღებით მეთამაშა.

**— დაცვაში თამაშით ვერც თქვენი თანაგუნდელები მოიწონებენ თავს, რადგან როდესაც მეტოქე 86 ქულას გიკეთებს, ბუნებრივია, უფრო მეტი ყურადღებით მოქმედება გმართებთ...**

— გეთანხმებით, „აზოტის“ ერთ-ერთი ყველაზე სუსტი წერტილი დაცვაში თამაშია. ვარჯიშებზე ამჟამად ყველაზე მეტ ყურადღებას აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრას ვუთმობთ. ვამუშავებთ სხვადასხვა ვარიანტებს და ვნახოთ, რა იქნება.

**— დაცვაში პრობლემების მოგვარებას „აზოტი“ თავისი კალათბურთელებით აპირებს თუ სხვა გუნდებიდანაც გეგმავთ სპორტსმენების დამატებას?**

— მხოლოდ საკუთარი ძალებით.

**— ირაკლი ჯაფარიძის უცხოეთში (პორტუგალია) სათამაშოდ წასვლის შემდეგ ცენტრში პრობლემები ხომ არ შეგექმნათ?**

— „ჯაფარა“ ჩვენთვის ძალიან დიდი დანაკლისია, მაგრამ როდესაც ირაკლი უცხოეთში მიდიოდა, „აზოტი“ ცენტრის პრობლემაზეც ფიქრობდა. მიხეილ ბერუაშვილისთვის ცენტრში თამაში სიახლე ნამდვილად არ გახლავთ და ზვიად ბაბიაშვილიც საკმაოდ ბევრს ეხმარება.

**— ერთწლიანი განშორების შემდეგ არც ლევან წიკლაურის დაბრუნება უნდა იყოს ურიგო „აზოტისვის“. მართალია, იგი ცენტრი არ არის, მაგრამ ძალიან ბევრი და სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლია თავდასხმაში.**

— გეთანხმებით, წიკლაური კარგი კალათბურთელია და ჯაფარიძე პორტუგალიაში რომ წასულიყო, მოკლე სკამის პრობლემა არ გვექნებოდა.

**— რამდენადაც ვიცი, ჯაფარიძეს პორტუგალიელებთან ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. ხომ შეიძლება, რომ იგი საქართველოს ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპისთვის თავისუფალი იყოს და „აზოტს“ დაეხმაროს?**

— წინასწარ არაფრის თქმა არ შემიძლია. ვინ იცის, სეზონის ბოლომდე რა მოხდება. დღევანდელი გადასახედიდან კი, თუ „ჯაფარას“ დამატება შევძელით, „აზოტის“ ჩემპიონობის შანსი ერთიორად გაიზრდება.

**— თქვენ თუ ჯაფარიძე მოისაკლისეთ, „ვითა“ სულ განახევრდა. განა „აზოტის“ ჩემპიონობა მაინც საეჭვოა?**

— „ვითა“ კი დასუსტდა, მაგრამ იგი თავს იოლად მაინც არავის დააჩაგვრინებს. კარგი გუნდები ჰყავთ ბათუმს და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს. გამორიცხული არ არის, თსუ-ს და სდასუ-ს კალათბურთელებმაც სიუპრიზები შემოგვთავაზონ.

**— ამბობთ, ვინ იცის, სეზონის ბოლომდე რა მოხდებაო. თქვენც უცხოეთში წასვლას ხომ არ აპირებთ?**

— ჩემპიონატს „აზოტში“ დავასრულებ და შემდეგ ვნახოთ.

**— კორაჩის თასზე ბაკ „კიევთან“ შეხვედრის წინ „აზოტის“ ხელმძღვანელობა ფინანსური პრობლემების გამო წუხდა. ამჟამად რა მდგომარეობაა გუნდში ამ მხრივ?**

— განებივრებულები ვართო, რომ გითხრათ, არ ვიქნები მართალი. ხანდახან გვიგვიანებენ ხელფასს, მაგრამ მაინც გვაძლევენ და პირადად მე სამდურავი არ მეთქმის.

**— როგორც იქნა, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კალათბურთში ჩემპიონატს დაემსგავსა იმ გაგებით, რომ ვერის ბაღსა და თბილისის სპორტის სასახლეს გასცდა. რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ თამაშების ბათუმში და რუსთავში ჩატარება?**

— არა მგონია, ამ კითხვაზე ვინმეს განსხვავებული პასუხი ჰქონდეს. რეგიონებში კალათბურთის პოპულარიზაციის მიზნით უკეთესს კაცი ვერ ინატრებს. მე არ მინახავს, მაგრამ ამბობენ, ბათუმში თანამედროვე ტიპის საკალათბურთო დარბაზი აქვთო. ჩვენსას ამის პრეტენზია არა აქვს, მაგრამ თამაშების ჩატარება შეიძლება. რამდენადაც ვიცი, დაგეგმილია „აზოტის“ დარბაზის სარეკონსტრუქციო სამუშაოები და დაახლოებით ათასი სკამის დამონტაჟება.

**— პლეი ოფის ჩატარებასაც ხომ არ გეგმავთ?**

— ჯერჯერობით არა, რადგან რუსთავი ამჟამად საპლეიოფო მატჩების მასპინძლობას ვერ გასწევს.

**— „აზოტის“ მიზანი კვლავ ჩემპიონობისთვის ბრძოლაა?**

— რა თქმა უნდა, მარად ვიცე-ჩემპიონობას არ ვაპირებთ.

როლანდ ლაბუჩიძე

# ქარაბაკი ესტონეთიდან წამოვიდა

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების თავდამსხმელი ლევან ქარაბაკი გუშინწინ ტალინიდან დაბრუნდა. როცა მას სამშობლოში მოულოდნელი ვიზიტის თაობაზე დავეკითხეთ, შემდეგი განაცხადა: „ესტონურ კლუბთან აღარაფერი მაკავშირებს, იქ სამი თვე ვიყავი და ელემენტარულად კონტრაქტიც არ მაღირსეს. ყოველდღე მპირდებოდნენ კუთვნილ ხელფასს, მაგრამ დღემდე კაპიკი არ მოუციათ. იქ რაღა დამრჩენოდა, ავდექი და წამოვედი“.

ახლა ლევან ქარაბაკი უგუნდოდაა და მომავალზე ფიქრობს. ასე დიდხანს არ გაგრძელდება, ჩემით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული და ორ კვირაში ყველაფერს ნათელი მოეფინებაო — განდო გუშინ ქარაბაკმა „სარბიელს“.

# ევროლიგა

I ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 3 ნოემბერი

### A ჯგუფი

ცსკა 76:72 ბარსელონა
ბენეტონი 73:57 შოლე

### C ჯგუფი

ვარეზე 80:70 პივოვარნა

### D ჯგუფი

პო ორტეზი 68:72 ბუდუჩნოსტი

# საპორტას თასი

ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 2-3 ნოემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### A ჯგუფი

ჰონკა (ფინეთი) — აეკ (საბერძნეთი) 64:76, შარლერუა (ბელგია) — ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) 77:65, ავტოდორი (რუსეთი) — ჩერნო მორე (ბულგარეთი) 67:72

*სატურნირო მდგომარეობა: აეკ 12 ქულა, შარლერუა 10, ჩერნო მორე 10, ჰაპოელი 9, ავტოდორი 7, ჰონკა 6*

### B ჯგუფი

პამესა (ესპანეთი) — აქილეასი (კვიპროსი) 105:66, სავინსკი (სლოვენია) — ზადარი (ხორვატია) 77:93, არსენალი (რუსეთი) — კალევი (ესპანეთი) 88:67

*სატურნირო მდგომარეობა: პამესა 12 ქულა, ზადარი 11, არსენალი 9, სავინსკი 8, აქილეასი 7, კალევი 7*

### C ჯგუფი

შალონ-საონი (საფრანგეთი) — აპოელი (კვიპროსი) 74:37, ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა) — რიკო (ჰოლანდია) 75:51, ალბაკომპი (უნგრეთი) — მაკაბი (რაანანა, ისრაელი) 71:70

*სატურნირო მდგომარეობა: ლიეტუვოს რიტასი 11 ქულა, შალონ-საონი 10, ალბაკომპი 10, მაკაბი 9, რიკო 8, აპოელი 6*

### D ჯგუფი

ტაუ (ესპანეთი) — ბოსნა (ბოსნია) 80:67, პეკაესი (პოლონეთი) — რაბოტნიჩკი (მაკედონია) 84:41, ილიაბუმი (პორტუგალია) — პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) 98:103

*სატურნირო მდგომარეობა: პეკაესი 11 ქულა, ტაუ 11, პსჟ 11, ბოსნა 8, ილიაბუმი 7, რაბოტნიჩკი 6*

### E ჯგუფი

პარტიზანი (იუგოსლავია) — სენტ პოლტენი (ავსტრია) 91:66, ირაკლისი (საბერძნეთი) — სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) 105:97, პორტუ (პორტუგალია) — ტელეკომი (გერმანია) 81:89

*სატურნირო მდგომარეობა: ირაკლისი 11 ქულა, პარტიზანი 11, პორტუ 9, სლოვაკოფარმა 9, ტელეკომი 8, სენტ პოლტენი 6*

### F ჯგუფი

კინდერი (იტალია) — მატავი (უნგრეთი) 96:70, ფენერბაჰჩე (თურქეთი) — ვენტსპილსი (ლატვია) 74:80, ცეპტერი (პოლონეთი) — ნორჩიოპინგი (შვედეთი) 93:63

*სატურნირო მდგომარეობა: კინდერი 12 ქულა, ცეპტერი 11, ნორჩიოპინგი 9, ვენტსპილსი 8, ფენერბაჰჩე 7, მატავი 7*

### G ჯგუფი

პლანია (შვედეთი) — ადეკო (იტალია) 66:60, ოკაპი (ბელგია) — დარუშაფაკა (თურქეთი) 101:80, სპლიტი (ხორვატია) — ლონდონ თაუერზი (ინგლისი) 82:81

*სატურნირო მდგომარეობა: დარუშაფაკა 11 ქულა, სპლიტი 11, ადეკო 9, პლანია 9, ლონდონ თაუერზი 7, ოკაპი 7*

### H ჯგუფი

ტატამი (გერმანია) — კრკა (სლოვენია) 47:69, რადნიჩკი (იუგოსლავია) — მლეკარნა (ჩეხეთი) 98:83, საკალაი (ლიტვა) — ტოპო (ფინეთი) 100:82

*სატურნირო მდგომარეობა: საკალაი 11 ქულა, რადნიჩკი 10, კრკა 9, ტატამი 9, მლეკარნა 8, ტოპო 7*

*მეშვიდე ტური გაიმართება 9-10 ნოემბერს*

## რეგულარული ჩემპიონატი

# დაიწყო... უსტეფანიოდ

2 ნოემბერი

**კლიპერსი 92:104 სიეტლი**

კლიპერსი: ჰადსონი (2), ნესბი (16), ანდერსონი (19), ოდომი (30 ქულა, 12 მოხსნა), ოლოვოკანდი (6); ტეილორი (14), სკინერი (5), პიატკოვსკი, მერდოკი

სიეტლი: პეიტონი (22 ქულა, 12 პასი), ბერი (9), პატერსონი (12), ბეიკერი (17 ქულა, 12 მოხსნა), გრანტი (6), მაქსველი (29), მაკოი (4), ლუისი (4), ვილიამსი (1), ფოსტერი

„სიეტლ სუპერსონიქსის“ პირველ თამაშში ვლადიმერ სტეფანიას არ უთამაშია. ასე ინება მწვრთნელმა პოლ ვესტფოლმა. ქართველი მთელი მატჩის განმავლობაში სათადარიგოთა სკამიდან უყურებდა, თუ როგორ იგებდა მისი გუნდი ლოს ანჯელესში, იქაურ „კლიპერსთან“. „კლიპერსი“ კარგი დაბლების ნაკლებობას განიცდის. უფრო ზუსტად, ასეთი ხეირიანი არავინა ჰყავს და აბა, რას გახდებოდა გერი პეიტონთან, რომელმაც, როგორც სჩვევია, ქულებიც ბლომად აგროვა და პასებიც უხვად ჩამოურიგა ბრძოლის წყურვილით ანთებულ თანაგუნდელებს. პეიტონი შარშან გუნდის მთავარი ბომბარდირი იყო და მასთან ახლოს ვერავინ მივიდა. ამ თამაშში კი ლიდერზე მეტი გუნდში წლეულს გადმოსულმა ბებერმა ვერნონ მაქსველმა მოაგროვა, რომელიც მხოლოდ თავისი ასაკის გამო ვერ ხვდება ხუთეულში, სადაც მისი, მსროლელის, ადგილი ბრენტ ბერის უკავია. სწორედ ამ ორი კაცის დამსახურებაა, რომ სიეტლმა პირველი ნახევარი 14 ქულით მოიგო და მთელი მეორე ტაიმიც დაახლოებით ამ დისტანციაზე ამყოფა მასპინძელი.

მართალია, „კლიპერსმა“ შინ წააგო და სიხარულის საბაბი არა აქვს, მაგრამ შეუძლებელია, გუნდის ხელმძღვანელები ერთი რამით მაინც არ დარჩენილიყვნენ კმაყოფილნი — მათ საქმეში ნახეს გუნ[illegible] მთავარი იმედი, ახალბედა თავდამსხმელი ლამარ ოდომ[illegible]ს ცუდი ბიჭი, რომელიც მოედნის გარეთ ხულიგნის და ნა[illegible]კომანის შთაბეჭდილებას არცთუ ტყუილად ტოვებს. „კლიპერსში“ რომ მივიდა, ოდომმა თქვა, ჯორდანზე ნაკლები კალათბურთელი მგლის წერა გახდეს, თუ მაიკლ ჯორდანმა „ჩიკაგო“ ააყვავა, მეც „კლიპერსს“ უძლეველს გავხდიო. და აი, პირველივე შეხვედრაში ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს თავდამსხმელ ვინ ბეიკერთან ბრძოლაში ოდომმა 30 ქულა გააკეთა და თან განაცხადა, ხალხმა ახალი სუპერვარსკვლავის დაბადება იხილაო. ხმამაღლა ნათქვამი კია, მაგრამ დასაწყისი ურიგო სულაც არაა.



REUTERS

კლიპერსი — სიეტლი. ლამარ ოდომმა (მარცხნივ) და მორის ტეილორმა (მარჯვნივ) სიეტლელ გერი პეიტონს (№20) ხელებით თალი გაუკეთეს

**ვაშინგტონი 94:87 ატლანტა**

ვაშინგტონი: ჰოვარდი (21)
ატლანტა: მაკლეოდი (22)

**შარლოტი 100:86 ორლანდო**

შარლოტი: ჯონსი (24)
ორლანდო: გეტლინგი (15)

**მაიამი 128:122 დეტროიტი**

(ძირითადი დრო 109:109)

მაიამი: ჰარდევეი (32)
დეტროიტი: ჰილი (41), სტეკჰაუზი (26)

**ნიუ ჯერსი 112:119 ინდიანა**

ნიუ ჯერსი: მარბერი (39)
ინდიანა: მილერი (27), დევისი (23 ქულა, 13 მოხსნა)

**ნიუ იორკი 92:84 კლივლენდი**

ნიუ იორკი: ჯონსონი (24)
კლივლენდი: კემპი (17)

**სან ანტონიო 89:76 ფილადელფია**

სან ანტონიო: დანკანი (20 ქულა, 16 მოხსნა)
ფილადელფია: აივერსონი (28)

**ტორონტო 90:103 ბოსტონი**

ტორონტო: კრისტი (20)
ბოსტონი: პირსი (30), ვოლკერი (22)

**დალასი 108:96 გოლდენ სტეიტი**

დალასი: სებალოსი (27), ფინლი (26)
გოლდენ სტეიტი: სტარქსი (20)

**ჰიუსტონი 93:98 მილუოკი**

ჰიუსტონი: ფრენსისი (14)
მილუოკი: კასელი (35 ქულა, 11 პასი)

**დენვერი 107:102 ფინიქსი**

(ძირითადი დრო 94:94)

დენვერი: ვან ექსელი (34 ქულა, 9 პასი, 9 მოხსნა)
ფინიქსი: გულიოტა (22), როჯერსი (21), რობინსონი (20)

**იუტა 84:91 ლეიკერსი**

იუტა: ჰორნაჩეკი (23)
ლეიკერსი: რაისი (28), ონილი (23 ქულა, 13 მოხსნა)

**ვანკუვერი 86:106 პორტლენდი**

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (19 ქულა, 10 მოხსნა)
პორტლენდი: სმიტი (22)

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS ვაშინგტონიდან

# აი, გოგოები!

როცა გოგოები რაგბის თამაშობენ, მათგან ბევრი რამ არის მოსალოდნელი. ეს ოჰაიოელი ჯიგაროები, თვლით სულ ოცდაჩვიდმეტი, ვაშინგტონს ჩასულან ი ქაური ამერიკის უნივერსიტეტის გუნდთან სათამაშოდ. გოგოებს გუნდური ფოტო მშობლიური კოლამბურსის უნივერსიტეტის სამოსში კი გადაუღიათ, მაგრამ ტანსაცმლის გამოცვლა იქვე დაუწყიათ, რითაც შოკში ჩაუგდიათ მოსეირენი. ამგვარი გაშიშვლება კოლამბუსიდან ცხრასაათიანი მგზავრობის დროს გადავწყვიტეთ, რამეთი ხომ უნდა გაგვეკვირვებინა და გაგვეხალისებინა ჩვენი დედაქალაქიო, უთქვამთ მერე. რას ერჩი? ძაან გოგოები არიან. თან რაგბისაც თამაშობენ.



REUTERS გლაზგოდან

# ყური გამისკდა!

გლაზგოს სატელეფონო ცენტრის ოპერატორი დერეკ ბოილი გიჟადაა. ის სატელეფონო ზარებს ვეღარ აუდის. დერეკმა პირადად მიიღო 15 ათასი შეკვეთა შოტლანდია ინგლისის საფეხბურთო მატჩზე დასასწრები ბილეთების დასაჯავშნად. „ჰემპდენ პარკი“ გაიჭედება, „უემბლიზე“ კი უკვე აღარ არის ადგილი, მეზობელთა პლე იოფი ხომ ევრო — 2000-ისკენ უხსნის გზას მოგებულს.

# აქლემთა დოღი

*ამ გაუწყებდით, მელბურნის ახლო, რუნი ველიზე აქლემთა დოღი ივევმება-თქო. საუკეთესო სადოღო აქლემებმაც თავი არ შეირცხვინეს და გვარიანად ირბოლეს აბუ დაბის თასისათვის. რბოლა „ჯასმინზე“ ამხედრებულმა კარენ ფელდმა მოიგო (უკან), მეორენი, „სავანა“ და იუდით ბულოკი იყვნენ (წინ). იყო დრო, როცა ავსტრალიაში აქლემები არა სახლობდნენ. ახლა კი ოზების კონტინენტი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ველური აქლემები ცხოვრობენ. აქლემთა რაოდენობა მეოთხედი მილიონია. შემოიყვანეს და გაამრავლეს. ხედავთ?*



REUTERS მელბურნიდან




REUTERS ჩიკაგოდან



# გარდაცვლილის უკვდავსაყოფად

ჩიკაგოელ დათვთა საბეისბოლო გუნდს გლოვა აქვს. 45 წლისა კიბოთი გარდაცვლილა მათი დიადი მოთამაშე უოლტერ პეიტონი. ეს ფოტოებიც მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად მოწყობილ კუთხეებს წარმოგვიდგენს, სტადიონ „სოულჯერზ-ფილდსა“ და „დათვების“ მუზეუმში

# დაიწყო!

*ენბიეი დაიწყო! კვამლი და შოუ ამ ლიგის მატჩების მუდმივი თანამდევია. ტორონტოში, სეზონის გამხსნელ თამაშში იქაური „რეპტორზი“ „ბოსტონ სელტიკსს“ ხვდება. შესვენებისას კი რეპტორად (დრაკონ-ურჩხულ-დინოზავრად) ჩაცმული შოუს კაცი მალაყს ჭიმავს და ისე ტენის ბურთს კალათში.*



REUTERS ტორონტოდან

## ინგლისი

I დივიზიონის გადადებული მატჩი

სიტი 4:2 პორტსმუთი

II დივიზიონი. XV ტური

სტოკი 0:1 ნოტსი

პრესტონი 3:0 ბორნმუთი

## ჰოლანდია

XII ტური

ნაიმეგენი 0:4 ჰერენვენი



REUTERS დენვერიდან

# ჰელოუინის ჟამს

ამერიკული ბურთაობის ლიგის თამაში დენვერში: აქაურ „ბრონკოთა“ და მინესოტელ „ვიკინგთა“ ბრძოლა ჰელოუნს დამთხვევია. ჯერ ერთი, რომ ჰელოუინი დასვენების დღედაა ამერიკაში, მეორეც რომ თითქოს ყველაწმინდის დღესასწაულად ითვლება. მესამედ კი, სახალხო ამბავში ჩვენს ჭიაკოკონობას ჩამოჰგავს და გამოღრუტნულ კვახებში ანთებული სანთლებითა და ცელებით არბენინებს ხალხს. აქაოდა, მოჩვენებების არ გვეშინიაო. ამ ფოტოზე კი ხედავთ: ერთ დენვერელ ქომაგს მოჩვენების ნილაბზე ვიკინგური ქუდი ჩამოუფხატავს, ანუ, მინესოტელებს ისე დავამარცხებთ, როგორც ავ სულებსო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli